ნინო მაისურაძე

ერის ცნების გააზრება საქართველოში 1900-1917 წლებში

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერებათა
დოქტორი მალხაზ მაცაბერიძე

თბილისი. 2018

ანოტაცია

ერის ცნების გააზრება საქართველოში 1900-1917 წლებში

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი განსხვავდება სხვა კვლევებისაგან თავისი ჰოლისტური მიდგომით. ნაშრომი არ შემოიფარგლება მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პროცესების ანალიზით, მასში გამოკვლეულია ის წინაპირობებიც, რომლებმაც განსაზღვრეს 1900-1917 წლებში არსებული პოლიტიკური შეხედულებების წარმოქმნა საქართველოში.

ნაშრომის ორიგინალურობა თავად კვლევის თემითაცაა განპირობებული, რადგან ეს საკითხი უკანასკნელი წლების განმავლობაში ნაკლებად ხდებოდა კვლევის საგანი. მასალები კი, რომლებიც ამ თემაზეა შექმნილი ხშირად სუბიექტური მიდგომით ხასიათდება (ძირითადად მარქსისტული იდეოლოგიის გავლენის გამო).

ამ მხრივ, ნაშრომის სიახლედ ობიექტურობის დაცვა და დოგმატური მსჯელობის გამორიცხვაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

თავად საკვლევი თემის - ერის ცნების გააზრება საქართველოში 1900-1917 წლებში - აქტუალობა განპირობებულია XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში გამწვავებული იდეოლოგიური დაპირისპირებით პოლიტიკურ პარტიებს შორის, რომელიც ნათლად გამოიხატებოდა მათ დისკუსიაში ეროვნული საკითხის ირგვლივ. 1900-1917 წლებში არ წყდებოდა მსჯელობა ერის ცნების შესახებ და სწორედ ეს საკითხი იყო პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სფეროებში მთავარი დაპირისპირების და შეუთანხმებლობის მიზეზიც, რაც ამძაფრებს ჩვენს ინტერესს ამ საკითხისადმი.

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია: საქართველოში ერის ცნების გარშემო მიმდინარე დაპირისპირების გამომწვევი მიზეზების დადგენა (1900-1917 წლებში).

ნაშრომის ქვემიზანია: იმ იდეოლოგიური და თეორიული წყაროების დადგენა, რომლითაც სარგებლობდნენ ქართველი მოაზროვნეები ერის ცნების განსაზღვრისას (1900-1917 წლებში).

ნაშრომის ამოცანებია: 1) გავაანალიზეთ 1900-1917 წლებში არსებული ორი პოპულარული პარტიის, სოციალ-დემოკრატების და სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ საკითხზე გამართული დისკუსია; 2)შევისწავლეთ ქართველი პოლიტიკოსების შეხედულებები ეროვნულ საკითხზე; თითოეული პარტიის იდეოლოგიური ხედვა; 3) შევისწავლეთ ის თუ რამდენად ხორციელდებოდა ქართული პოლიტიკური წრის მიერ მათი შეხედულებების გადატანა პრაქტიკაში და რა გზით ხორციელდებოდა ეს.

კვლევის ობიექტები კი იყო: დროის ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოში პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების მიერ დაწერილი ნაშრომები ეროვნული საკითხის ირგვლივ;

კვლევის ობიექტები იყო საგაზეთო სტატიები ეროვნული პრობლემების შესახებ სხვადასხვა ქართველი პოლიტიკოსების მიერ დაწერილი 1900-1917 წლებში, რომლებიც გამოქვეყნებულია გაზეთებში: „ივერია“, „დროება“, „ისარი“, „ამირანი“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“;

ჩატარებული კვლევის საფუძველზე დავადგინეთ, რომ საქართველოში ერის ცნების განსაზღვრაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენდა 1900-1917 არსებული ძირითადი პოლიტიკური ძალების იდეოლოგიური პოზიციები.

გავარკვიეთ ისიც, რომ ქართველი მარქსისტების მიერ ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურმა მიდგომამ განაპირობა მათი მძაფრი დაპირისპირება ეროვნული მიმართულების ძალებთან (1900-1917 წლებში).

მაისურაძე ნ.

Abstract

Understanding of Concept of nation in Georgia in 1900-1917 years

The Master's thesis differs from other researches by its holistic approach. The work is not limited to the analysis of the processes at the beginning of the XX century, there is also examined the preconditions that have determined emergence of politicalviews in Georgia in 1900-1917 years.

The originality of the Thesis is conditioned by the research topic itself, because this issue has been less investigated in the last few years. Materials that are often created on this topic are often characterized by subjective approach (mainly due to the influence of Marxist ideology).

In this regard, we can consider that the novelty of the Thesis is Objective protection and exclusion of dogmatic reasoning.

Understanding the concept of the topic – concept of nation in Georgia in 1900-1917 – the actuality is conditioned by intensified ideological confrontation between Georgian political parties for the beginning of the XX century that was clearly demonstrated in their discussion on the national issue. In 1900-1917 years, the discussion on the concept of the nation continued and this was the main reason for the main controversy and disagreement in the political and social spheres, which intensifies our interest in this issue.

The purpose of our Master's Thesis is to determine the causes of the confrontation regarding the concept of nation in Georgia (in 1900-1917).

The subpurpose of the work is to determine the ideological and theoretical sources, which the Georgian thinkers used in definition of the concept of nation (in 1900-1917).

The applied tasks are: 1) We analyzed the debate on the national issue of two popular political parties, social-democrats and socialist-federalists operating in 1900-1917 years; 2) We studied the views of Georgian politicians on national issues; Ideological vision of each party; 3) We studied how Georgian political circle transferred their views in practice and in what way it was implemented.

The objects of the research were: the papers written by political and public figures in the chronological frame of time about the national issue;

The object of the research were newspaper articles about national problems in 1900-1917 written by various Georgian politicians published in the newspapers: “Iveria”, “Droeba”, “Isari”, “Amirani”, “Tsnobis Purtseli”, “Kvali”;

On the basis of the survey, we have established that in Georgia determination of concept of nation in 1900-1917 years had essential influence on the ideological positions of the main political forces.

We also found out that the nihilistic approach to the national issues by the Georgian Marxists has led to their sharp controversy with the National Direction Forces (in 1900-1917).

Maisuradze N.

სარჩევი

შესავალი 7

თავი I. ერის შესახებ არსებული თეორიები საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში 17

§1. ერნესტ რენანის თეორია ერის შესახებ 20

§2. კარლ მარქსი ეროვნული საკითხის შესახებ 24

§3. კ. მარქსის ევროპელი ინტერპრეტატორები 29

§3. 1. ავსტრომარქსიზმის წარმომადგენლების გავლენა 1900-1917 წლების საქართველოში ერის ცნების განსაზღვრაზე 29

§3. 2. კ. კაუცკი ერის ცნების შესახებ 35

§4. ლუდვიგ გუმპლოვიჩის გავლენა 1900-1917 წლების ქართველ ეროვნული მიმართულების წარმომადგენლებზე 37

თავი II. ერის არამარქსისტული თეორიები საქართველოში 44

§1. ილია ჭავჭავაძის ნააზრევი ერის შესახებ და მისი გავლენა1900-1917 წლების საქართველოში 44

§2. არჩილ ჯორჯაძის მიერ გააზრებული ერის ცნება 49

§3. მიხაკო წერეთელი ეროვნული საკითხის შესახებ 59

თავი III. ერის მარქსისტული თეორია საქართველოში 70

§1. ნოე ჟორდანიას შეხედულება ერის ცნების შესახებ 75

§2. აკაკი ჩხენკელი ერის ცნების შესახებ 81

§3. ერის ცნების განმსაზღვრელი მთავარი მარკერები (ი. სტალინის მიხედვით) 89

დასკვნა 96

ლიტერატურის მიმოხილვა 102

შესავალი

საკვლევი საკითხის აქტუალობა: 1900-1917 წლები საქართველოს ისტორიაში რთული და ცვალებადი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით ხასიათდებოდა. საქართველოში დროის ამ მონაკვეთში ჩამოყალიბებული სოციალ-პოლიტიკური პროცესები რუსეთში მიმდინარე პროცესების ზეგავლენით ვითარდებოდა.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში ყალიბდება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები. 1900-1917 წლების ქართული პოლიტიკური ელიტა პოლიტიკური შეგნების განვითარებისათვის იბრძოდა. პოლიტიკური დონის ამაღლება პარტიების ნაწილს სჭირდებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ბრძოლისათვის მოსამზადებლად, მეორე ნაწილს კი იმისთვის, რომ შეეკავშირებინა მუშები და გლეხები, სოციალიზმის განხორციელებისათვის პირობების შესაქმნელად.

მნიშვნელოვან საკითხად იკვეთებოდა ეროვნული თავისუფლების პრობლემა. საზოგადოების დიდი ნაწილისათვის, განსაკუთრებით სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლებისათვის, რუსეთის ხელისუფლება მათ უსაფრთხოებას ნიშნავდა და ამიტომ ისინი მხარს არ უჭერდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

საქართველოში 1900-1917 წლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ პერიოდში პოპულარული საზოგადოების კლასებად დაყოფის თეორია. მარქსიზმის მიხედვით სოციალურ ცხოვრებაში არსებობს მხოლოდ კლასობრივი დაყოფა, ხოლო ყველა სხვა დაყოფა - ეროვნული, რელიგიური ან საერთოდ უმნიშვნელოა ან უბრალოდ ვარიაციაა კლასობრივი დაყოფისა. ამ იდეოლოგიის გაბატონების მიუხედავად ქართველ მოაზროვნეთა ნაწილი მთელი მონდომებით ცდილობდა საზოგადოებისათვის ეროვნულობის მნიშვნელობის დანახვას. ისინი ძირეულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებით ცდილობდნენ საზოგადოების მობილიზებას საკუთარი ეროვნულობის დასაცავად. ნაშრომში განვიხილავთ თუ რამდენად მოხერხდა XX საუკუნის დასაწყისში ორი რადიკალურად განსხვავებული იდეოლოგიის, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების თანაარსებობა და რა ცვლილებები მოუტანა ამან ქართულ პოლიტიკურ რეალობას.

ამ პერიოდის ქართველი პოლიტიკოსები, მოაზროვნეები, მოღვაწეები განსხვავებულ აზრს გამოთქვამდნენ ეროვნულობის გარშემო, თუმცა მათ აერთიანებდათ თავად ამ თემის აქტუალობა, რომელზე მსჯელობაც არ წყდებოდა. დიდი იყო მათზე ევროპელი მოაზროვნეების გავლენაც ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ გარკვეული ასპექტების განსხვავებულად გაანალიზება მოახერხეს ქართველებმა, რაც ალბათ ქვეყანაში შექმნილი სპეციფიკური გარემოებებიდანაც გამომდინარეობდა. რამდენად ემთხვეოდა ქართული ერის თეორიის ასპექტები მსოფლიოში გამოკვეთილ ერის თეორიას და რა განსხვავება იყო ჩვენი ერის პრაქტიკაში შექმნილ მოსაზრებებთან?; როგორ აისახა XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში პოპულარული მარქსისტული იდეოლოგია საქართველოზე და რა გავლენა მოახდინა მან ქართულ პოლიტიკურ რეალობაზე? - ეს კითხვები განსაზღვრავს საკვლევი თემის პრობლემატიკას.

ავღნიშნოთ ისიც, რომ მოცემული სამაგისტრო ნაშრომი განსხვავდება სხვა კვლევებისგან თავისი ჰოლისტური ხასიათით. ის არ შემოიფარგლება მხოლოდ 1900-1917 წლების მოვლენების კვლევით, ნაშრომში სიღრმისეულად არის გაანალიზებული ის წინაპირობები, რომლებმაც განაპირობეს XX საუკუნის დასაწყისში არსებული შეხედულებების წარმოქმნა, მათთვის ბრძოლა, რომლებმაც შექმნეს ამ პერიოდში პოლიტიკური გარემო და რომლის გამოც საქართველოს ეროვნული ცნობიერება საფრთხის წინაშე იდგა. ამ ნაშრომში განხილულია არა ერთი და ორი ავტორი, რომელთა შეხედულებების გადაკვეთის წერტილი სწორედ ერის ცნებაზე და ეროვნული პოზიციების მიღებაზე ან უკუგდებაზე გადიოდა. ნაშრომი, ჩვენი შეხედულებით, იმითაც არის საინტერესო, რომ ეს თემა უკანასკნელი წლების განმავლობაში ნაკლებად ხდებოდა კვლევის საგანი. მასალები კი, რომლებიც არსებობს ამ საკითხზე ხშირად სუბიექტური კუთხითაა განხილული (ძირითადად მარქსისტული იდეოლოგიის გავლენის გამო). კვლევაში შევეცადეთ დაგვეცვა ობიექტურობა და არ გაგვეკეთებინა შეფასებები დოგმატურად.

კვლევის ძირითადი მიზანია: საქართველოში ერის ცნების გარშემო მიმდინარე დაპირისპირების გამომწვევი მიზეზების დადგენა (1900-1917 წლებში);

ქვემიზანია: დადგენა იმ იდეური და თეორიული წყაროების რომლითაც სარგებლობდნენ ქართველი მოაზროვნეები ერის ცნების განსაზღვრისას (1900-1917წწ.).

ამოცანები: ამ მიზნების მისაღწევად კი დავისახეთ შემდეგი ამოცანები: 1) გავაანალიზეთ 1900-1917 წლებში არსებული ორი პოპულარული პარტიის, სოციალ-დემოკრატების და სოციალ-ფედერალისტების, ეროვნულ საკითხზე გამართული დისკუსია; 2) შევისწავლეთ ქართველი პოლიტიკოსების შეხედულებები ეროვნულ საკითხზე, თითოეული პარტიის იდეოლოგიური ხედვა XX საუკუნის დასაწყისში; 3) შევისწავლეთ საქართველოს ისტორიში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები 1900-1917 წლებში, რათა გაგვერკვია რა გავლენა ჰქონდა ამ მოვლენებს ერის ცნების გააზრებასთან; 4) შევისწავლეთ ის თუ რამდენად ხორციელდებოდა ქართული პოლიტიკური წრის მიერ მათი შეხედულებების გადატანა პრაქტიკაში და რა გზით ხორციელდებოდა ეს;

კვლევის ობიექტები იყო: დროის ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოში პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების მიერ დაწერილი ნაშრომები ეროვნული საკითხების ირგვლივ;

ასევე კვლევის ობიექტები იყო საგაზეთო სტატიები ეროვნული პრობლემების შესახებ სხვადასხვა ქართველი პოლიტიკოსების მიერ დაწერილი 1900-1917 წლებში, რომლებიც გამოქვეყნებულია გაზეთებში: „ივერია“, „დროება“, „ისარი“, „ამირანი“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“;

კვლევის კითხვებია: 1) რა ფაქტორი ახდენდა გადამწყვეტ გავლენას ერის ცნების განსაზღვრაზე 1900-1917 წლების საქართველოში?;

2) რატომ იყო 1900-1917 წლების საქართველოში განსაკუთრებით აქტუალური ეროვნული პრობლემა?;

კვლევის ძირითადი ჰიპოთეზაა: საქართველოში ერის ცნების განსაზღვრაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენდა ძირითადი პოლიტიკური ძალების იდეოლოგიური პოზიციები 1900-1917 წლებში.

ქვეჰიპოთეზაა: ქართველი მარქსისტების მიერ ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ განაპირობა მათი მძაფრი დაპირისპირება ეროვნული მიმართულების ძალებთან.

ცვლადების ოპერაციონალიზაციისას კი მივიღეთ შემდეგი გაზომვის დონეები:

ერის ცნება - ერის საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს. ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ ე. სმიტის განმარტებას და ამ ტერმინში ვიგულისხმეთ ადამიანთა სოციალურ-ისტორიული ფორმა, რომელიც ისტორიის პროცესში იცვლებოდა და ვითარდებოდა. ერის კონცეფცია უკავშირდება ეთნიკური საზოგადოების (ეთნიკური ჯგუფის) ცნებას, რომელსაც აქვს საერთო ისტორია, წარმოშობის მითი, თვითმყოფადი კულტურის ელემენტები, საერთო ტერიტორიული კავშირურთიერთობები და რაც მთავარია ჯგუფური სოლიდარობის გრძნობა. ერი უკავშირდება ამ ტერმინს, მაგრამ ამასთანავე მას უფრო ზოგადი ხასიათი აქვს. ერი ღიად პოლიტიკური ცნებაა, ვიდრე ეთნიკური ჯგუფი. უფრო კონკრეტულად ერი არის კულტურულ-პოლიტიკური ერთობა, რომლის წევრებსაც შეგნებული აქვთ თავიანთი ერთიანობა და საერთო ინტერესები; (Smith, 1983, გვ. 128-132)

იდეოლოგიური პოზიცია - ესაა იდეების ორგანიზებული ერთობლიობა, მსოფლმხედველობრივი სისტემა, რომელიც შესაძლებელია იყოს პოლიტიკური ხასიათის და აღნიშნავდეს იდეათა ერთობას საზოგადოებრივი მოწყობის მოდელების შესახებ, რომელთა მიხედვითაც პოლიტიკური მოძრაობები და ორგანიზაციები ოპერირებენ;

ნიჰილიზმი - ზუსტი განმარტებით ეს ტერმინი ნიშნავს ყველაფრის ხელაღებით უარყოფას. ხოლო ნიჰილიზმი, როგორც მსოფლმხედველობა უარყოფს ეთიკურ ნორმებს, ქცევის წესებს ან ზოგადად ადამიანის არსებობის რაიმე აზრს და მიზანს. ჰიპოთეზაში კი ტერმინი გამოყენებულია, როგორც ინერტული დამოკიდებულების სინონიმი.

მძაფრი დაპირისპირება - სიტყვიერი დისკუსია, რომელიც ცდებოდა იდეოლოგიურ, მსოფლმხედველობრივ კამათს და ხშირად გადადიოდა შეურაცხყოფაშიც.

კვლევის თეორიაა: კვლევაში ამხსნელ თეორიად გამოვიყენეთ ბენედიქტ ანდერსონის მოდერნისტული თეორია, რომელსაც „წარმოსახვითი საზოგადოებანი“ შეგვიძლია ვუწოდოთ მის ერთ-ერთ მთავარ ნაშრომზე დაყრდნობით. ბ. ანდერსონი ერს მიიჩნევს წარმოსახვით საზოგადოებად, რადგან სულ მცირე ერის შემთხვევაშიც

შეუძლებელია ადამიანი იცნობდეს თავისი ერის წარმომადგენელთა მნიშვნელოვან რიცხვს. ერის წევრთა უმრავლესობა ვერასდროს შევლენ ერთმანეთთან პირად კონტაქტში. მისი აზრით, ნაციონალიზმი უნდა გავიგოთ არა როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, არამედ როგორც ფართო კულტურული სისტემა, რომელიც მხოლოდ შემდეგ ქმნის საფუძველს პოლიტიკური მიზნების და მოძრაობისათვის.

ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების და საერთოდ წარმოქმნის მთავარ ფაქტორად მას ენა მიაჩნია. უფრო კონკრეტულად კი ის მომენტი, როცა ადგილობრივი სალაპარაკო ენა გაზეთებისა და წიგნების ენად იქცევა. ამით ერის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი სრულდება, რადგან ის თავს კულტურულ ერთობად აცნობიერებს. შემდეგ კი იწყება პოლიტიკური ერთობის აუცილებლობის გაცნობიერება, რისი მიზანიც საკუთარი სახელმწიფოს შექმნა ხდება. ავღნიშნოთ ის, რომ საქართველოში ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის დაწყებიდან ბეჭდური მედია კომუნიკაციის მთავარ საშუალებად იქცა. პოლიტიკოსები ბეჭდურ მედიას საკუთარი შეხედულებების პროპაგანდისათვის იყენებდნენ. ბეჭდური მედია საზოგადოების ფართო ფენებზე იყო გათვლილი და არა მხოლოდ პოლიტიკურ წრეზე.

ბ. ანდერსონის თეორია ავირჩიეთ იმიტომ, რომ ის გვიხსნის ჩვენს ქვეჰიპოთეზას და გარკვეულწილად ჰიპოთეზასაც. ბ. ანდერსონი ამ სიტყვებით იწყებს თავის ნაშრომს „წარმოსახვითი საზოგადოებანი“: *„ჩვენ, თითქმის ძირეული ცვლილებების მომსწრენი ვართ მარქსიზმისა და მარქსისტულ მოძრაობათა ისტორიაში“*, რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყოველი წარმატებული რევოლუცია თავის თავს ეროვნული ტერმინებით იმკვიდრებდა. მისი აზრით, ნაციონალიზმისაკენ მიდრეკილება სოციალისტური სამყაროს დამახასიათებელი ნიშანია. ბ. ანდერსონი იზიარებს ე. ჰობსბაუმის აზრს, რომ მარქსისტულ მოძრაობებს აქვთ მიდრეკილება ფორმით და შინაარსითაც გახდნენ ეროვნული, თუმცა ეს ტენდენცია ჯერ კიდევ არ დასრულებულა (მიმდინარეობს). (ანდერსონი, 2003)

ტ. ნაირნი შენიშნავს, რომ ნაციონალიზმის თეორია მარქსიზმის ხარვეზია, ხოლო ბ. ანდერსონი აზუსტებს ამ მოსაზრებას და ამბობს, რომ ნაციონალიზმი უხერხულ ანომალიად იქცა მარქსისტული თეორიისთვის და სწორედ ამიტომ, მასთან დაპირისპირების ნაცვლად, მოხდა მისი იგნონირება. ამ გზას დაადგნენ ქართველი

მარქსისტებიც, როცა ისინი ნიჰილისტურად მიუდგნენ ეროვნულ საკითხს, რამაც ამ საკითხზე კამათი უფრო გაამწვავა და აქტუალური გახადა 1900-1917 წლების საქართველოში. მაგრამ საინტერესოა, რომ კ. მარქსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“აღნიშნავდა, რომ თითოეული ქვეყნის პროლეტარიატმა, პირველ რიგში, უნდა მოაგვაროს საქმეები საკუთარ ბურჟუაზიასთან. ამის მიუხედავად,ბ. ანდერსონის აზრით, მარქსისტული თეორია „გააუფერულა“ სწორედ ამ ნაციონალიზმის ანომალიამ.

ბ. ანდერსონისათვის მართებულია ერის ასეთი განსაზღვრება: *„ეს არის წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება და ის წარმოისხება მისთვის თანმხლები საზღვრებით და სუვერენულობით“.* (ანდერსონი, 2003, გვ. 21)

კაპიტალიზმისა და ბეჭდითი ტექნოლოგიების შერწყმამ კაცობრიობის ენათა მრავალფეროვნებასთან ერთად ხელი შეუწყო წარმოსახვითი საზოგადოების ახალი ფორმის გაჩენას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ერის წარმოშობას.

ბ. ანდერსონი განიხილავს ე. რენანის ერთ- ერთ ციტირებასაც (მისი ნაშრომიდან „რა არის ერი?“): *„მაშ ასე, ერის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებს ბევრი რამ აქვთ საერთო და ასევე ბევრ რაიმეს ივიწყებენ კიდეც... ყოველ ფრანგ მოქალაქეს უკვე დავიწყებული უნდა ჰქონდეს ბართლომეს ღამე, მეცამეტე საუკუნეში ქვეყნის სამხრეთში მომხდარი ხოცვა-ჟლეტა“.* (ანდერსონი, 2003, გვ. 296)

ეს გამოთქმა მნიშვნელოვანია ბ. ანდერსონისათვის იმიტომ, რომ ის ხაზს უსვამს შუა საუკუნეებში ადრეული თანამედროვე ევროპული კოლოსალური რელიგიური კონფლიქტების ფონზე ეპიზოდების ისე წარმოჩენის მცდელობას, რომ ძმათა მკვლელ ომებს დამაჯერებელი სახე მისცემოდა. ვის შორის წარმოებდა ეს ომები? ფრანგ თანამემამულეებს შორის. ეს სისტემური ისტორიოგრაფიული კამპანია იყო, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ქვეყნის სასკოლო სისტემაში იშლებოდა.

თავის მხრივ, ბ. ანდერსონი აღნიშნავდა, რომ ყველა ღრმა ცვლილებას, რომელიც ცნობიერებაში ხორციელდება, ბუნებრივად მოჰყვება მისთვის ნიშანდობლივი „ამნეზიებიც“.

მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდოლოგია კვლევის თემატიკიდან გამომდინარე არის თვისებრივი კვლევა. თვისებრივი კვლევის მეთოდები მოიცავს სხვადასხვა

კვლევით ტექნიკას. ჩვენ კი მათგან გამოვიყენეთ პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზი. კვლევა ეყრდნობა სიღრმისეულ ინტერვიუებს, რომლის გასაანალიზებლადაც შევქმენით სიღრმისეული ინტერვიუების ტრანსკრიპტები და დავამუშავეთ ისინი კოდირებისა და კატეგორიზაციის საშუალებებით. სიღრმისეული ინტერვიუები, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის საფუძველზე ჩავატარეთ. ჩვენი რესპოდენტები სხვადასხვა სფეროს პროფესორები იყვნენ, რადგან საინტერესო იყო თითოეული მათგანის მიერ ინდივიდუალურად გაანალიზებული 1900-1917 წლებში ერის ცნების გაგება: 1) ისტორიკოსები; 2) კულტუროლოგები; 3) ფილოსოფოსები, რომლებიც კარგად იცნობდნენ 1900-1917 წლების პერიოდს საქართველოში და რომლებმაც შეფასებები მოგვცეს ამ პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე, ახსნეს იდეოლოგიური დაპირისპირებების საფუძვლები და შედეგები. პირველადი წყაროების ანალიზი სწორედ სიღრმისეული ინტერვიუების დამუშავებით მოხდა.

რაც შეეხება მეორად წყაროებს, ნაშრომში შესწავლილია 1900-1917 წლებში ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების სტატიები, მათ შორის ა. ჯორჯაძის გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული ყველა სტატია, ნ. ჟორდანიას ცნობილი სტატია „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ და მეორე სოციალ-დემოკრატის - აკაკი ჩხენკელის ნაშრომები „ერი და ჩვენ“ და „ერი თუ კაცობრიობა“. ასევე გავაანალიზეთ ქართველი ანარქისტის მიხაკო წერეთლის წიგნი „ერი და კაცობრიობა“. შევისწავლეთ ი. სტალინის „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელიც მისი შექმნიდან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თეორია იყო იმ პერიოდის ქართულ რეალობაში. ამ ჩამონათვალის გარდა შესწავლილი გვაქვს სხვა ქართველი მოაზროვნეების არა ერთი სტატია თუ ნაშრომი, რომელიც ეხება ერის ცნების განსაზღვრას და ეროვნულ პრობლემატიკას 1900-1917 წლების საქართველოში, ასევე შევისწავლეთ ის კრიტიკული/ობიექტური შეხედულებები, რომლებიც სხვადასხვა მოაზროვნეებმა გამოთქვეს სოციალისტ-ფედერალისტების და სოციალ-დემოკრატების ეროვნული პოზიციების შესახებ: მაგ. ს. ხუნდაძის ნაშრომი „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, ა. ბენდიანიშვილის ნაშრომი „ეროვნული საკითხი საქართველოში, 1801-1921“, ა. ებრალიძის წიგნი „საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა

ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ“, ე. ახობაძის საყურადღებო ნაშრომი „ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში, 1900-1917 წწ.)“, ალბათ, ყველაზე ობიქტურად გაანალიზა 1900-1917 წლებში ეროვნული საკითხი გ. ყორანაშვილმა, რომლის ნაშრომი - „ეროვნული საკითხი“ ჩვენც გავაანალიზეთ, განვიხილეთ დ. შველიძის „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში: ფედერალისტები“, ა. სურგულაძის ნაშრომი „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში“ და სხვა მოაზროვნეების არა ერთი ნაშრომი, სტატია, წერილი თუ მონოგრაფია.

შერჩევა: კვლევაში გამოყენებულია არაალბათური შერჩევის ტიპი, კონკრეტულად- მიზნობრივი შერჩევა, რადგან ნაწილობრივ სტრუქტურირებულ სიღრმისეულ ინტერვიუში რესპოდენტები არიან ის ადამიანები, რომლებსაც მეცნიერულად აქვთ შესწავლილი 1900-1917 წლებში განვითარებული დისკუსია ეროვნული პრობლემატიკის ირგვლივ. კონკრეტულად ესენი არიან: დიმიტრი შველიძე, ბონდო კუპატაძე, ივანე წერეთელი, ირაკლი ჩხაიძე, ლუკა ნახუცრიშვილი, მალხაზ თორია.

კვლევის ლიმიტი: ყველა კვლევა ლიმიტირებულია და ჩვენც ძირითადად გამოვიკვლიეთ 1900-1917 წლებში გამართული დისკუსია ერის ცნების შესახებ, რომელიც სოციალ-ფედერალისტების და სოციალ-დემოკრატების, ორი განსხვავებული იდეოლოგიის წარმომადგენლებს შორის გაიმართა. ნაკლებად, უფრო ზუსტად - ზედაპირულად, შევეხეთ სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მოსაზრებებს. ამის გარდა, უყურადღებოდ ვერ დავტოვეთ მესამე, საქართველოში იმ პერიოდში პოპულარული, იდეოლოგიის - ანარქიზმის წარმომადგენლის მიხაკო წერეთლის საინტერესო მოსაზრებები ერისა და კაცობრიობის შესახებ, რადგან ორმაგად საინტერესო იყო ის, რომ მიხაკო წერეთელი ანარქისტული იდეოლოგიის მიუხედავად იცავდა ეროვნულ პოზიციას. შევეხეთ რამოდენიმე მნიშვნელოვან უცხოელ, ევროპელ ავტორსაც, რომლებმაც საფუძველი დაუდეს XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებულ თეორიებს და პოლიტიკურ შეხედულებებს. კვლევაში არაა განხილული რუსი მოღვაწეების თეორიული გავლენები ქართულ პოლიტიკურ წრეებზე (1900-1917 წლებში). ხოლო ქართველი წარმომადგენლებიდან, რომლებიც ასევე შეგვიძლია ამ ეპოქაში გავრცელებული შეხედულებების წინაპირობებად მივიჩნიოთ გამოვყავით

კონკრეტულად ილია ჭავჭავაძე. კვლევაში არაა საფუძვლიანად შესწავლილი 60-იანელების შეხედულებები ერის ცნებაზე და ეროვნულ პრობლემაზე. ამ მოაზროვნეებს მხოლოდ ზოგადად განვიხილავთ.

ლიტერატურის მიმოხილვა: ჩამოვთვალოთ რამოდენიმე ძირითადი ნაშრომი, სტატია, რომლებსაც ვეყრდნობით და რომლებიც უშუალოდ 1900-1917 წლების საქართველოში შეიქმნა და პოპულარი იყო XX საუკუნის დასაწყისში.

პირველ რიგში ავღნიშნოთ ეროვნულ პოზიციის დამცველ არჩილ ჯორჯაძის სტატიათა სერია „სამშობლო და მამულიშვილობა“ (1908 წელს გამოქვეყნდა). ამ სათაურით 1990 წელს გამოიცა არჩილ ჯორჯაძის ცნობილი სტატიათა კრებული სხვადასხვა გაზეთებიდან, რომლებიც 1900-1917 წლებში შეიქმნა. ჩვენ გამოვიყენეთ, როგორც კონკრეტულად ეს სტატია, ასევე სტატიათა კრებულიც, რომლებშიც ნათლად არის ასახული არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური შეხედულებები და მისი მოსაზრებები ერის ცნების შესახებ, ასევე მისი მოღვაწეობის პერიოდში შექმნილ ეროვნულ პრობლემაზე. ერის უმთავრეს მახასიათებლად ის ენას და ტერიტორიას ასახელებს. არჩილ ჯორჯაძე კლასობრივ დაპირისპირებაზე მეტად მნიშვნელოვნად თვლის ეროვნული საკითხის გადაწყვეტას. ის შესაძლებლად მიიჩნევდა, ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის საფუძველზე ერის გაერთიანებას, მიუხედავად კლასობრივი დაპირისპირებისა. (ჯორჯაძე, 1990)

სოციალ-დემოკრატების პოზიციის განხილვისას გამოვყავით ნოე ჟორდანიას სტატია „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ (1908 წელს გამოქვეყნებული), რომელშიც ის უარყოფს პოლიტიკური ავტონომიის საჭიროებას საქართველოსთვის და ითხოვს მხოლოდ კულტურულ ავტონომიას.

მეორე სოციალ-დემოკრატი, რომელიც ზომიერად პატრიოტული შეხედულებებით გამოირჩეოდა და რომელზეც გავაკეთეთ აქცენტირება არის - აკაკი ჩხენკელი და მისი ნაშრომი „ერი და ჩვენ“ (1915 წელს გამოქვეყნდა), რომელშიც ის აღნიშნავს, რომ ერი არის სოციალური ორგანიზმი, ამიტომ მისი პოლიტიკური გამოხატულებაც - სახელმწიფო - ორგანიზმია. ა. ჩხენკელი სწორედ ამიტომ თვლის, რომ სოლიდარობა მშრომელ კლასთა შორის, განურჩევლად ეროვნებისა, უნდა

გარდაიქმნას მომავალში სოლიდარობად თვით ერთა შორის. მისი აზრით, ამ მიზნის განხორციელების საშუალებაა ინტერნაციონალიზმი. გამოდის, რომ სწორად გაგებული ინტერნაციონალიზმი გვავალებს ვაწარმოოთ ეროვნული პოლიტიკა. (ჩხენკელი, 2000, (ა))

მესამე იდეოლოგიის წარმომადგენელი, რომელიც განვიხილეთ და რომლის შეხედულებებიც პოპულარობით სარგებლობდა 1900-1917 წლების საქართველოში იყო მიხაკო წერეთელი და მისი 1910 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ერი და კაცობრიობა“, რომელიც პირველი სოციოლოგიური გამოკვლევა იყო საქართველოში. ამ ნაშრომში მ. წერეთელი ერთმანეთს უპირისპირებს ერს და კაცობრიობას და არჩევანს პირველის სასარგებლოდ აკეთებს, რადგან კაცობრიობას სოციალურ ფიქციად მიიჩნევს. არგუმენტების სახით ის იშველიებს და ეყრდნობა ევროპელი მოაზროვნეების დროის აღნიშნულ მონაკვეთში (1900-1917 წწ) გავლენიან შეხედულებებს (დე გრეფი, ლ. გუმპლოვიჩი, რ. შტამლერი).

ავღნიშნოთ ი. სტალინის „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელიც დაწერილია 1912 წლის დამლევსა და 1913 წლის დასაწყისში. ის გამოყოფდა ნიშნების (მარკერების) ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან ერს. ესენია: 1. ნაციონალური ერთობა წარმოუდგენელია საერთო ენის გარეშე; 2. ტერიტორია ერის ერთობის დამახასიათებელი ნიშანია. ერთად ცხოვრება ტერიტორიის გარეშე შეუძლებელია. სხვადასხვა ტერიტორიას სხვადასხვა ერის წარმოშობა შეუძლია; 3. მესამე ნიშანი-შინაგანი ეკონომიური კავშირია, რომელიც ერის ცალკეულ ნაწილებს ერთ მთელად აერთიანებს; 4. საბოლოო ნიშანი ნაციონალური კულტურის თავისებურებებში გამოიხატება, რომელიც ფორმაა ნაციონალური ხასიათია.

თავი I. ერის შესახებ არსებული თეორიები საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში

1900-1917 წლები მეტად რთული და მრავალმხრივ საინტერესო პერიოდია საქართველოსთვის. ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ზოგადად ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წინა პლანზე დგებოდა ეროვნული პრობლემატიკის სხვადასხვა მხარე, განპირობებული კონკრეტული ისტორიული პირობებით, კერძოდ ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობით. არც XX საუკუნის დასაწყისი ყოფილა გამონაკლისი ამ მხრივ და საქართველოში ამ პერიოდში აქტუალური გახდა ეროვნული პრობლემების კვლევა.

მარქსიზმის ისტორიის მკვლევარი, ფილოსოფიის ასოცირებული პროფესორი ლუკა ნახუცრიშვილი ჩვენთან ინტერვიუში ამბობს, რომ ეროვნული საკითხის განსაკუთრებული აქტუალობა 1900-1917 წლებში განპირობებული იყო ეროვნული შეგნების წარმოშობით: *„ეროვნული შეგნების წარმოშობა განაპირობა პირველ რიგში რუსეთის იმპერიის წიაღში დაქუცმაცებული ქართული მიწების ერთიან სისტემაში მოქცევამ, მისმა მოდერნულ სახელმწიფოებრივ რელსებზე გადაყვანამ (რკინიგზა, მასმედია, ცენტრალიზებული ბიუროკრატია და ა.შ.), რამაც სწორედ რუსეთის იმპერიის მიერ მოწეული ამ გაერთიანების საფუძველზევე მოიტანა რუსული ასიმილაციური პოლიტიკისადმი ეროვნული წინააღმდეგობა და მთელი ენისა და კოდების შექმნა, რომლებიც მკაფიო ნაციონალისტურ ფორმაში მოაქცევდა მაშინდელ ჰეტეროგენულ ქართულ საზოგადოებას“.*

XX საუკუნე ახალი ეპოქის დასაწყისია, თუმცა იდეური თვალსაზრისით ეს XIX საუკუნის II ნახევრიდან შექმნილი შეხედულებების გაგრძელებაა. 1900-1917 წლებში საზოგადოების იდეოლოგიური ტრანსფორმაცია ერთგვარი წინაპირობა გახდა საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის მოვლენებისა. თავად დროის ამ ქრონოლოგიური მონაკვეთის იდეოლოგიური საფუძველის წინაპირობა XIX საუკუნის 60-იან წლებში უნდა ვეძებოთ. 1900-1917 წლებში ვხვდებით ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ეროვნული პროგრამის განხორციელების მცდელობას, თუმცა გარკვეული ცვლილებების და განახლების სახით ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე.

თერგდალეულების მემკვიდრეები ცდილობდნენ ნაციონალიზმის პროპაგანდას, ეროვნული ფასეულობების დაცვის შეგნების გაღვივებას. ამის პარალელურად კაპიტალიზმი ვითარდება საქართველოშიც, რომელიც ხელს უწობს არა მხოლოდ ეკონომიკური ფორმების შეცვლას, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაში განხორციელებულ გარდაქმნებსაც.

თერგდალეულებმა ნიადაგი მოუმზადეს ახალი პარტიების ჩამოყალიბებას. მარქსიზმმა, რომელიც საქართველოში XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან გამოდის ასპარეზზე, მემკვიდრეობად მიიღო თერგდალეულების რევოლუციური დემოკრატიზმი. მაგრამ თერგდალეულებმა ასევე ხელი შეუწყვეს წვრილ-ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წარმოშობასაც. (სურგულაძე, 1986, (ბ), გვ. 24)

XX საუკუნის დასაწყისში საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მას, ერთი მხრივ, უნდა გადაელახა ფეოდალური სისტემის რღვევის შედეგად წარმოქმნილი ცვლილებები და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში დამკვიდრებულიყო. მეორე მხრივ, უნდა გაეგრძელებინა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის განსხვავებული გზით, რადგან შეიარაღებული გამოსვლები არაეფექტური იყო. (სონღულაშვილი, 2013, გვ. 10)

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კიდევ ერთი გზა იყო ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება, რისი შედეგიც უნდა ყოფილიყო საქართველოს სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გატანა და ქართველი საზოგადოების მობილიზება დამპყრობლის წინააღმდეგ. ალბათ, ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ეროვნული მიმართულების ძალების წარმომადგენლები უმეტესად თეორიულ დასაყრდენს ევროპელი მოაზროვნეების შეხედულებებში პოულობდნენ. (სონღულაშვილი, 2013, გვ. 13)

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს ისტორიის ამ პერიოდში იქმნება პარტიათა დიდი რაოდენობა. ფეოდალური პარტიკულარიზმი იცვლება პარტიული პარტიკულარიზმით. ყოველი პარტია თავისი ინტერესების პრიზმიდან უყურებს

საერთო ეროვნულ საქმეს. რაღაც ეტაპზე პარტიულმა ინტერესებმა დაჩრდილა ეროვნული. (ერქომაიშვილი, 2000, გვ. 25)

XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყება ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი. შეიარაღებული გამოსვლები ადგილს უთმობს იდეოლოგიურ ბრძოლას, სათანადო შეგნების გაღვივებას მოსახლეობაში, რათა ქართული საზოგადოება მომზადებულიყო კოლონიური უღლის გადაგდებისათვის. (მალაზონია, 2001, გვ. 4)

დროის ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოში (1900-1917 წლებში) საყურადღებოა სოციალური ფენების მრავალრიცხოვნობა. ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან თითოეულ მათგანს საკუთარი მოთხოვნა და გამოწვევა ჰქონდა საქართველოსთან მიმართებაში და ახალი ეპოქის პირისპირ. მაგალითისთვის 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებიდან ირკვევა, რომ ქართველებს შორის მემკვიდრეობითი თავადაზნაურობა (ოჯახის წევრებიანად) შეადგენდა 5,3 პროცენტს, მაშინ, როდესაც მთელ რუსეთის იმპერიაში - 1 პროცენტი იყო; პირადი არამემკვიდრეობითი, აზნაურობა მინიჭებული ჰქონდა ქართველების 1 პროცენტს (იმპერიაში - 0,5-ს); სამღვდელოება ქართველების 2,2 პროცენტს შეადგენდა (იმპერიაში 0,5-ს). ჯამში ქართველებში სხვადასხვა პრივილეგირებული კლასების წარმომადგენელი 8,5 პროცენტს შეადგენდა, მაშინ როდესაც მთელ იმპერიაში ოთხჯერ ნაკლებს. ქართველების 87 პროცენტი გლეხობა იყო, იმპერიაში კი 77 პროცენტი. (გაჩეჩილაძე, 2013, გვ. 88)

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ მიუხედავად ეროვნული ძალების აქტიურობისა სოციალ-დემოკრატიული პარტია სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა ხალხში და მას მრავალრიცხოვანი მომხრეთა მხარდაჭერა ჰქონდა. ეს გარემოება შემთხვევითი, რა თქმა უნდა, არ იყო. სოციალ-დემოკრატები აქტიურად მოღვაწეობდნენ საკუთარი გეგმების რეალიზაციისათვის. ამასთან ისინი აქცენტს აკეთებდნენ სოციალური უთანასწორობის მოსპობაზე, რაც ხალხის ფართო ფენების მოწონებას იმსახურებდა. (სონღულაშვილი, 2013, გვ. 82-83)

ერის ცნების სიღრმისეულად გასააზრებლად საქართველოში 1900-1917 წლებში და მის შესასწავლად უნდა ვიკვლიოთ თუ ერის ცნების, რომელ უცხოელ

მოაზროვნეთა და მეცნიერთა გაგება იყო მეტად პოპულარული და აქტუალური ქართულ პოლიტიკურ წრეში. ასევე, უნდა განვიხილოთ ქართველ მოაზროვნეთა ის შეხედულებები, წინაპირობები, რომლებმაც უკვე ამ პერიოდში (1900-1917 წლებში) განაპირობეს ამ თემის პრიორიტეტულობა. ეს საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, როგორ ხდებოდა ერის გაგების ფორმირება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და რა ინტერპრეტაციებს აკეთებდნენ ქართველი პოლიტიკოსები ერის მარკერების გააზრებისას?

ასევე შეუძლებელია მხოლოდ ვიწრო ხედვით საქართველოში მიმდინარე განმაპირობებელი პროცესებით ავხსნათ ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება, რადგან საქართველოში მიღებულ გადაწყვეტილებებს განაპირობებდა რუსეთის იმპერია და იქ მიმდინარე მოვლენები. საქართველო XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული 1918 წლამდე რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის გამო იმყოფებოდა იმპერიის დაქვემდებარებაში და, ბუნებრივია, იქ მიმდინარე პროცესები თავის გავლენას ახდენდა ჩვენი ქვეყნის რეალობაზე. მათ შორის შეიძლება ცალკე გამოვყოთ შემდეგი მოვლენები: 1) 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუცია; 2) 1907-1910 წლების რეაქციის ხანა; 3) 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია; 4) 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუცია. (სონღულაშვილი, 2013, გვ. 7)

§1. ერნესტ რენანის თეორია ერის შესახებ

„ერი ჩვენთვის სულია, სულიერი ოჯახი, სულიერი პრინციპი, იგი ისტორიული ინდივიდუალობაა“

ე.რენანი

იმ შეხედულებებში, რომლებმაც ქართველ მოაზროვნეებზე დიდი გავლენა მოახდინა უნდა გამოვყოთ ერნესტ რენანი. მისი იდეები საკმაოდ პოპულარული იყო XX საუკუნის დასაწყისშიც, მაგრამ მან განსაკუთრებით დიდი გავლენა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ მოსაზრებაზე მოახდინა. აქედან გამომდინარე, გასაგებიცაა თუ სწორედ ერნესტ რენანის განხილვით დავიწყებთ ჩვენს ნაშრომს, რადგან სწორედ ილია ჭავჭავაძის და მისი თანამოაზრეების იდეების მნიშვნელობის გამო გააქტიურდნენ

ეროვნული მიმართულების ძალები საქართველოში XX საუკუნის დასაწყისშიც. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობამ დააყენა ერთ-ერთ პრიორიტეტულ გადასაწყვეტ პრობლემად ეროვნული საკითხის მოგვარება 1900-1917 წლებში, ამიტომ საინტერესოა იმ ადამიანის შეხედულება, ვინც თავად ილია ჭავჭავაძეზე მოახდინა გარკვეული გავლენა.

ერნესტ რენანი (1823-1892) გამოჩენილი ფრანგი პოზიტივისტი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, მწერალი და ფილოლოგი იყო. დასავლურ ლიტერატურაში ხშირად ცდილობდნენ პასუხი გაეცათ კითხვაზე - რა არის ერი? ამ კითხვაზე პასუხთა შორის მეტად პოპულარული იყო ერნესტ რენანის განმარტება, რომელიც მეცნიერულ შინაარსზე მეტად ემოციური დატვირთვის მატარებელია. მისი მოსაზრებით, ერი დიდი სოლიდარობაა, რომლის საფუძველიც ის წმინდა გრძნობებია, რომლებიც წარსულში გაიღეს და მომავალშიც გაიღებენ. ერი გულისხმობს გმირულ წარსულს, ერთიან ნებას აწმყოში და მოქმედების საერთო გეგმას მომავალში. მისთვის ერის არსებობა არის ყოველდღიური პლებისციტი. (ჟოზეფ ერნესტ რენანის განმარტება - „რა არის ერი?“, 2013)

ე. რენანის აზრით მისი თანამედროვე მოაზროვნეები დიდი შეცდომას უშვებენ, როცა ერთმანეთში ურევენ რასას და ერს და ერის სახელს მიაწერენ ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ ჯგუფებს, რომლებიც განვითარების მაღალ დონეზე დგანან. თუმცა ეთნოგრაფიულ მაჩვენებელს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თანამედროვე ერის ორგანიზებაში, რადგან სუფთა რასა არ არსებობს ბუნებაში. (Ренан, 1902, გვ. 87)

მისი ნაშრომი „რა არის ერი?“ ფაქტობრივად მისი საჯარო ლექციაა, რომელიც მან სორბონის უნივერსიტეტში წაიკითხა 1882 წლის 11 მარტს. რენანს მიაჩნია, რომ ერის არსი არის ის, რომ ინდივიდებს ჰქონდეთ ბევრი საერთო ბევრი რამის დასავიწყებლად. დავსვათ კითხვა: რას შეიძლება ეფუძნებოდეს ერის ერთიანობა? ისტორიულად ერის ერთიანობის წარმოშობის რამდენიმე მიზეზს აღიარებდნენ: დინასტიის საფუძველს, ან პროვინციათა უშუალო სურვილებს, ან საერთო სულისკვეთებას დაემარცხებინათ ფეოდალიზმი, მაგრამ მაინც XVIII საუკუნემდე ერების წარმოშობის მთავარ მუხტად ითვლებოდა დინასტია. XIX საუკუნიდან ეროვნული თვითობის დასაყრდენად მიიჩნევენ: 1)რასას, რასაც ე. რენანი არ იზიარებს. ის არ თვლის, რომ რასის უფლება

პირველადია და ადამიანთა რასები მყარი და მუდმივია. თანამედროვე რასები არ არიან ერთგვაროვანნი და რასის ცნებასაც განსხვავებული მნიშვნელობას ანიჭებენ ანთროპოლოგები, ფიზიოლოგები (რომლებიც სისხლისმიერ ნათესაობას გულისხმობენ), ისტორიკოსები, ფილოლოგები (რომლებიც ენობრივ ნათესაობას გულისხმობენ); 2) ან ენას, რასაც ე. რენანი მთლიანად არ იზიარებს, რადგან მისი აზრით ადამიანში არის რაღაც, რაც ენაზე მაღლა დგას. მისი აზრით ენასთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია კულტურა, რადგან ადამიანი გონიერი და ზნეობრივი არსებაა და ის საკუთარ თავს კულტურით გამოხატავს და რომელიმე კულტურას აუცილებლად აკუთვნებს თავს; 3) ან რელიგიას, მაგრამ, ე. რენანის თქმით, რელიგიას არ აქვს საკმარისი საფუძველი თანამედროვე ეროვნებათა დასაფუძნებლად, რადგან მასებს ერთნაირად არ სწამთ, ყველას თავისებურად სწამს, როგორც შეუძლია და როგორც უნდა. რელიგიაც ინდივიდუალური ხასიათის მატარებელი გამოდის; 4) ინტერესთა ერთობასაც არ თვლის ის, სხვებისაგან განსხვავებით, საკმარის პირობად ერის შესაქმნელად; 5) ტერიტორია, რენანის აზრით, არ ქმნის ერს. ერი სულიერი საწყისია, სულიერი ოჯახი და არა ის ჯგუფი, რომელიც განპირობებულია ზედაპირული ფორმებით. (ღაღანიძე, 2013, 1 ივნისი)

ე. რენანის შეხედულების ნათლად დასანახად შეგვიძლია მის მიერ გააზრებული ერის ნიშნები გამოვსახოთ ცხრილის სახით:

ერის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებები	ე. რენანის მოსაზრება
რასა	X
ენა	X
რელიგია	X
ინტერესთა ერთობა	X
ტერიტორია	X
წარსული და მომავლის ერთიანობა	√

საბოლოო ჯამში ე. რენანის შეხედულებით, ერთობა რეალიზდება დინასტიის სახით (მაგ. საფრანგეთი), ან ერთობა იქმნება პროვინციების პირდაპირი დაწინაურების სურვილით (მაგ. ჰოლანდია, შვეიცარია), ან ერთობას აყალიბებს საერთო სული (მაგ. გერმანია). ერთი შეხედვით დინასტიის პრინციპი ძლიერი სჩანს, მაგრამ დინასტიური კანონი არ არის აბსოლუტური. ერის წარმოშობა მის გარეშეც შესაძლებელია. ამის საუკეთესო მაგალითი ამერიკის შეერთებული შტატებია. (Ренан, 1902, გვ. 97)

ე. რენანის კონცეფციით კი ერს მთლიანობად წარსული და მომავალი კრავს. პირველი მოგონებათა მემკვიდრეობის ერთობლივი ფლობაა, მეორე საერთო შეთანხმებაა, სურვილი ერთობლივად ცხოვრებისა და ამ მემკვიდრეობით ერთობლივად სარგებლობისა. ეროვნება შედეგია ხანგრძლივი ძალისხმევისა, მსხვერპლისა და თვითშეზღუდვისა. წინაპრებთა კულტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მისი მეშვეობით ვართ იმგვარნი, როგორებიც ამჟამად ვართ. გმირულ წარსულს და დიდ ადამიანებს ეფუძნება ეროვნული იდეა. ერი, რა თქმა უნდა, გულისხმობს წარსულს, მაგრამ აწმყოში ის შეჯამდება, რადგან ერს გამოხატული ერთად ცხოვრების სურვილი აქვს. დიდი შეჯგუფება საღად მოაზროვნე ადამიანთა ქმნის წრფელი გულით მორალურ ცნობიერებას, რომელსაც ეწოდება ერი. (ღაღანიძე, 2013, 1 ივნისი)

უნივერსალური, ერთიანი კაცობრიობის იდეის პოპულარობამ და ამ იდეის მომხრეების ზრდამ გამოიწვია საწინააღმდეგო რეაქციაც - სწრაფად კვალიციების შექმნა, რომლებსაც ერის ნამდვილ საზღვრებში დაბრუნება სურდათ და სულაც არ სურდათ ამ საზღვრების გაფერმკრთალება კაცობრიობის იდეის სანაცვლოდ. ე. რენანის ნააზრევით, ერთიანი კაცობრიობის იდეამ აქცია უფრო მნიშვნელოვან საკითხად ერის და ეროვნულობის დაცვის საკითხი. (Ренан, 1902, გვ. 87)

ერი ახალი მოვლენაა ისტორიაში. ძველმა ხალხმა არ იცოდნენ მის შესახებ. ძველი ეგვიპტე, ან ჩინეთი, საერთოდ არ იყო ერი, ეს მხოლოდ ხალხის ჯგუფი იყო. მათი მმართველობის უძველესი ფორმა იყო რესპუბლიკა ან მუნიციპალური სახელმწიფო, მაგრამ მათ არ ესმოდათ რა იყო ერი დღევანდელი აზრით. გვიჩნდება კითხვა: ნუთუ ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ მიაღწია ერის წარმოშობამდე ძველ

ეპოქაში? ე. რენანის პასუხი მარტივია - ვერა, თუმცა რომის იმპერია იდგა ყველაზე ახლოს იმასთან, რომ გამხდარიყო ერი. ტერიტორიის სიდიდის (დღევანდელ საფრანგეთზე 12-ჯერ დიდი იყო), შესანიშნავი მებრძოლების, სამაგალითო წესრიგის სახელმწიფოში, იმ პერიოდის სამყაროში ცივილიზაციის განვითარების მოწინავე ადგილის მიუხედავად, რომის იმპერია ვერ ჩამოყალიბდა ერად. (Ренан, 1902, გვ. 88)

უნდა ავღნიშნოთ ე. რენანის ერთი მოსაზრება: ისტორიაში დაშვებული შეცდომები წარმოადგენს ერის შექმნის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს. ხშირად ისტორიული კვლევის პროგრესი დაგვანახებს, რომ ერთობა ყოველთვის იქმნება ძალადობის მეშვეობით, ანუ ყოველი ერის შექმნის უკან დგას კონკრეტული ძალადობრივი, დაპყრობის ფაქტი. თუმცა ძალადობა უფრო აქტიური ხდება დაპყრობილი ხალხის შენარჩუნების პერიოდში. ერთობის შესანარჩუნებლად მუდმივად შიშის გაღვივებაა საჭირო ხალხში. ერის საფუძველი არის ის, რომ ყველა ინდივიდს ჰქონდეს ბევრი საერთო და თუ ეს არ ხდება ბუნებრივად, ხელოვნურად უნდა შეიქმნას საერთო ინტერესები, მისწრაფებები. (Ренан, 1902, გვ. 89)

ვერ ვიტყვით, რომ ერის რენანისეული კონცეფცია მთლიანად ემთხვეოდეს ეროვნული ერთიანობის ი. ჭავჭავაძისეულ კონცეფციას, თუმცა მსგავსებაც შესამჩნევია. ორივე მოზროვნე ერის განსაზღვრაში საერთო ისტორიული წარსულის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე მსჯელობს და ეს ინტერესი წარსულისადმი ორივე მათგანს მომავლის კონსტრუირებისათვის სჭირდებათ. ორივეს პოზიციის მიხედვით სისხლისმიერი ნათესაობა (გვარტომობა) გამორიცხულია ერის წარმომშობ ნიშანთა რიგებიდან. ილიას თანამოაზრე და მისი პირველი ბიოგრაფი გრიგოლ ყიფშიძე ამ ორი მოაზროვნის კავშირზე და საერთო შეხედულებებზე მიუთითებდა (ღაღანიძე, 2013, 1 ივნისი).

§2. კარლ მარქსი ეროვნული საკითხის შესახებ

კაცობრიობის ისტორიის გამოკვლევის შედეგად კ. მარქსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ისტორიაში ჯერ ხალხის ერთმანეთთან შერევის პროცესი მიმდინარეობდა, შემდეგ კი ამ ნიადაგზე ყალიბდებოდა ეროვნებები. ეს პროცესი ხანგრძლივია და მას საუკუნეები სჭირდება. ეროვნებების წარმოშობის შემდეგ კი მათი ერებად კონსოლიდაციის ხანგრძლივი პროცესი იწყება. ბურჟუაზიული ერების ჩამოყალიბების

პროცესის დასაწყისად ის XV საუკუნეს თვლიდა, ანუ იმ პერიოდს, როცა კაპიტალისტური საწარმოო ძალების განვითარება ხდებოდა ფეოდალიზმის წიაღში. (ციცქიშვილი, 1965, გვ. 10-11)

შეგვიძლია ხაზი გავუსვათ იმას, რომ კ. მარქსი (ფ. ენგელსიც) დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნულ მომენტს და საზოგადოებრივი ცხოვრების განხილვისას ყოველთვის ითვალისწინებდა მას. ის მხარს უჭერდა ეროვნულობის განვითარებას, როგორც კაცობრიობის განვითარების აუცილებელ ეტაპს. კ. მარქსი გმობდა კიდეც შტირნერს იმის გამო, რომ ის ეროვნულ საკითხს მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

კ. მარქსი კი ითვალისწინებდა ეროვნულ მომენტს, მაგრამ ის ამ საკითხს მსოფლიო პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით განიხილავდა. ეროვნული საკითხი მისთვის პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას და კაპიტალიზმის დამხობას ექვემდებარებოდა. ერების განვითარების გარეშე ხომ შეუძლებელი იყო სხვადასხვა ქვეყანაში დამოუკიდებელი რევოლუციის დაწყება და მითუმეტეს დასრულება. (ციცქიშვილი, 1965, გვ. 15)

ეროვნული პრობლემის გადაჭრას მან საფუძვლად დაუდო პრინციპი: თითოეულ ხალხს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობა და უნდა იყოს საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ესაა: ერთა თვითგამორკვევის უფლება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე და სხვა სახელმწიფოების მიერ შიდა საქმეებში ჩაურევლობის უფლება. თუმცა ერი იმისთვის, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოიყოს უნდა იყოს საჭირო რაოდენობის („სიდიდის“) მოსახლეობის მხრივ. (ციცქიშვილი, 1965, გვ. 17)

ვასკვნით, რომ კ. მარქსი ეროვნული დაპირისპირების ლიკვიდაციის საფუძვლად კლასობრივი წინააღმდეგობის განადგურებას თვლიდა. ამ უკანასკნელი მოვლენის საფუძველი კი იქნებოდა კერძო საკუთრების გაუქმება საწარმოო საშუალებებზე და საერთო სახალხო საკუთრების დაწესება. კლასობრივი წინააღმდეგობის მოსპობა ქმის თანმიმდევრული დემოკრატიის განხორციელების შესაძლებლობას სახელმწიფოში. კერძო საკუთრების გაუქმება საწარმოო საშუალებებზე ეროვნული საკითხის გადაჭრის ეკონომიური საფუძველია, თანმიმდევრული დემოკრატიული პროცესები კი

პოლიტიკური საფუძველია. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ კ. მარქსი და ფ. ენგელსი მიუთითებენ, რომ: *„ერის შიგნით კლასთა წინააღმდეგობის დაცემასთან ერთად დაეცემა ეროვნებათა მტრული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი“.* (მარქსი & ენგელსი, 1954, გვ. 63)

რევოლუციური პროლეტარიატის ეროვნული ინტერესები მისი ინტერნაციონალური ინტერესების შესაბამისია და არ ეწინააღმდეგება მათ. კ. მარქსი მოითხოვდა ეროვნული განკერძოების დაძლევას, ხოლო პროლეტარიატს შეუძლია უხელმძღვანელოს ერებს შორის ინტერნაციონალური კავშირის დამყარებას, რადგან პროლეტარებს ყველა ქვეყანაში აქვთ ერთი და იგივე ინტერესები, ყავთ ერთი და იგივე მტერი. სწორედ კ. მარქსმა, ფ. ენგელსთან ერთად, ჩაუყარა საფუძველი პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს. (ციცქიშვილი, 1965, გვ. 19-20)

თუმცა მარქსი არ უარყოფს პროლეტარიატის ბრძოლას ეროვნულ ფარგლებში. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ის აღნიშნავს: „თუ შინაარსით არა, ფორმის მიხედვით მაინც პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პირველ ყოვლისა ნაციონალური ბრძოლაა. თვითეული ქვეყნის პროლეტარიატმა, რასაკვირველია, პირველად თავის საკუთარ ბურჟუაზიას უნდა მოუღოს ბოლო“. (მარქსი & ენგელსი, 1954, გვ. 53)

მაგრამ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ეს არის მხოლოდ ფორმალური მხარე, რადგან კ. მარქსი ხმამაღლა აცხადებდა, რომ მუშებს არ აქვთ სამშობლო, რადგან მუშების ინტერნაციონალური ერთიანობა ეროვნულ ერთიანობაზე უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი მოსაზრებით, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემო პირობებიც, როდესაც დაიწერა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. 1847 წელს დაწერილი ამ მანიფესტის დროს მუშები სამუშაოს ძიების გამო ერთი კუთხიდან მეორეში, ხშირად უცხო ქვეყანაშიც გადადიოდნენ. ამ გაგებით მუშებს სამშობლო არ ჰქონდათ.

მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გააშუქეს ეროვნული საკითხი მატერიალისტური თვალსაზრისით. მათ ერის წარმოშობა განსაზღვრულ ისტორიული ეპოქის პროდუქტად და ერი ისტორიულ კატეგორიად მიაჩნდათ. ისინი თვლიდნენ, რომ ეროვნული ჩაგვრის და უთანასწორობის მოსპობა

შესაძლებელი იყო მხოლოდ კაპიტალიზმის მოსპობის და სოციალიზმის გამარჯვების შედეგად. ერებს შორის მტრული დამოკიდებულება მოისპობა ერის შიგნით კლასთა წინაარმდეგობის მოსპობის საფუძველზე. გასაგებია ის მოსაზრებაც, რომ კ. მარქსის თანახმად მუშათა კლასი თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია. (ახობაძე, 1965, გვ. 3)

ქართველი ისტორიკოსის და მკვლევარის გ. ყორანაშვილის აზრით, კ. მარქსის სოციოლოგიურ ნააზრევში და მომავალი საზოგადოების შესახებ წარმოდგენებში ეროვნული საკითხი სავსებით იგნორირებულია. კ. მარქსი წარმოშობით ებრაელი იყო, მაგრამ გაქრისტიანებული. ის არც ებრაელი იყო და არც გერმანელი. ის ანტისემიტი იყო, რასაც მისი ახალგაზრდობაში შექმნილი ნაშრომიც ამტკიცებს „ებრაელთა საკითხისათვის“. კ. მარქსი დაცლილი იყო გერმანული ეროვნული გრძნობისა და შეგნებისგან. ის კოსმოპოლიტი იყო და ამით აიხსნება ის, რომ ის არ ამუშავებს ღრმად ეროვნულ საკითხს. თავის მხრივ, ვ. ი. ლენინიც დენაციონალიზებული იყო, იგივე ითქმის ი. ბ. სტალინზეც. (ყორანაშვილი, 1997, გვ. 4-5)

მარქსისტულ სოციოლოგიაში ჭეშმარიტებაა ის აზრი, რომ კლასობრივად გათიშულ საზოგადოებაში ადგილი აქვს ბრძოლას ამ კლასებს შორის, ანუ საზოგადოებრივი ცნობიერების გათიშულობას. ერთ მომენტში ეს კანონზომიერება არ მოქმედებს, როდესაც ესა თუ ის საზოგადოება, ხალხი დაპყრობის საფრთხის წინაშე დგას ან დაპყრობილია. ასეთ ვითარებაში მყოფ ეთნოსს უჩნდება საერთო ინტერესები, რის გამოც ხდება საზოგადოების შემადგენელი კლასების და ფენების დროებითი გაერთიანება. როგორია თანაფორდობა ეროვნული და სოციალური საკითხების გადაწყვეტისას აღნიშნულ სიტუაციაში? მარქსი და ენგელსი გვეტყვიან, რომ: *„ეროვნული ჩაგვრის მოშორება ძირითადი პირობაა ყოველი ჯანსაღი და თავისუფალი განვითარებისათვის. მანამ, სანამ არ არის მიღწეული ეროვნული დამოუკიდებლობა, დიდ ხალხს ისტორიულად არ შეუძლია განიხილოს რამდენადმე სერიოზულად რაიმე საშინაო საკითხები“.* (ყორანაშვილი, 1997, გვ. 33-34)

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ვხვდებით ასეთ აზრს: „თუ არ იქნა აღდგენილი ყოველი ცალკეული ერის დამოუკიდებლობა და ერთიანობა, ისე არც პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებაა შესაძლებელი და არც ამ ერების

მშვიდობიანი და შეგნებული თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად“. (მარქსი & ენგელსი, 1954, გვ. 33)

თუმცა შემდგომი პერიოდის შემოქმედებაში კ. მარქსი საუბრობს ერების არსებობასზე აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში კაპიტალისტური წარმოების წესის გარეშე და მანამდე, მაგრამ ტერმინი „ერი“ თითქმის ხალხის, ეთნოსის მნიშვნელობით აქვს გამოყენებული (საბჭოელი მეცნიერის ს. ტ. კალტახჩიანის მოსაზრებით). თუმცა გ. ყორანაშვილი ამ აზრს არ ეთანხმება და საუბრობს იმაზე, რომ ტერმინოლოგიურ უზუსტობას ერის შესახებ არ ვხვდებით მარქსისზმის კლასიკოსებში. (ყორანაშვილი, 1997, გვ. 78)

უნდა დავეთანხმოთ საბჭოელ მეცნიერს და ვთქვათ, რომ მართალია მარქსის (და ენგელსის) ნაშრომებში ერის ტერმინი ზოგჯერ ფეოდალური ფორმაციების მიმართაც გამოიყენებოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კ. მარქსი ერთმანეთისგან ერს და ეროვნებას არ განასხვავებდა. როცა ის წინაკაპიტალისტურ ერებზე ლაპარაკობდა, მხედველობაში ჰქონდა ერი, როგორც ეთნიკური ერთობა, რაც ერების ჩამოყალიბებამდე იქმნება. ამ აზრს იზიარებს ქართველი ისტორიკოსი და მკვლევარი აკაკი სურგულაძეც. (სურგულაძე, 1970, (ა), გვ. 35)

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დროს ითვალისწინებს ორ ისტორიულ ტენდენციას, რომელიც კაპიტალიზმის განვითარებას წარმოშობს. პირველი ტენდენცია, რომელიც განსაკუთრებული სიძლიერით აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში ვლინდება, ხასიათდება ერების გამოღვიძებით და მათ მიერ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ფართოდ გაშლით; ხოლო მეორე ტენდენცია, რომელიც განსაკუთრებული სიძლიერით იმპერიალიზმის ეპოქაში ვლინდება, ხასიათდება ერების ერთმანეთთან დაახლოებით, ეროვნული საზღვრების მოშლით და ბურჟუაზიულ ერებს შორის ინტერნაციონალური კავშირის გაძლიერებით. აღნიშნულ ტენდენციათა შერიგება კი შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალიზმის მოსპობის შემდეგ, როცა გაიმარჯვებს ერის სრული თანასწორუფლებიანობისა და ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერნაციონალური მეგობრობის პრინციპი. (რატიანი, 1976, გვ. 47)

საქართველოში მარქსიზმის განვითარება განპირობებული იყო ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების განვითარებით, კაპიტალისტური ურთიერთობა შემოიჭრა ქართულ რეალობაში და ახალი სოციალური კლასები წარმოშვა. 90-იან წლებში უკვე განვითარებული იყო სოციალური დიფერენციაცია. (ხუნდაძე, 1927, გვ. 199)

საქართველოში ნამდვილი მარქსიზმის მიმდევრების გამოსვლამდე ასპარეზზე 90-იან წლებში, ვხვდებით „ცალმხრივ მარქსიზმს". ეს ეკლექტიური მარქსიზმის პერიოდი იყო, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისიდან იწყება. მაგ. გ. ლასხიშვილი, რომელიც იზიარებდა ეკონომიური მატერიალიზმის თეორიას, მაგრამ უარყოფდა მარქსიზმის ეკონომიკას. 1895 წელს ის წერდა: *„ეკონომიური ორგანიზაცია, ერის წარმოებითი ძალა, ის საძირკველია, რომელზედაც შენდება პოლიტიკური, იურიდიული და სხვა მხარე ცხოვრებისა".* (ლასხიშვილი, 1895)

მარქსიზმის ზოგიერთ ელემენტს იზიარებდნენ გ. მაიაშვილი და ბოსლეველი, თუმცა ისინი მარქსისტული მიმდინარეობის ნამდვილი წარმომადგენლები არ ყოფილან. ისინი მარქსიზმის ელემენტებს ეკლექტიურად აკავშირებდნენ მარქსიზმის საწინააღმდეგო მოძღვრებას. (ხუნდაძე, 1927, გვ. 140)

ფ. მახარაძის წერილი „უთავბოლობის ნაყოფი", რომელიც მან 1892 წელს დაწერა, პირველი სერიოზული მარქსისტული დოკუმენტია საქართველოში. 1892-1893 წლებში მის სოციალ-პოლიტიკურ წერილებს ახასიათებდა შემდეგი მოტივები: 1) აღნიშნავდა ახალი სამეურნეო პერიოდის დასაწყისს და კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებას საქართველოში; 2) საუბრობდა ორი კლასის ჩამოყალიბებაზე: ბურჟუაზიასა და პროლეტარიატზე; 3) განიხილავდა პროლეტარიატის როლს სოციალიზმის განვითარებაში; 4) ისტორიას გაიგებდა მატერიალისტურად; 5) აკრიტიკებდა ქართველ თავადაზნაურებს და ბურჟუაზიებს. (მახარაძე, 1895)

§3. კ. მარქსის ევროპელი ინტერპრეტატორები

§3. 1. ავსტრომარქსიზმის წარმომადგენლების გავლენა 1900-1917 წლების საქართველოში ერის ცნების განსაზღვრაზე

გასაკვირი არცაა, რომ რ. შპრინგერის და ო. ბაუერის ნააზრევი ერის შესახებ პოპულარული იყო საქართველოში (1900-1917 წლებში), რადგან თავად ი. ბ. სტალინი

თავის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ აკრიტიკებდა ორივე მათგანის შეხედულებას. რადგან სტალინის ნაშრომს ბევრი მკითხველი ჰყავდა ამ ორი ავტორისადმი ინტერესი გაორმაგდა საქართველოშიც.

ო. ბაუერი ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მუშათა პარტიის წარმომადგენელი იყო. მისი აზრით, „ნაციონალური ხასიათი“ ერის განსაზღვრის არსებითი ნიშანია, სწორედ ამის გამო იქცა ის ი. სტალინის კრიტიკის ობიექტად. ო. ბაუერის მოსაზრებით ერი ხასიათის შედარებითი ერთობაა, ანუ იმ ნიშანთა ჯამი, რომელიც ერთი ეროვნების ადამიანებს განასხვავებს მეორე ეროვნების ადამიანთაგან. ესაა ფიზიკური და სულიერი თვისებათა კომპლექსი. ო. ბაუერს ზღვარი აქვს გავლებული ერის განმასხვავებელ ნიშანს, ანუ ნაციონალურ ხასიათს და ერის ცხოვრების პირობებს შორის, რაშიც სტალინის მიერ დასახელებული ერის სხვა ნიშნები იგულისხმება. ამ აზრს სტალინი კითხვით აკრიტიკებს და კითხვას სვამს: *„რა არის ნაციონალური ხასიათი, თუ არა ცხოვრების პირობების ანარეკლი?“.* (სტალინი, 1947, გვ. 320)

ო. ბაუერი კითხულობს: „რა არის ერი?“ და თავის შეკითხვას პასუხობს, რომ ეს არ არის ენის ერთობა, რადგან ამის შესანიშნავი მაგალითი არის ინგლისელები და ირლანდიელები, რომლებსაც საერთო ენა აქვთ, მაგრამ ისინი ერთი ერი არ არიან. განსაკუთრებით ო. ბაუერი გამოჰყოფს ებრაელ ერს, რომელთაც არ აქვთ საერთო ენა და მაინც ისინი ერს წარმოადგენენ. (ბაუერი, 1909, გვ. 6)

ის თვლის, რომ ერის განსაზღვრა ხასიათის შედარებითი ერთობით უნდა მოხდეს. ადამიანთა ხასიათი კი მხოლოდ მათი ბედით განისაზღვრება. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ: ერი არის ბედის ერთობა, რომელიც თავის მხრივ იმ პირობებით განისაზღვრება, რომლებშიც ადამიანები ცხოვრების საშუალებებს ქმნიან და შრომის პროდუქტებს აწარმოებენ, ინაწილებენ. (ბაუერი, 1909, გვ. 24-25)

ისტორიკოს გ. ყორანაშვილის აზრით, ი. ბ. სტალინის ერის ცნების განსაზღვრასთან შედარებით მეტად მისაღებია ო. ბაუერისეული განსაზღვრება. ის აღნიშნავს: *„ბევრად უფრო მისაღებია ერის ოტო ბაუერისეული დეფინიცია,სადაც ხაზგასმულია ეროვნული ხასიათის ერთობა ისტორიული ბედის ერთობის საფუძველზე. თუმცა, ი. ბ. სტალინის მიხედვით, ო. ბაუერისეული განსაზღვრა*

„სპირიტუალისტური და მისტიკურია“, ვინაიდან „ეროვნული ხასიათის ერთობა ბედის ერთობის ნიადაგზე“ ტერიტორიის, ენისა და ეკონომიკური ცხოვრების ერთობის გარეშეა წარმოდგენილი. ეს აშკარად მცდარია: ო.ბაუერი ამ ფაქტორებზე გარკვევით ლაპარაკობდა, ოღონდ დეფინიციაში მათთვის ადგილს არ სტოვებდა. ამასთანავე, ტერიტორია და ეკონომიკური ცხოვრება ამ უკანასკნელისათვის ერის არსებობისათვის აუცილებელი პირობები (და არა ნიშან-თვისებები) იყო, რაც ფრიად საგულისხმო აზრია“. (ყორანაშვილი, 1997, გვ. 13)

გვინდა ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომ რეალურად ო. ბაუერი ამ ფაქტორებზე ყურადღებას ამახვილებდა. მის ნააზრევში არ არის ჩრდილში დარჩენილი თუნდაც ტერიტორიის ფაქტორი ერისათვის. ის აღნიშნავს საერთო ტერიტორიის გავლენას ხასიათის ერთობის ჩამოყალიბებაში, მაგრამ აქ, მთავარი ისაა, რომ ტერიტორიას ის ერის ცნების შემქმნელ და ჩამომყალიბებელ მარკერად არ თვლის, მას უბრალოდ მიიჩნევს გარემო ფაქტორად, რაც ჰქმნის ერის ხასიათის შინაარს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ საერთო ტერიტორიის გარეშეც ერმა განაგრძოს არსებობა. ის არა ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ერის წევრები შეიძლება საცხოვრებლად სხვა ერის ტერიტორიაზე გადავიდნენ, მაგრამ ისინი მაინც არ ივიწყებენ ყოველი ერის საცხოვრებელ საზღვრებს. პირიქით, აღიარებენ თავისი ერის საზღვრებს და საუკუნოდ ხელშეუხებლად ინახავენ მას საკუთარ მეხსიერებაში. გამოდის, რომ თეორიულად მაინც ისინი რჩებიან იმ ერის წევრებად, რომელიც მათთვის მშობლიურია. ყოველთვის გრძნობენ ამ ერთან, მის ტერიტორიასთან კავშირს და, ალბათ, აქვთ იმედი იქ დაბრუნებისა. აკაკი ჩხენკელიც ხაზს უსვამდა ოტო ბაუერზე საუბრისას, რომ ის ძალიან კარგად გრძნობდა ტერიტორიული ორგანიზაციის დიდ მნიშვნელობას თითოეული ერისათვის. ის მოითხოვდა „მხარეების ეროვნულად შემოფარგვლას“, ანუ ეროვნულ ავტონომიას ყველა ერისათვის, რომელ ტერიტორიაზეც არ უნდა იმყოფებოდეს ის. ო. ბაუერი საუბრობს ე.წ. ეროვნულ უმცირესობათა „კუნძულებზე“. ამ სიტყვაში ის გულისხმობს იმას, რომ კაპიტალიზმის ხანაში უფრო ხშირად ერთი ერის წევრები მეორე ერის ტერიტორიის კიდეზე კი არ გადადიოდნენ საცხოვრებლად, არამედ მის შუაგულში და წარმოშობდნენ იქ უცხო ენის „კუნძულებს“. კოლონისტთა უმეტესობა მუშები იყვნენ, რომლებიც მიისწრაფოდნენ სამრეწველო ქალაქებისა და ცენტრებისაკენ,

ისინი კი ხშირად ერთა ტერიტორიის შუაგულში მდებარეობდნენ. ო. ბაუერი მოითხოვდა ერთი მხრივ, ამ „კუნძულების“ საჯარო-უფლებრივ ერთეულებად ცნობას, ხოლო მეორე მხრივ, ამ „კუნძულების“ გაერთიანებას მომძმე ტერიტორიულ ერთეულებთან საერთო კულტურულ-ეროვნული საქმეებისათვის. ის ითხოვდა ეროვნული უმცირესობის უფლებათა სრულ აღიარებას და ამასთანავე ყურადღებას ამახვილებდა საჭირო საქმეების გამო მათ გაერთიანებაზე ადგილობრივ ერთან (ან ერებთან). (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 46-48)

ო. ბაუერი ერის საკუთარ განსაზღვრებას სრულყოფილად თვლის. ის ასკვნის: *„ერი იმ ადამინთა მთელი ერთობლიობაა, რომელნიც შეკავშირებულნი არიან ხასიათის ერთობაში ბედის ერთობის ნიადაგზე“.* (ბაუერი, 1909, გვ. 139)

გამოდის, რომ ნაციონალური ხასიათის ერთობა, მისი აზრით, საკმარისია ერის შესაქმნელად ტერიტორიის, ენისა და საერთო ეკონომიკურ ერთობასთან კავშირის გარეშე. ო. ბაუერის მთავარი ისტორიული მაგალითა არის ებრაელი ერი.

ი. სტალინიც სწორედ ებრაელების მაგალითზე ცდილობს ო. ბაუერის არგუმენტის გაბათილებას. ო. ბაუერი საუბრობს ებრაელებზე, როგორც ერზე ხასიათის ერთობის გამო, რასაც ის ბედის ერთობას უწოდებს. ი. სტალინის აზრით, შეუძლებელია ბედის ერთობაზე საუბარი საქართველოში, რუსეთში, ამერიკაში მცხოვრებ ებრაელებზე. ისინი შორს არიან ფიზიკურად ერთმანეთისაგან, სხვადასხვა ტერიტორიაზე ცხოვრობენ და სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ეს ებრაელები ქართველებთან, რუსებთან, ამერიკელებთან ცხოვრობენ საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრებით, ასევე კულტურულ ატმოსფეროში და არა საკუთარ ერთან. ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს მათ ნაციონალურ ხასიათზე. სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ ებრაელებს საერთო რელიგია, საერთო წარმოშობა და ნაციონალური ხასიათის ზოგიერთი ნაშთიღა აქვთ შემორჩენილი. *„გაქვავებული რელიგიური წესები და გაქრობის პროცესში მყოფი ფსიქოლოგიური ნაშთი უფრო ძლიერ გავლენას ახდენენ ებრაელებზე, თუ მათ ირგვლივ არსებული ცოცხალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული გარემო?!“* - სვავს რიტორიკულ შეკითხვას ი. სტალინი. (სტალინი, 1947, გვ. 321)

ჩვენი აზრით, ორივე ავტორის არგუმენტები ნაწილობრივ მართალია, უბრალოდ ო. ბაუერი და რ. შპრინგერის ნააზრევი, რომ განვაზოგადოთ გამოდის, რომ „ნაციონალური ხასიათი“ ერის ერთადერთი ნიშანია, ხოლო დანარჩენი ი. სტალინის მიერ მიჩნეული ერის ნიშნები მხოლოდ ერის განვითარების პირობებია. იგივე ებრაელების მაგალითზე ნათელია, რომ შესაძლებელია ეროვნულობის შენარჩუნება ენის თუ ტერიტორიის განსხვავების მიუხედავად ან საერთო ეკონომიური ცხოვრების მიუხედავად, მაგრამ ეს საკმაოდ რთულია და მაგ. როცა არ აქვს ერს საერთო ტერიტორია, მისი ასიმილაციის საფრთხე სხვა ხალხთან მაღალია. როგორ ჩამოყალიბდება საწყის ეტაპზე თუნდაც „ნაციონალური ხასიათი“ თუ არ არსებობს ერთად ცხოვრების გამოცდილება, ისტორია, ურთიერთობა - ამისთვის კი სწორედ ეს განვითარების პირობებია აუცილებელი. აქედან ვასკვნით, რომ თავად ნაციონალური ხასიათის ერთობის წინაპირობებია ი. ბ. სტალინის ერის დარჩენილი სამი ნიშან-თვისება. ეს საფუძველს გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ ერის განვითარებისთვის არ კმარა მხოლოდ ერთი მარკერი - „ხასიათის ერთობა“, „კულტურული ერთობა“ თუ „ფსიქიკური წყობა“, რომელი სახელითაც გინდა მოვიხსენიოთ ეს ნიშანი.

გადავწყვიტეთ რ. შპრინგერიც (რენერი) ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილოთ, რადგან რეალურად მის შემოქმედებას ეყრდნობა ო. ბაუერი. კარლ რენერიც ავსტრომარქსიზმის თეორიტიკოსი იყო ო. ბაუერთან, ვიქტორ ადლერთან და მაქს ადლერთან ერთად. ის ავსტრიის მეოთხე ფედერალური პრეზიდენტი იყო და ავსტრიის პირველი პრეზიდენტი მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ის ეროვნულ საკითხზე ბევრს მსჯელობდა და ეროვნული პრინციპის მოსაწესრიგებლად იყენებდა პერსონალურ პრინციპს. რა იგულისხმება ამ პრინციპში? რადგან სახელმწიფო არ სცნობს ერის უფლებებს ერები თავის მხრივ იბრძვიან სახელმწიფო უფლების მოსაპოვებლად. ამ ბრძოლაში კი ორივეს, სახელმწიფოს და ერთა, ინტერესებიც იჩაგრება. ამის თავიდან ასაცილებლად, რ. შპრინგერის აზრით, შესაძლებელია მათი ინტერესების პარარელურად არსებობა: თითოეულს მიეზღოს ის, რაც ეკუთვნის და ჩამოერთვას ის, რაც ზედმეტია მისთვის. თავდაპირველად კი ერიც, სახელმწიფოს მსგავსად,უფლებრივ ორგანიზმად უნდა აღიარონ. სახელმწიფოს ქვაკუთხედი მისი ტერიტორიაა, ხოლო ერისა კი- მისი წევრები არიან, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ

ისინი ტერიტორიულად. გამოდის, რომ სახელმწიფოს მთლიანობა ტერიტორიულ პრინციპს ეყრდნობა, ხოლო ერის - პერსონალურ პრინციპს. ის თვლის, რომ ერის იურიდიულად გაერთიანება მხოლოდ პერსონალური პრინციპის საფუძველზეა შესაძლებელი. პერსონალური პრინციპი უარყოფს ისტორიულ სამეფოებს და ქვეყნების და საზღვრების ამ ფეტიშს. (Springer, 1902, გვ. 145-154)

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ რ. შპრინგერის ნააზრევს დიდი გავლენა მოუხდენია მ. წერეთელზე. ქართველი ანარქისტი პირდაპირ ამ ერის უფლებათა არ არსებობის პრობლემაზე საუბრობს თავის ნაშრომში „ერი და კაცობრიობა“ და ამ პრობლემას ერთ-ერთ თავსაც უძღვნის, სადაც საერთაშორისო სამართლის ნაკლოვანებებზე მიუთითებს, რომლებშიც მთავარი ისაა, რომ საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებს შორის სამართალია და არა ერთა შორის.

რ. შპრინგერის გეგმით სახელმწიფო უნდა დაიყოს თვითმმართველ ოლქებად, ოლქი - მაზრებად, მაზრა - თემებად. ოლქის საზღვრები კი ერის ბინადრობის მიხედვით უნდა შემოიფარგლოს. სწორედ ამ შემთხვევაში მივიღებთ ჩვენ, მისი აზრით, ნამდვილ ეროვნულ ტერიტორიას და ერის „კერას“. თითოეულ ასეთ ოლქს ექნება თავისი განსაკუთრებული წარმომადგენლობა - საბჭო. (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 48-49)

ამრიგად, რ. შპრინგერი მოითხოვდა ერთ მთლიან ორგანიზაციას ერისათვის და ყველა მისი წევრებისათვის, დამოუკიდებლად იმისა თუ სად ცხოვრობენ ისინი. (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 49)

რ. შპრინგერის მიხედვით, ერი ერთნაირად მოაზროვნე და მოლაპარაკე ადამიანთა კავშირია. ეს არის ადამიანთა კულტურული ერთობა, რომელიც არ არის დაკავშირებული ტერიტორიასთან. რაგინდ შორს და განცალკევებულადაც გინდა ცხოვრობდნენ ერის წარმომადგენლები, საერთო ერის წევრების კავშირი მაინც მტკიცეა. (სტალინი, 1947, გვ. 319-320)

§3. 2. კ. კაუცკი ერის ცნების შესახებ

მარქსიზმი, როგორც აზროვნების სისტემა 1883 წელს კ. მარქსის გარდაცვალების შემდეგ გაფორმდა. მისი იდეების სისტემურ მსოფლმხედველობად გადაქცევაში დიდი წვლილი შეიტანა კ. კაუცკიმ. (ჰეივუდი, 2004, გვ. 143)

კ. კაუცკი თავის ადრინდელ ნაშრომებში („ჩვენი დროის ეროვნება“, „ნაციონალური საკითხის შესახებ რუსეთში“, „ეროვნებათა ბრძოლა და სახელმწიფოებრივი სამართალი ავსტრიაში“ და სხვ.) განიხილავდა ერის ცნებას და ერების წარმოშობის საკითხს. მას ერის დამახასიათებელ ნიშნებად ენა, ტერიტორია, ეკონომიური ერთობა და ეროვნული სახელმწიფო მიაჩნდა. კაუცკი შეუძლებლად თვლიდა ერების ჩამოყალიბებას ფეოდალიზმის ეპოქაში. შუა საუკუნეებში სახელმწიფო შედგებოდა მრავალი ოლქებისგან, რომლებიც თავის თავს თვითონ მართავდნენ, ხოლო სამეურნეო ურთიერთობაში დამოუკიდებელნი იყვნენ და სახელმწიფო ხელისუფლებასთან მხოლოდ დამოკიდებულების სუსტი ძაფით იყვნენ დაკავშირებული. მხოლოდ კაპიტალიზმი საჭიროებს ფართო შინაურ ბაზარს და სრულ შეუფერხებელ ურთიერთობას და შედარებით თავისუფალ გასაქანს მსოფლიო ბაზარზე. მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესს შეადგენს ერთი მხრივ შეადუღოს ერის ყველა ნაწილი ერთ სახელმწიფოდ, მეორე მხრივ, ყველა დანარჩენ ერებს სახელმწიფოში თავზე მოახვიოს თავისი საკუთარი ნაციონალური ენა. მიუთითებდა რა თვისობრივ განსხვავებაზე ტომსა და ერს შორის, კაუცკი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების შედეგად აღმოცენდებაო. (სურგულაძე, 1970, (ა), გვ. 37)

კ. კაუცკის შეხედულებით, ეროვნული იდეა ხალხის მოთხოვნილებაა და ამიტომ ეს მოთხოვნა დაკავშირებულია სოციალ-დემოკრატების დემოკრატიულ და ინტერნაციონალურ მიზნებთანაც. ეროვნულ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა ნიშნავს ამ მიზნებზე უარის თქმას. სოციალ-დემოკრატია დამცველია ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის.

კ. კაუცკის აზრით, თითოეული ერის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ინტერნაციონალური საქმე იყო. სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილება კი უნდა იყოს:

ერთი ერი - ერთი სახელმწიფო. ეს მოსაზრება გაიზიარა ა. ჩხენკელმა თავის ნაშრომში „ერი და ჩვენ“, რადგან მათი აზრით გზა სოციალიზმისაკენ ეროვნულ სახელმწიფოზე გადის. კ. კაუცკის აზრით, მომავალში თითოეული ასეთი ეროვნული სახელმწიფოს შიგნით შესაძლებელი იქნება სრული დემოკრატიის, და არა ფორმალურის, დამკვიდრება. პროლეტარიატს კი სხვა გზა არ აქვს დემოკრატიის გარდა საკუთარი უფლებების მოსაპოვებლად. სწორედ ამის გამოა სოციალ-დემოკრატიის მუშათა პარტიის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პუნქტია: ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. (ნოზაძე, 2013, გვ. 8-9)

კ. კაუცკი თვლის, რომ ეროვნული იდეის განვითარებაში სამი ფაქტორია მთავარი: 1) ბურჟუაზიის მისწრაფება საკუთარი შინაური ბაზრის გაძლიერებისაკენ, ანუ უცხო მრეწველებისათვის თავისი საზღვრების დაკეტვა და ნაციონალური კაპიტალის გაერთიანება, გაძლიერება საზღვარგარეთული კონკურენციის წინააღმდეგ; 2) მეორე ფაქტორია: პოლიტიკური თავისუფლებისაკენ სწრაფვა. ეს მისწრაფება ხალხის მოთხოვნაა, რომელსაც არ სურს არავითარი ძალის დაქვემდებარება; 3) ეროვნული მისწრაფების საფუძველია: ეროვნული ლიტერატური და მეცნიერების ხალხში გავრცელება, რაც XIX საუკუნის დამახასიათებელი მოვლენა გახდა. (ნოზაძე, 2013, გვ. 10)

საინტერესოა, რომ კ. კაუცკი ამ სამი ფაქტორის მატარებლად სამ სხვადასხვა კლასს მიიჩნევს: პირველი ფაქტორის მატარებლები არიან - კაპიტალისტები; მეორე ფაქტორის - მუშათა კლასი; ხოლო მესამე ფაქტორის - ინტელიგენცია.

თითოეულ კლასს, რა თქმა უნდა, თავის მიზანი აქვს, მაგრამ დაჩაგრული ერის ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას მხარს სამივე კლასი უჭერს. ამ საერთო მიზნის გამო იკვეთება მათი გზები, მაგრამ მიზნის განხორციელების შემდეგ ისინი კვლავ დაშორდებიან და შემდეგ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. (ნოზაძე, 2013, გვ. 10-11)

ეს მოსაზრება ჩვენთვის საყურადღებოა, რადგან იდეური და მსოფლმხედველობრივი განსხვავებების დაძლევა ხდება, როცა დაჩაგრული და დაპყრობილი ერი იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მხოლოდ

ამ მიზნის მიღწევის შემდეგ გრძელდება ერთი ერის შიგნით კლასებს შორის დაპირისპირება, მიზნის მიღწევის პროცესში კი ისინი ერთიანდებიან.

კ. კაუცკი საუბრობს საქართველოზეც: მარქსისტული თეორია წარმოიშვა ევროპის უკიდურეს დასავლეთში. საინტერესოა საქართველოს შემთხვევა კაუცკისათვის,რადგან წარსულში მარქსიზმი არ გავრცელებულა იმ წყობილებაში, როგორიც ჩვენს ქვეყანას ჰქონდა. სხვა სოციალისტებისგან მარქსი იმით განსხვავდება, რომ განვითარებული მსხვილ-ინდუსტრიული კაპიტალიზმი მიაჩნდა მომავალი სოციალისტური საზოგადოების საფუძვლად. (კაუცკი, 1920, გვ. 1)

ინგლისის პროლეტარების ბრძოლაზე დაკვირვებამ კ. მარქსი (ენგელსიც) მიახვედრა, რომ სოციალისტები მუშებს ჭადრაკის პაიკების ფუნქციას არ უნდა ანიჭებდნენ, რომელსაც თავის ნებაზე გადაადგილებენ, არამედ მთელი ძალა პროლეტარიატის გონებრივ და ორგანიზაციულ განვითარებას უნდა მოახმარონ. მუშებს მუდამ სწორად არ აქვთ გააზრებული რა არის მათთვის უმჯობესი. საჭიროა მათი გათვითცნობიერება. სწორედ ამ გზით წავიდნენ ქართველი მარქსისტები, როცა აქტიურად მუშაობდნენ სოციალურად დაბალი ფენის პოლიტიკურ პროცესებში ჩასართავად. (კაუცკი, 1920, გვ. 3-4)

კ. მარქსი ნათლად ამბობს, რომ ერთ ერს შეუძლია ისწავლოს სხვა ერებისაგან და ამით სწრაფად განვითარდეს. ამიტომ, კ. კაუცკის აზრით, სწორედ ერთა შორის კომუნიკაციას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რაც ინტერნაციონალიზმის საფუძველიცაა. (კაუცკი, 1920, გვ. 9)

§4. ლუდვიგ გუმპლოვიჩის გავლენა 1900-1917 წლების ქართველ ეროვნული მიმართულების წარმომადგენლებზე

ლ. გუმპლოვიჩი (1838-1909) ე. წ. სოციალ-დარვინიზმის წარმომადგენელია, რაც გულისხმობს, რომ ეს მიმდინარეობა ემყარება დარვინის ბუნებრივი შერჩევის პრინციპებს, ანუ მას სოციალურ ცხოვრებაში გადააქვს ბიოლოგიური სამყაროს ევოლუციური განვითარება, არსებობისთვის ბრძოლის კანონები. სოციალ-დარვინიზმის მთავარი თეზისია: საზოგადოებისა და ცოცხალი ორგანიზმების იგივეობა, სრული გაზიარება ჰობსის ფორმულისა, რომ ომი ადამიანთა შორის მათი

არსებობის ბუნებრივი წესია. ერთი ნაწილი საზოგადოებისა გარკვეული მემკვიდრეობით გადმოცემული ან შეძენილი უპირატესობის საშუალებით ავიწროებს, თრგუნავს და ბატონობს მეორე ნაწილზე. (კოდუა, 2004, გვ. 351)

მართალია ლ. გუმპლოვიჩი სოციალ-დარვინიზმის წარმომადგენელია, მაგრამ მას, ჩვენი შეფასებით, თავისი კონცეფცია უშუალოდ ევოლუციური თეორიებიდან არ გამოჰყავდა. მეტიც, ის ბიოლოგიური ანალოგიების მოწინააღმდეგე იყო და იმ სოციოლოგებს (ო. კონტი, ჰ. სპენსერი) აკრიტიკებდა, რომლებიც მსგავს ანალოგიებს მიმართავდნენ ამხსნელი პრინციპის სახით. მისი აზრით, ბიოლოგიური ანალოგიები სოციოლოგიისთვის ცოდნის მომტანი ვერ იქნებოდა. ალბათ, ლ. გუმპლოვიჩის კონცეფციას მკვლევარები სოციალ-დარვინიზმს იმიტომ აკუთვნებენ, რომ საზოგადოებას ის ახასიათებს ჯგუფთა ერთობლიობად, რომლებიც ბატონობისათვის შეუბრალებლად ებრძვიან ერთმანეთს. („ნატურალიზმი XIX საუკუნის და XX-ის დასაწყისის სოციოლოგიაში“, 2012)

ლ. გუმპლოვიჩის ინტერპრეტაციით, ინდივიდი მისი თავისუფლებით, როგორც ფსევდორეალობა, ანუ მეორე რიგის რეალობა გამოდის. საზოგადოება, სოციალური ჯგუფი, რომელიც ინდივიდის მოქმედებასა და ქცევას განსაზღვრავს, პირიქით ნამდვილ და უმაღლეს რეალობას წარმოადგენს. მასთან სოციალური რეალიზმის უკიდერეს ფორმას ვაწყდებით ე. ი. შეხედულებას საზოგადოებაზე, როგორც რეალობაზე, რომელიც მის შემადგენელ ინდივიდებზე არა მხოლოდ არ დაიყვანება, არამედ მათ გარეშე და მათზე მაღალ საფეხურზე არსებობს. („ნატურალიზმი XIX საუკუნის და XX-ის დასაწყისის სოციოლოგიაში“, 2012)

თავად გუმპლოვიჩი საკუთარ მსოფლმხედველობას უწოდებს რეალისტურს. ბრძოლა არსებობისათვის სოციალური ცხოვრების ძირითადი ფაქტორია. ეს ბრძოლა კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრი იყო და იქნება, რადგან ის საზოგადოებრივი განვითარების მთავარი სტიმულატორია. ის გამოიხატება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ბრძოლაში. თითოეული ჯგუფი მიისწრაფვის მეორეს დამორჩილებისაკენ. ისტორიის კანონით კი ძლიერი ამარცხებს სუსტს და ბატონობს დამარცხებულზე. იგი თვლის, რომ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის

განუწყვეტელი და შეუბრალებელი ბრძოლა სწორედ სოციალური ცხოვრების მთავარ ფაქტორს შეადგენს. მისთვის ძირითადი სოციოლოგიური კანონია ის, რომ ყოველ სოციალურ ჯგუფს აქვს მისწრაფება დაიმორჩილოს ყველა სხვა სოციალური ჯგუფი, რომელიც კი მას გზაზე ხვდება. (მეტრეველი & დავითაშვილი, 1999, გვ. 270-271)

მის კონცეფციაში სოციალურ ჯგუფთა ყველაზე ზოგად და ძირითად დაყოფად გაბატონებულ და დამორჩილებულ ფენებად დაყოფა წარმოგვიდგება. ერთიც და მეორეც ძალაუფლებისადმი მისწრაფებას ფლობენ. გაბატონებულ კლასებში ეს მისწრაფება გამოიხატება ექსპლოატაციაში, დამარცხებულთა დამონებაში, ხოლო ამ უკანასკნელში კი ძალაუფლებისადმი მისწრაფება გამოიხატება წინააღმდეგობის გაზრდაში და გაბატონებულზე დამოკიდებულების შემცირებაში. რატომ ხდება, რომ ჯგუფებს შორის დამოკიდებულება აუცილებლად ანტაგონისტური კონფლიქტის ხასიათს იძენს? ადამიანთა ჯგუფებს შორის მუდმივი ბრძოლის მიზეზებს ის არაერთმნიშვნელოვნად ხსნის. ერთის მხრივ, იგი ამის მიზეზად ასახელებს მათ შორის რასობრივ განსხვავებას, თუმცა უნდა ავღნიშნოთ, რომ რასა გუმპლოვიჩისათვის უპირველესად სოციალ-კულტურული ფენომენია და არა ბიოლოგიური. მეორე მხრივ, სოციალური კონფლიქტების მიზეზად ის მიიჩნევს ადამიანთა სწრაფვას თავისი მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს მისწრაფება მისთვის უნივერსალური ხასიათისაა. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კი, გუმპლოვიჩის თანახმად, შეუძლებელია განხორციელდეს ისე, თუ ერთმა ჯგუფმა არ აიძულა მეორე. ლ. გუმპლოვჩის თეორიის მიხედვით, ყოველთვის და ყველგან ეკონომიკური მოტივება ყოველგვარი სოციალური მოძრაობის მიზეზს წარმოადგენენ და განაპირობებენ კიდევაც სახელმწიფოებრივ და სოციალურ განვითარებას. ძველად კონფლიქტები, ომები გვარებს შორის ამა თუ იმ ქონების დაუფლებისათვის მთავრდებოდა დამარცხებულის განადგურებით. მოგვიანებით დამარცხებულ ჯგუფებს ცოცხლად ტოვებდნენ, თუმცა აქცევდნენ მონებად. გამარჯვებულებს კი, რომ განემტკიცებინათ თავიანთი ბატონობა დამარცხებულებზე უნდა გაეტარებინათ ორგანიზაციული და სხვა ღონისძიებები. ლ. გუმპლოვიჩის თქმით, სწორედ ამ ღონისძიებების შედეგი იყო სახელმწიფო. (მეტრეველი & დავითაშვილი, 1999, გვ. 271)

ეს ბრძოლები არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს ლ. გუმპლოვიჩი სახელმწიფოებს შორის ბრძოლებს გულისხმობს. ხშირად ბრძოლა ხდება თვით სახელმწიფოს შიგნითაც. სხვადასხვა ჯგუფთა შორის კონფლიქტები არ წყდება. უმარტივეს საფეხურზე ეს ანთროპოლოგიურად განსხვავებულ ურდოთა შორის ბრძოლა იყო, განვითარების უმაღლეს საფეხურზე, რომელსაც მიაღწიეს ლ. გუმპლოვიჩის თანამედროვეებმა კონფლიქტი სოციალურ ჯგუფთა, კლასთა, ფენათა და პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლად გარდაიქმნა. თუმცა ჩვენი თვალსაზრისით პირველყოფილი ურდოების კონფლიქტის შედარება კლასებს შორის დაპირისპირებასთან მეცნიერული თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი, რადგან კლასთა დაპირისპირება უფრო რთული პროცესია, რომელიც მიმდინარეობს ასევე გაცილებით რთულად სტრუქტურირებულ საზოგადოების ჯგუფებს შორის. (მეტრეველი & დავითაშვილი, 1999, გვ. 271-272)

მისი მოსაზრებით, ისტორიაში აღმოჩენილი პირველადი და საწყისი ჯგუფები - ანთროპოლოგიური და ეთნიკური ნიშნებით გაერთიანებული ურდოებია. მას შემოაქვს „ეგოცენტრიზმის“ ცნება, (რომლითაც შემდეგ სამნერი სარგებლობდა) რომელსაც განსაზღვრავს როგორც მოტივებს, რომელთა გამოც ყოველ ხალხს სჯერა, რომ არა მხოლოდ თანამედროვე ერებს შორის, არამედ ისტორიული წარსულის ყველა ხალხთან შედარებით ყველაზე მაღალი ადგილი უკავია. გუმპლოვიჩი ხშირად იყენებს ტერმინს „რასა“ (განსაკუთრებით შემოქმედების საწყის ეტაპზე) და თავისი ძირითად ნაშრომებს „რასა და სახელმწიფოს“ (1875) და „რასობრივ ბრძოლას“ (1883) უწოდებს. რასობრივი ბრძოლა, მისი განმარტებით, ჰეტეროგენულ სოციალურ და ეთნიკურ ერთეულთა, ჯგუფთა და ერთობათა ბრძოლაა. იგი ადამიანის ქცევის განსაზღვრებაში ბიოლოგიური მემკვიდრეობის უმნიშვნელო და სოციალური გარემოს გადამწყვეტი როლის საკითხს უსვამს ხაზს, რომ დღეს წმინდა რასები აღარ არსებობენ, ხოლო რასათა შერევას დადებითი მნიშვნელობა აქვს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ლ. გუმპლოვიჩი საერთოდ არ აღიარებს რასობრივი განსხვავებათა მნიშვნელობას სოციალურ ევოლუციაში. ის თვლის, რომ ეს განსხვავებანი განმსაზღვრელია საზოგადოებრივი განვითარების ადრეული ეტაპზე. რასობრივი ფაქტორი მასთან გამოდის სოციო-ფსიქოლოგიური გაუცხოებულობის სახით. თუმცა ეს გაუცხოება სოციალური ევოლუციის შემდეგ

ეტაპზე უკვე სხვა მიზეზებითაა გამოწვეული. („ნატურალიზმი XIX საუკუნის და XX-ის დასაწყისის სოციოლოგიაში“, 2012)

თუ ლ. გუმპლოვიჩის მსჯელობის ხაზს გავყვებით მივალთ იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოების არსებობა სახელმწიფო იძულების გარეშე შეუძლებელია, რადგან სახელმწიფო წარმოიშობა ადამიანთა ერთი ჯგუფის მეორეს მიერ დამორჩილების შედეგად. გამოდის, რომ ერის არსებობაც სახელმწიფოს გარეშე წარმოუდგენელია, რადგან ერი საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ფორმაა. (მეტრეველი & დავითაშვილი, 1999, გვ. 272)

ყველაფერს მნიშვნელოვანს რასაც ადამიანი და ადამიანთა ჯგუფი ფლობს: თავისუფლებას, საკუთრებას და პირად უფლებებს, უნდა უმადლოდეს სახელმწიფოს. გამოდის, რომ სახელმწიფოს მეშვეობით ახორციელებს ადამიანი ღირსეულ ადამიანურ არსებობას. (მეტრეველი, & დავითაშვილი, 1999, გვ. 272)

ლ. გუმპლოვიჩი თვლის, რომ მარტივად გადასაწყვეტი საკითხი ისმება ადამიანების წინაშე - ადამიანებმა უნდა აირჩიონ სახელმწიფო და მისთვის დამახასიათებელი მბრძანებლობა ან ანარქია.

ლ. გუმპლოვიჩის პოზიციისთვის დამახასიათებელია ერთგვარი წინააღმდეგობები. მაგ. ის ერთგან ამტკიცებს, რომ სოციოლოგიის ობიექტი (ისტორიის ფილოსოფიისაგან განსხვავებით) არის არა კაცობრიობა, არამედ სოციალური ჯგუფები, ხოლო მეორეგან შენიშნავს, რომ სოციოლოგიის საგნად, მეცნიერულ ობიექტად შეიძლება კაცობრიობა იწოდოს. თუმცა ძირითადი წინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ ერთის მხრივ, ის საუბრობს სოციალურის სპეციფიკურობაზე, მეორეს მხრივ - სოციალურ მოვლენათა საბოლოო საფუძვლად ყველგან უცვლელ ადამიანის ბუნებას და მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას სახავს. სოციალური მოვლენების განსაკუთრებული კლასის არსებობა მის მსჯელობაში არ მტკიცდება. პირიქით, ის ახდენს სოციალური პროცესების ნატურალიზაციას და იმავე ბიოფსიქიკურ რედუქციონიზმისაკენ მიჰყავს ისინი, რომელსაც თავადაც ეწინააღმდეგება. ის სოციალურ ჯგუფთა განვითარების შინაგან ფაქტორებს ვერ აფასებს და ვერ აღიქვამს, რომ ისინი სისტემები არიან, რომლებიც მთლიანობის შენარჩუნების უნარით

ხასიათდებიან. კონფლიქტისა და ძალადობის, როგორც სოციალური ცხოვრების ძირითადი ფაქტორის განხილვისას ის ადგილს აღარ ტოვებს თანამშრომლობის, ურთიერთგაგების, თანაგრძნობის და თანაგანცდის მოტივების კვლევისათვის. ძალადობა არ შეიძლება იყოს ამხსნელი პრინციპი, რადგან იგი თავად წარმოადგენს განსაზღვრული სოციალური ურთიერთობების პროდუქტს. („ნატურალიზმი XIX საუკუნის და XX-ის დასაწყისის სოციოლოგიაში“, 2012)

ლ. გუმპლოვიჩის მოსაზრებები ჩვენთვის საყურადღებოა იმიტომ, რომ არჩილ ჯორჯაძე და მიხაკო წერეთელი ამახვილებენ მის ნააზრევზე ყურადღებას. ა. ჯორჯაძე ეროვნების წარმოშობის და სახელმწიფოს კავშირის გასააზრებლად სწორედ ამ ავტორს მიმართავს და ნაწილობრივ იზიარებს მის პოზიციას. ა. ჯორჯაძეც აცხადებს, ლ. გუმპლოვიჩის მსგავსად, რომ სახელმწიფო არ აღმოცენებულა თანაბარუფლებიანი საზოგადოების ნიადაგზე. სახელმწიფო წარმოიშვა იქ, სადაც დაირღვა თანასწორობა და განმტკიცდა უთანასწორობა. სოციალურ ჯგუფთა შორის დაიწყო ბრძოლა. ერთმა ჯგუფმა (უმცირესობამ) ძალით დაიმონა მეორე ჯგუფი (უმრავლესობა) და თავის ბატონობის დასაცავად მან შექმნა ძალმომრეობითი ორგანიზაცია, რომელსაც ჰქვია სახელმწიფო. ა.ჯორჯაძის ეს შეხედულება სრულიად ემთხვევა ლ. გუმპლოვიჩის შეხედულებას. თუმცა მათ მოსაზრებებს შორის არის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება: ლ. გუმპლოვიჩის აზრითი სოციალური ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, ერთი მეორისგან ეთნიკურადაც განსხვავდებოდნენ. ამ ბრძოლას ეთნიკური და რასიული ხასიათი ჰქონდა. ძლევამოსილი უმცირესობა ყოველთვის უცხოეთიდან მოსული ხალხი იყო. ერთი ეთნიკური ჯგუფი სხვა ეთნიკურ ჯგუფს იმონებდა. ასე რომ, ლ. გუმპლოვიჩის განმარტებით, სახელმწიფო წარმოსდგა არა მარტო სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა შეტაკების წყალობით, არამედ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა ბრძოლისგანაც. ამ მოსაზრებას ა. ჯორჯაძე არ იზიარებს, რადგან ეთნიკური ელემენტი ყველგან და ყოველთვის სახელმწიფოს დაარსების შემომქმედი ძალა არ ყოფილა. ზოგი სახელმწიფო მართლაც დაარსდა გარეშე ელემენტის შემოსევით, ხოლო ზოგან სოციალური უთანაწორობის წარმოშობა საკმარისი იყო, რომ იქ ეთნიკურად ერთგვარი ხალხი ძალმომრეობითი ხასიათის ორგანიზაციის საშუალებით დაწინაურებულიყო. უნდა დავასკვნათ, რომ ა. ჯორჯაძის მოსაზრება

შეგვძლია შეჯამების სახით ასეთი შინაარსით გადმოვცეთ: სახელმწიფო ნაყოფია უმცირესობის მიერ უმრავლესობის დაპყრობისა, ხოლო ეს უმცირესობა ყოველთვის არ განსხვავდებოდა ეთნიკურად უმრავლესობისაგან. (ჯორჯაძე, 1990, გვ. 34)

მ. წერეთელთან სოციალური ფილოსოფია გაიგივებულია სოციოლოგიასთან, მათი საგანი ერთი და იგივეა. ის ამოდის ლ. გუმპლოვიჩის თეორიიდან, რომელიც ასევე სოციალურ ფილოსოფიას აიგივებდა სოციოლოგიასთან. მ. წერეთელი ხაზს უსვამს, რომ რაც არ უნდა მცდარი იყოს იყოს ლ. გუმპლოვიჩის მთელი სოციოლოგიური სისტემა მისი კრიტიკოსების თვალში, „რასათა ბრძოლის თეორიაში“ ერთი მისი მოსაზრება ჭეშმარიტია ყველა ობიექტურად შემფასებლისათვის, რომ არსად არ მოიპოვება პირველყოფილი წმინდა რასისგან, ან პირველყოფილი ურდოსგან განვითარებული ერი, ან სახელმწიფო. სახელმწიფო ყოველთვის ერთი ურდოს მიერ მეორის ჩაგვრის შედეგად წარმოიქმნება. სახელმწიფო ამ მხრივ, მართლაც ორგანიზაციაა ერთი ურდოს მეორეზე ბატონობის. ამას მოწმობს მრავალი ისტორიული ფაქტი. ლ.გუმპლოვიჩის ამ მოსაზრებას სრულად იზიარებს მ. წერეთელი. (წერეთელი, 1990, გვ. 75)

მ. წერეთელი წერის სტილითაც ჰგავს ლ. გუმპლოვიჩს და აზრების თანმიმდევრობითაც, რადგან ორივე მათგანი საკუთარი ნააზრევის ნაწილს ხანდახან ეწინააღმდეგებიან სხვა ალტერნატივების უნებლიედ დამტკიცებით.

თავი II. ერის არამარქსისტული თეორიები საქართველოში

§1. ილია ჭავჭავაძის ნააზრევი ერის შესახებ და მისი გავლენა1900-1917 წლების საქართველოში

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად მოვლენას ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მოღვაწეობა წარმოადგენდა. შეუძლებელია საქართველოში ერის ცნების გააზრების საკითხზე ვისაუბროთ და გვერდი ავუაროთ ილია ჭავჭავაძის ნააზრევს, რომელმაც პირდაპირ განსაზღვრა 1900-1917 წლებში ეროვნული თემის აქტუალიზება. არჩილ ჯორჯაძეზე (სოციალისტ-ფედერალისტებზე), როგორც მიხაკო წერეთელზე და სოციალ-დემოკრატებზეც კი, ამ განსხვავებული იდეოლოგიის წარმომადგენელზე, მან დიდი გავლენა მოახდინა.

ილია ჭავჭავაძე თერგდალეულთა შორის ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო. ი. ჭავჭავაძე აქტიური სოციალ-რეფორმატორი იყო და ასწავლიდა მომავალ თაობას თანამედროვე კონცეფციებს ეროვნულობის შესახებ. ის საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე 1861 წელს გამოვიდა. (ჯონსი, 2007, გვ. 53)

საზოგადოებრივი მოვლენების და პროცესებისადმი ილია ჭავჭავაძის მიდგომას განსაზღვრავს მისი, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ - მრავალვარიანტულობა, მისთვის უცხოა აზროვნების სწორხაზოვანი სტილი, როცა ერთი თეორია, იდეოლოგია ყველაფრის ამხსნელია. ასეთი „ცალკერძ გატაცება“, როგორც თავად უწოდებდა, პოლიტიკური პროცესების სრულად შესწავლას და გაანალიზებას შეუძლებელს ხდის. (გოგიაშვილი, 2013, გვ. 20)

პირველი, რაც ილია ჭავჭავაძემ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას გააკეთა, იყო ის, რომ სრულად აღწერა იმ პერიოდში არსებული ეროვნული ცნობიერების დეგრადაციისა და ისტორიულ-მემკვიდრეობითი ღირებულებების ასევე სრული დევალვაციის სურათი. ის თავის თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ვერ ხედავდა იმ „საერთოს“, რომელიც ერის კონსოლიდაციის საფუძველი გახდებოდა. საერთო ეროვნული იდეის მივიწყება, საერთო ეროვნული მიზნის დაკარგვა ი. ჭავჭავაძეს

ეროვნულ კატასტროფად მიაჩნდა. ი. ჭავჭავაძის უპირველესი ამოცანა ერის „გამოღვიძება“ - ეროვნული ცნობიერების რეაბილიტაცია იყო. (გოგიაშვილი, 2013, გვ. 13)

კოლონიურ რეჟიმში მყოფ საზოგადოებას, რომლის ცნობიერება და ყოველდღიური საქმიანობა ელემენტარული სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას არ სცილდებოდა. ასეთ პირობებში ერს სჭირდებოდა ერთიანი, ყველა სოციალური, დემოგრაფიული, აღმსარებლობითი ჯგუფისათვის საერთო იდეა, რომლის საფუძველზეც მთელი ერი უნდა გაერთიანებულიყო. ი. ჭავჭავაძის მოსაზრებით, ასეთი იდეა საქართველოსათვის იმ პერიოდში მხოლოდ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების იდეა შეიძლებოდა ყოფილიყო. ის საფუძვლად უნდა დასდებოდა სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებლობის აღდგენას. (გოგიაშვილი, 2013, გვ. 15)

მან ეროვნულ იდეალად დასახა სიტყვები: *„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“.* ეროვნული ვინაობის დაცვისთვის ილია ჭავჭავაძე ყველა ქართველის ერთ პოზიციაზე დადგომას მოითხოვდა, ანუ ის ინტეგრალური ნაციონალიზმს ქადაგებდა. გიორგი ზდანოვიჩი ოთხმოციან წლებში ი. ჭავჭავაძის თაობას უსაყვედურებს, რომ სამოციანელების თაობამ პირწმინდად ეროვნულ ნიადაგზე ააგეს თავიანთი მოღვაწეობა, ხოლო ეკონომიკური მდგომარეობა ხალხის დაივიწყესო. გ. ზდანოვიჩი აღნიშნავდა, რომ მოძრაობის დროს ხალხის ეკონომიკური ინტერესები უნდა გათვალისწინდეს პირველ რიგში და მერე სხვა ინტერესები - პოლიტიკური და ნაციონალური. (ნოზაძე, 1934)

ილია ჭავჭავაძის ინერტული დამოკიდებულება სოციალისტური დოქტრინისადმი შეგვიძლია 2 მიზეზით ავხსნათ: 1) სოციალისტური დოქტრინა იყო არა მთელი ერის, არამედ მისი ნაწილის იდეოლოგია და ის ხელს უშლიდა ერის გამთლიანებას, ერთიანი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას; 2)სოციალისტური დოქტრინა კოსმოპოლიტური იდეოლოგიის მატარებელი იყო. გამოდის, რომ ის უგულებელყოფდა ერის ინტერესებს. კოსმოპოლიტიზმი კი ი. ჭავჭავაძისთვის მიუღებელი იყო, რადგან იგი დიდ საფრთხეს უქმნიდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას;

სწორედ ამიტომ სოციალისტური დოქტრინა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში მიუღებელი იყო ილია ჭავჭავაძისათვის. მისთვის ასევე მიუღებელი იყო სოციალ-დემოკრატების აგრესიული დამოკიდებულება თავადაზნაურობისადმი, როგორც კლასისადმი, რომელიც საქართველოში 120-125 ათასს შეადგენდა XIX საუკუნის მიწურულისათვის. (გურული & ვაჩნაძე, 1998, გვ. 6-7)

მარქსისტული იდეოლოგიის დამკვიდრების შემდეგ საქართველოში, ის შეურიგებელ წინააღმდეგობას უწევდა „ერთ ნიადაგზე დგომის“ კონცეპტუალურ საფუძველზე აგებულ ი. ჭავჭავაძის ეროვნულ იდეოლოგიას, რომელსაც ქართველი მარქსისტები „ნაციონალურ-შოვინისტურს“უწოდებდნენ. (გოგიაშვილი, 2013, გვ. 44)

თავად ილიასათვის ერის ცხოვრება ჩანს და გაცხადებულია ენაში, რომელიც მხოლოდ კომუნიკაციის ფუნქციის შემსრულებელი არაა, არამედ ერის ცხოვრების ცვალებადობის ამსახველია, სარკეა. საერო და სასულიერო ჩინოვნიკების შეტევის უპირველეს საგანს სწორედ ქართული ენა წარმოადგენდა, რომელიც იდევნებოდა განათლების საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან. მისი აზრით, ენა ის ფენომენია, რომელიც აერთიანებს წარსულს და აწმყოს, აწმყოს და მომავალს. ენა გამოარჩევს ერთ ერს მეორისგან. ჩვენი შეხედულებით, ილიას სწორედ ენა მიაჩნია ერის მთავარ მახასიათებლად. (გოგიაშვილი, 2013, გვ. 13-14)

ენის ფაქტორთან ერთად ის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საერთო ისტორიას - ისტორიულ თანაცხოვრებას. ის წერდა: *„ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს“.* (ჭავჭავაძე, 1987, (ა), გვ. 200)

მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის საფუძველს წარსულის, აწმყოს და მომავლის ასეთი გააზრება წარმოადგენდა - *„რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიყვეთ“.* ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ეს სამი პერიოდი ერის ცხოვრებისა იმდენადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ერთი მეორის გარეშე შეუძლებელი თითოეულის გაგება. (გოგიაშვილი, 2013, გვ. 34)

ილია ჭავჭავაძის მოსაზრებით, ისტორიის ერთობის შეგნების წყალობითაა, რომ უცხო დამპყრობთაგან დაქსაქსულ-დასუსტებული ერი, მიუხედავად

სახელმწიფოებრივი ერთობის უქონლობისა, მაინც ერთ მთლიანობად აღიქვამს და გრძნობს თავს და ისწრაფვის დაკარგული მთლიანობის დასაბრუნებლად. (ყორანაშვილი, 1997, გვ. 198)

ერის ნიშან-თვისებათა შორის ილია ენას და ისტორიის ერთობას გამოყოფს, მაგრამ არ საუბრობს იმაზე, თუ რომელია მეტად მნიშვნელოვანი. ალბათ, მისთვის მთავარი იყო თავად საკითხის დაყენება და არა იმ პრობლემისა გადაწყვეტა თუ რომელ ფაქტორს უნდა მიეცეს პრიორიტეტი ერის ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, შეკითხვაზე თუ რომელი ფაქტორია მეტად მნიშვნელოვანი - ენა თუ ისტორიის ერთობა, ანუ ეროვნული თვითშეგნება - ი. ჭავჭავაძე, ალბათ, გვიპასუხებდა, რომ ორივე ფაქტორი თანაბრად. ამ ორი ფაქტორის მეშვეობით იქმნება ერი და ინარჩუნებს ის საკუთარ ყოფიერებას, შინაარს.

ილია ჭავჭავაძე საუბრობდა ეროვნული ხასიათის არსებობაზე და მის მნიშვნელობაზე. იგი აღნიშნავდა, რომ ყოველ ერს თავისი განსხვავებული ხასიათი და ზნე-ჩვეულება აქვს რომელზეც მოქმედებს ის გარემოებები, რომელშიც ერი ცხოვრობს.

ი. ჭავჭავაძის თანახმად, ეროვნული ხასიათი და ფსიქოლოგია აისახება ერის შემოქმედების სხვადასხვა სფეროში, მაგ. ხელოვნებაში. ქართველთა ეროვნული ხასიათი და ფსიქოლოგია, მისი აზრით, კარგად ვლინდება ქართულ სამართალში. (ყორანაშვილი, 1997, გვ. 205)

საინტერესოა, რომ ი. ჭავჭავაძე ერის არსებობის ერთ-ერთ ნიშან-თვისებად თვლიდა ტერიტორიასაც. იგი წერდა: *„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება“.* (ჭავჭავაძე, 1987,(ბ), გვ. 27)

აქვე ავღნიშნოთ, რომ ერის ერთ-ერთ შემაკავშირებელ ფაქტორს, მისი აზრით, სწორედ რელიგია წარმოადგენდა. ის აღნიშნავდა, რომ ქართველებისთვის მართლმადიდებლობა პოლიტიკური საფუძველიც იყო საქართველოს გასაერთიანებლად. (ჭავჭავაძე, 1987, (ა), გვ. 66)

ილია ამ ფაქტორებს ერის წარმოშობისას კიდევ ორს ამატებს. ესენია: რასობრივი, ანთროპოლოგიური ფაქტორი და ეკონომიკური ერთობა. ხაზი გავუსვათ მის აზრს,

რომ: *„თავდაპირველი შემოქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა“.* (ჭავჭავაძე, 1985, გვ. 176)

ერის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებები	ი. ჭავჭავაძის მოსაზრება
ენა	√
საერთო ისტორია	√
ეროვნული ხასიათი	√
ტერიტორია	√
რელიგია	√
რასა	√
ეკონომიკა	√

ილიამ ერის წარმოშობას მატერიალური საფუძველი მოუძებნა, თუმცა მისი ნააზრევის სხვა ნაწილში ვკითხულობთ, რომ ერის ფენომენი შორეულ წარსულში წარმოიშვა, ჯერ კიდევ ველურობის ეპოქაში. (ჭავჭავაძე, 1987, (ა), გვ. 25)

ი. ჭავჭავაძის კონცეფცია ერისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ორიგინალობით შეგვიძლია დავახასიათოთ. მისი დეფინიციით ერი ეს არის: *„ისტორიით შედუღაბებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“.* ამ განმარტებით საერთო ისტორიის ფაქტორი ყველაზე დიდი მნიშვნელობის მქონეა ერისათვის. ისტორიით მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანების კრებული მოახდენს ეთნოსების კონსოლიდაციას, რაც შემდეგ ეტაპზე სახელმწიფო ინსტიტუტების წარმოქმნის საფუძველი ხდება - ასეთია ილია ჭავჭავაძის ერისა და სახელმწიფოს წარმოქმნის თეორია. (გოგიაშვილი, 2013, გვ. 36)

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას მომდევნო ეპოქაზე დიდი გავლენა ჰქონდა. ეროვნული საკითხის პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას ი. ჭავჭავაძე მთელი

ცხოვრების განმავლობაში ცდილობდა. სხვადასხვა მკვლევარები განსაკუთრებით გამოჰყოფენ მის გავლენას არჩილ ჯორჯაძეზე, რომელიც 1900-1917 წლების ქრონოლოგიაში ეროვნულობის დაცვისა და გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო. ჩვენ ავღნიშნავთ მის გავლენას მ. წერეთელზეც, რასაც არ მალავს ის თავის შემოქმედებაში. თავის მხრივ, მიხაკო წერეთელის როლი ეროვნული პოზიციის დაცვისას და ერის ცნების გააზრებისას დიდი იყო 1900-1917 წლებში. მას გარკვეული გავლენა ჰქონდა სოციალ-დემოკრატებზეც. უნდა ავღნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძეს და ნოე ჟორდანიას შორის დაწერილი სტატიებით იწყება პოლემიკა ქართველ სოციალისტებსა და ეროვნული პოზიციის დამცველებს შორის. ი. ჭავჭავაძის და ნ. ჟორდანიას დაპირისპირება არ იყო აგებული პიროვნულ საფუძველზე - ეს მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება იყო. (ბერიშვილი, 2017, გვ. 61)

§2. არჩილ ჯორჯაძის მიერ გააზრებული ერის ცნება

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე არაერთი პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა გამოვიდა. ამ პარტიებიდან გამოირჩეოდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია. ფედერალისტები ცდილობდნენ ეროვნულ ნიადაგზე გაეერთიანებინათ სხვა პარტიები და მოეხდინათ პოლიტიკური და ეროვნული ძალების კონსოლიდაცია და ამით წაერთვათ განმათავისუფლებელი მოძრაობის სადავეები სოციალ-დემოკრატებისთვის, რომლებიც საქართველოში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ. (შველიძე, 1993, გვ. 4-5)

1901 წელს „ცნობის ფურცლის“ რედაქციასთან თანამშრომლობა დაიწყო არჩილ ჯორჯაძემ. ალბათ, პირველივე წერილებიდან ცხადი გახდა, რომ მისი სახით „ცნობის ფურცლის“ ჯგუფს მთავარი იდეოლოგი მოევლინა. მან ჯერ კიდევ პარიზიდან გამოგზავნილ წერილში „ჩვენი საჭირბოროტო კითხვები“ აღიარა, რომ სოციალურმა წინააღმდეგობამ მოპირდაპირე დასებად დაჰყო საზოგადოება. ქართველთა ერთი ნაწილი ვერ/არ ხედავდა სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს, რომელიც ქვეყანაში ხდებოდა. მეორე ნაწილი კი ე. წ. „მესამე დასი“ საქართველოს ორ კლასად ჰყოფდა და ამბობდა, რომ კლასთა შორის ეკონომიური განხეთქილება იყო, რის გამოც მათ საერთო არაფერი შეიძლება ჰქონოდათ. საზოგადოების ეს პირველი ნაწილი რუტინას

მისდევდა, ხოლო მეორე ნაწილი დოქტრინას. მისი აზრი კი ასეთი იყო: ჯერ ერი უნდა დავიცვათ და შემდეგ ვიზრუნოთ სამომავლო გზის არჩევაზე. (ჯორჯაძე, 1901)

არჩილ ჯორჯაძეს ილია ჭავჭავაძის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ. ა. ჯორჯაძეც აქტიურად იცავდა ქართულ ენას, საერთო ისტორიულ მეხსიერების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, მხარს უჭერდა ეკლესიის დამოუკიდებლობას, საქართველოს ტერიტორიის, მისი საზღვრების დაცვას. მისი შეხედულებები ილია ჭავჭავაძის მოსაზრებებს ამატებს ეკონომიკურ და სოციალურ შტრიხებს. ილიას უნივერსალურ ფორმულა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ XX საუკუნის დასაწყისში კვლავ რჩებოდა ეროვნული ძალების მოღვაწეობის მთავარ ორიენტირად, მაგრამ ა. ჯორჯაძემ ეს „ფორმულა“ ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეს და კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას მოარგო და შეუსაბამა.

არჩილ ჯორჯაძე, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, უარყოფდა კლასობრივ ანტაგონიზმს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ა. ჯორჯაძე კლასებს შორის განსხვავებული ეკონომიკური ინტერესების არსებობას გამორიცხავდა. უბრალოდ თვლიდა, რომ შესაძლებელი იყო განსხვავებულობის დაძლევა და მისი სიტყვებით, რომ ვთქვათ: *„საერთო ნიადაგის საფუძველზე გაერთიანება“.* მისი მოღვაწეობა მიმართული იყო სწორედ ამ სახის გაერთიანების მოწოდებისკენ და ორგანიზებისაკენ. საქართველოში არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობა 1901 წელს იწყება, როცა ის სტუდენტობის წლების შემდეგ უბრუნდება სამშობლოს და უერთდება ე. წ. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფს. ამ ჯგუფში არიან ყოფილი „ახალგაზრდა ივერიელები“ და „მოამბისტები“. ეს ჯგუფი იმ ადამიანებს აერთიანებდა, რომლებიც თერგდალეულთა თაობისაგან განსხვავებით, ფიქრობდნენ, რომ საქართველოს ავტონომიის აღდგენისათვის საჭიროა არა მხოლოდ პუბლიცისტური საქმიანობა და ამ საშუალებით ბრძოლა იმპერიასთან, არამედ მძლავრი პოლიტიკური ინსტიტუტის - პარტიის შექმნაც. არჩილ ჯორჯაძე და გიორგი ზდანოვიჩი ამის გამო ღიად აკრიტიკებდნენ თერგდალეულებს. (ჯონსი, 2007, გვ. 77)

ა. ჯორჯაძე საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის მაშინ, როდესაც ქართველი მოსახლეობა სოციალურ ჩაგვრასთან ერთად ეროვნულ ჩაგვრასაც განიცდიდა.

ქართველები მოკლებულები იყვნენ მშობლიურ ენაზე სწავლას, კულტურულ განვითარებას. (წოწელია, 1992, გვ. 25)

ა. ჯორჯაძემ და ცნობის ფურცლის ჯგუფმა 1904 წელს შექმნეს პირველი „ქართული“ ბლოკისტური პოლიტიკური გაერთიანება „სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტია“. მათ დასახეს გეგმა, რომლის მიზანიც საქართველოს ავტონომიის მიღწევა იყო. (გურული, 2003, გვ. 12)

გამომდინარე იქიდან, რომ ბლოკისტური „სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტია“ გამოირჩეოდა სიჭრელითა და იდეოლოგიური განსხვავებულობით, სრულიად ლოგიკურად ის 1907 წელს დაიშალა, 1906 წელს მას ეროვნულ-დემოკრატთა ჯგუფი გამოყო, ხოლო 1907 წელს ანარქისტთა ჯგუფი.

ამის შემდეგ, რაც ბლოკისტური „სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტია“ დატოვეს ეროვნულ დემოკრატებმა და ანარქისტებმა უფრო მკაფიოდ წარმოჩნდა დამოუკიდებელი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის იდეოლოგიური ხედვა და მიმართულება. ამ პარტიის იდეოლოგიური პლატფორმა არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკურ ნააზრევს ეფუძნებოდა, რომელიც კარგად გამოიხატა 1901 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული სტატიით „საერთო მოქმედების ნიადაგი“. (გურული, 2003, გვ. 20)

აღნიშნული სტატია გარკვეულწილად თანხვედრაშია ილია ჭავჭავაძის „ნაციონალური კონსოლიდაციის თეორიასთან“, თუმცა ი. ჭავჭავაძისგან განსხვავებით არჩილ ჯორჯაძე დიდ ყურადღებას უთმობს სოციალურ საკითხებსაც, რომლებიც იმ პერიოდში ისეთი აქტუალური იყო, რომ ხშირად ჩრდილავდა ეროვნულ საკითხს. ამ სტატიის პათოსით საქართველოს ყველა დასი და პოლიტიკური ჯგუფი უნდა გაერთიანებულიყო „საერთო მოქმედების ნიადაგზე“, რომელიც მის კონცეფციაში თავდაპირველად სამი პუნქტისაგან შედგებოდა:

1)ქართული ენის დაცვა; 2)ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა; 3) ქართული მიწათმფლებოლების საკითხი, ანუ ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში დარჩენა, რადგან ქართველთა მიწას სხვა ერის წარმომადგენლები ეუფლებოდნენ ინტენსიურად.

ამ დროში ქართველი თავადაზნაურობა კარგავდა მამულებს, რომლებიც უმთავრესად უცხო ტომელთა ხელში გადადიოდა. რაც უფრო ვითარდებოდა კაპიტალიზმი საქართველოში, მით უფრო ძლიერდებოდა ეს პროცესიც; წერილის მეორე ნაწილში, რომელიც 1901 წლის 5 აპრილის იგივე გაზეთის შემდეგ ნომერში დაიბეჭდა, კიდევ ორი პუნქტი დაემატა ჩამონათვალს: 4)სახალხო კულტურული საქმიანობა. ეს პუნქტი ეხებოდა ქართველ ინტელიგენციას; 5)თვითმმართველობაში ქართველების ჩარევა და გააქტიურება; (ჯორჯაძე, 1901)

ამ პუნქტებში ჩვენთვის საინტერესოა ერთი ფაქტი, რომელიც კონკრეტულად ეხება მეორე პუნქტს: ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნას. კაპიტალიზმის განვითარება საერთოდ და ქართული ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება კერძოდ ამ შემთხვევაში, რომელიც „საერთო მოქმედების თეორიის“ ერთ-ერთი საფუძველია, ერთი შეხედვით ხელს უწყობს კლასობრივი ანტაგონიზმის გაძლიერებას. ანუ ეს პუნქტი საპირისპიროდ კლასთა ბრძოლის ნიადაგს უფრო ჰქმნის, ვიდრე მოქმედების საერთო წინაპირობას.

1907 წელს კი, როდესაც სოციალ-ფედერალისტები დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბდნენ „საერთო მოქმედების ნიადაგის“ პუნქტების განხორციელება ვერ მოახერხეს. სოციალ-ფედერალისტების პლატფორმა დაემყარა მათ იდეოლოგიურ მიმართულებას, რომელიც თავის თავში აერთიანებდა სოციალიზმის ელემენტებს, მაგრამ, მესამედასელთა ინტერნაციონალური პლატფორმისგან განსხვავებით, წინა პლანზე აყენებდა ფედერალიზმის კუთხით განხილულ ავტონომიის საკითხს.

თავისი თხზულებების პირველი წიგნის წინასიტყვაობაში 1911 წელს ა. ჯორჯაძემ ამომწურავად გაანალიზა „საერთო ნიადაგის“ უკუგდების მიზეზები და მომავლის პერსპექტივები. მისი უარყოფა არ ნიშნავდა იმას, რომ ის, როგორც იდეა უარყოფითი მოვლენა იყო. უბრალოდ დროის იმ პერიოდში არსებული გარემოებების გამო ა. ჯორჯაძე აღიარებს რომ შეუძლებელი იყო მისი იდეა, რომ არ დამარცხებულიყო. *„საერთო მოქმედების თეორია“* იმ პირობებში იქნებოდა შესაძლებელი, როცა პოლიტიკური პარტიები საბოლოოდ იქნებოდა ჩამოყალიბებული, ექნებოდათ პროგრამები, ნათელი მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა - ამ ყველაფრის

გამომუშავება კი ქართულ სივრცეში სწორედ XX საუკუნის დასაწყისში ხდებოდა. ქართული პოლიტიკური პარტიები მაშინ ფორმირდებოდნენ და არკვევდნენ საკუთარ ზოგად და კონკრეტულ მიზნებს. (შველიძე, 1993, გვ. 79-80)

ავღნიშნოთ ის, რომ სოციალ-ფედერალისტების მხარდამჭერები ძირითადად საშუალო და წვრილი ინტელიგენცია, სტუდენტები და პროფესორები იყვნენ. ამ პარტიამ ვერ შეძლო თავისი იდეების გარეშემო საზოგადოების დიდი ნაწილის თავმოყრა. (ჯორჯაძე, 1990, გვ. 349)

ა. ჯორჯაძე განსხვავებულ პოზიციას იკავებს სხვა ეროვნული მიმართულების ძალების წარმომადგენლებთან შედარებით. ჯერ კიდევ 1901 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ მის ერთ-ერთ სტატიაში ვკითხულობთ: *„ჩვენი პროგრამა განსხვავდება ძველი ნაციონალური პროგრამისაგან, რომელიც უყურადღებოდ სტოვებდა ახალ სოციალ-ეკონომიურ პირობებს, და იმ ახალ მოძღვრებისაგან, რომელიც ჩვენის აზრით, მეორე უკიდურესობას ეძლევა და ივიწყებს ეროვნულ პრინციპს“.* (ჯორჯაძე, 1901)

მისი რწმენით, ქართველი ხალხის მომავალი ევროპული ცივილიზაციის გაკვალულ გზას უნდა დასდგომოდა, ანუ უნდა გადაჭრილიყო ეროვნული საკითხი, მომხდარიყო ეროვნული აღორძინება, ხოლო სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის ორიენტირად ევროპის მოწინავე ერების მიერ განვლილი გზა და გამოცდილება უნდა ყოფილიყო. ის იმედით უყურებდა საქართველოში კაპიტალისტური ფორმაციის განვითარების ტენდენციას, რადგან სწორედ ამ სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარებამ განაპირობა ევროპის ქვეყნებში ცივილიზაციის მაღალი დონე. (შველიძე, 1993, გვ. 71)

ა. ჯორჯაძისათვის იმ მრავალ საკითხთა შორის, რომელიც აღძრა ყოველდღიურობამ, ცხოვრებამ, ყველაზე მეტად საყურადღებო ეროვნული საკითხია, რადგან მისი სწორად განმარტება და ახსნა ამავე დროს ახსნაა სოციალური საკითხისა, იმ საკითხისა, რომელმაც, ასე თვალსაჩინოდ დაჰყო, დაანაწილა ქართველი ინტელიგენცია ერთმანეთის მოპირდაპირე დასებად. (ჯორჯაძე, 2010, გვ. 5)

რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ კი ა. ჯორჯაძის და ზოგადად ფედერალისტების პოზიცია შეიცვალა. გაზეთ „ისარში“ ნათლად გამოიკვეთა ეს ცვლილება 1908 წელს: *„დადგა დრო, როცა ისტორიული მომენტი მოითხოვს პირდაპირ და გაბედულად შევაქციოთ ზურგი მარქსისტულ მსოფლმხედველობას“.* (ებრალიძე, 1968, გვ. 97)

თავად ა. ჯორჯაძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები კი პესიმიზმით იყო სავსე. მან უარყო მის მიერ ადრე აღიარებული რევოლუციური გზა და მიუთითა, რომ ძველის დანგრევა და ახალის აშენება უნდა მოხდეს მშვიდობიანად, ნებაყოფლობის საფუძველზე. მისთვის მნიშვნელოვანი გახდა ორი პრინციპულად პრიორიტეტული საკითხი: სახალხო განათლებაზე ზრუნვა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. ეს ორი საკითხი ქართული პარტიების იდეოლოგიებზე, მსოფლმხედველობებზე და შეხედულებებზე მაღლა მდგომი საკითხია, რომელზეც ამ პარტიების შეთანხმება შესაძლებელია. ბრძოლა ეროვნული ტერიტორიის შენარჩუნებისათვის - ფედერალისტთა ძირითად ლოზუნგად იქცა. (ებრალიძე, 1968, გვ. 98-99)

1908 წელს ქვეყნდება ა. ჯორჯაძის სტატიების სერია „სამშობლო და მამულიშვილობა“, რომელშიც ის სხვა თემებთან ერთად საუბრობს ინტერნაციონალიზმზეც.როგორი პოლიტიკა უნდა აწარმოოს ქართველმა ხალხმა? სოციალ-დემოკრატები ინტერნაციონალიზმის გზას ამჯობინებენ, ეროვნულ-დემოკრატები ნაციონალურ გზას ირჩევენ, სოციალისტ-ფედერალისტები კი ფიქრობენ, რომ ორივე გზა უნდა აირჩიოს საქართველომ. ა. ჯორჯაძისათვის შესაძლებელი იყო ეროვნული პოზიციის შეთანხმება, შეთავსება ინტერნაციონალიზმთან. ა. ჯორჯაძე, რა თქმა უნდა, გულისხმობდა ამიერკავკასიის ერთა დაახლოებას (თუმცა ტრადიციული გაგებით ეს არ არის ინტერნაციონალიზმი, რადგან ამიერკავკასიის ერების გარდა სხვა ერებზე არ აქვს მას საუბარი). (ჯორჯაძე, 1908)

ა. ჯორჯაძე ერის ცნების გააზრებისას განიხილავს სახელმწიფოს და მათ ურთიერთმიმართებასაც. ის აღნიშნავს, რომ ეროვნება ისახება და ჩნდება სწორედ იმ ხანაში, როდესაც საზოგადოება საგვარეულო წესს თავს აღწევს და როდესაც მყარდება

და მკვიდრდება სახელმწიფო. ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ა. ჯორჯაძე ამ ორ მოვლენას შორის მიზეზობრიობის კავშირზე საუბრობდეს. ეს ასე არაა, რადგან მიზეზი ეროვნების გაჩენისა მრავალია. უბრალოდ, ა. ჯორჯაძე იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ რომ სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში უფრო ნათელი ხდება პროცესი ეროვნების წარმოშობისა. (ჯორჯაძე, 1907)

მთავარი ჰიპოთეზა, რის დამტკიცებასაც ა. ჯორჯაძე ცდილობს არის ის, რომ არც ენას, არც რასას, არც საერთო ისტორიულ თავგადასავალს და არც სხვა რამეს არ ჰქონია ძალა ეროვნების შექმნისა. ამ ელემენტთა ჯამიც კი ვერ წარმოშობს ერს. ეროვნების წარმოშობას სხვა ძალა სჭირდებოდა, საჭირო იყო ორგანო, რომელსაც შეერთების ძალა შესწევდა და ეს ორგანო, რა თქმა უნდა, სახელმწიფოა.

ა. ჯორჯაძის ამ მოსაზრებას ეთანხმება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის და საქართველოში პოლიტიკური პარტიების მკვლევარი) დიმიტრი შველიძე, რომელიც ამბობს, რომ სახელმწიფოს შეუძლია ერის წარმოშობა. სახელმწიფო თავისი ბუნებით, მხოლოდ საკუთარი არსებობითაც კი ერის და ეროვნულობის დამცველია.

ავღნიშნოთ ისიც, რომ ა. ჯორჯაძე განიხილავს ცნებას მამულიშვილობასაც, რომელშიც გულისხმობს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფსიქიურ ფენომენს, რომლის შინაარსია განსაზღვრული ჯგუფის ადამიანთა შორის სოლიდარობის გრძნობა. ა. ჯორჯაძის მიდგომა მართებულია იმ ნაწილში, რომელშიც ის ფიქრობს, რომ მამულიშვილობის შინაარსი ცალსახად უნდა იყოს დაკავშირებული ცხადად ფორმულირებულ ქვეყნის - ერის სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ ინტერესებთან. (ნადარეიშვილი, 2003, გვ. 46)

გ. ქიქოძემ კი 1909 წელს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ სტატიების სერიაში „ეროვნება, ენა და ესთეტიური კულტურა“ უარყო ა. ჯორჯაძის თვალსაზრისი სახელმწიფოსა და ეროვნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მისი აზრით, ეროვნება, როგორც სოციალ-ფსიქიკური და კულტურული ერთეული, არსებობს იქამდეც, სანამ ის ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაერთიანდება. ის აღნიშნავს იმასაც, რომ სახელმწიფო კი არ ჰქმნის ეროვნებას, არამედ ეროვნება თავად წარმოქმნის

ეროვნულ სახელმწიფოს, ან ცდილობს შექმნას თავისი მოთხოვნილების შესაფერისი პოლიტიკური ორგანიზაცია. (ქიქოძე, 1909)

სახელმწიფომ ორი ერთეული გახადა პრიორიტეტული: ტერიტორია და საკუთრება. ეს ორი ფაქტორი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ერთი მეორისგანაა წარმოშობილი. კერძო საკუთრების წარმოშობამ დაარღვია ძველი ნათესაური კავშირი (გვარი) და ვრცელ ტერიტორიაზე გაფანტა ხალხი. (ჯორჯაძე, 1907)

ა. ჯორჯაძე „რეალური პოლიტიკის“ მომხრე იყო, რაშიც გულისხმობდა ორ მთავარ დებულებას: 1) სახელმწიფოებრივობა და მისი დაცვა ყველანაირი საფრთხისგან; 2) ქართული ეროვნული ინტერესების შეგუება ამ „სახელმწიფოებრივობის“ პრინციპთან; ვინც არ აღიარებდა ამ ორ პრინციპს ის არ ითვალისწინებდა ქართულ ეროვნულ პრინციპებს. (ჯორჯაძე, 2010, გვ. 416)

ეროვნების უარმყოფელთა რიგებს ა. ჯორჯაძე სამართლიანად აკრიტიკებს. ალბათ, ის პირდაპირ გულისხობს რადიკალურად მემარცხენე ინტერნაციონალისტურ მიმართულებას. ერთ ეროვნებაზე ხელის აღება და მეორეში შესვლა, ერთის უარყოფა მეორის მიღების სანაცვლოდ. თუ ეროვნება შემაფერხებელი მოვლენაა სხვა ეროვნების შემუშავებას აღარ უნდა შევუწყოთ ხელი, არამედ ყოველგვარი ეროვნების დანგრევას. ქართველი ეროვნების უარმყოფელნი კი გაბატონებულ ეროვნებას უწყობდნენ ხელს. პატარა ერის დაღუპვა სამართლიანად მიაჩნიათ, თუ დიდი კულტურის ახალი ერი წარმოიშობა პატარა ერების ერთმანეთში შერევით, „გათქვეფით“. ამის მომხრეებს ჯერ დასამტკიცებელი აქვთ ის, რომ ეს მომავალი ერი ქართულ არსებულ კულტურაზე მაღლა იდგება და უფრო მაღალ სულიერ მატერიალებს მიაღწევს. (ჯორჯაძე, 1990, გვ. 71-72)

ა. ჯორჯაძისათვის სრულიად გაუგებარია ის, თუ ქართველ მარქსისტებს, როგორ არ შეუძლიათ დაინახონ ქართველთა წინაშე არსებული საფრთხე და ისაუბრონ მხოლოდ ეკონომიურ დამოკიდებულებაში უთანხმოებაზე, რომელიც რეალურად ყველა იმ პერიოდში არსებული საზოგადოებების ცხოვრებაში წამოჭრილი საფრთხე იყო. ჩვენ ერს და ქვეყანას სხვა სახის საფრთხეც ემუქრებოდა ეკონომიური არასტაბილურობის გარდა. ეს იყო ერის თანდათან გაქრობის საფრთხე. თუ ერს ვერ

დაიცავდნენ, ლოგიკურია, რომ ეკონომიურ საფრთხეზე ზრუნვა აღარც მოუხდებოდათ. ერის გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდა ყველა კლასს თანაბრად. ა. ჯორჯაძის აზრით, ქართველმა მარქსისტებმა სამშობლოში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინების გამო დროებით მაინც უნდა გადაუხვიონ საკუთარ მრწამს და იდეალებს და საერთო მოქმედების და სოლიდარობის მისაღწევად იბრძოლონ ქართველი ერის ვინაობის დასაცავად. რა თქმა უნდა, ა. ჯორჯაძე კარგად ხედავს კლასობრივი დიფერენციაციის პრობლემას და კლასებს შორის ბრძოლას, მაგრამ მისი შეხედულებით, რასაც ჩვენც ვიზიარებთ, პოლიტიკურად და ეროვნულად დამონებულ ხალხში არ შეიძლება კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, რადგან მათი მახასიათებელია საერთო ნაციონალური შეკრებითობა, მისი სიტყვებით ე.წ. „საერთო ნიადაგი“. (ჯორჯაძე, 2010, გვ. 7)

ქართველებს საუკუნეების განმავლობაში, მიუხედავად მრავალი პოლიტიკური და სოციალური ცვლილების, შეუნარჩუნებიათ მიწა და ენა. ტერიტორიას საქართველოს ისტორიის განმავლობაში ხან აკლდებოდა ერთი ნაწილი, ხან ემატებოდა, საზღვრები უცვლელი, რა თქმა უნდა, არ იყო; ენაშიც ხან ბევრი უცხო სიტყვები შემოდიოდა, ხან არა. ამის მიუხედავად ქართველმა შეინარჩუნა განსაზღვრული ტერიტორია და ენა. (ჯორჯაძე, 1990, გვ. 313)

საქართველოში შექმნილი ყოველდღიურობიდან გამომდინარე ა. ჯორჯაძე თვლის, რომ ჩვენს ქვეყანას ორი გზა ჰქონდა გასავლელი ერთდროულად: 1) ეროვნული კულტურის განვითარების გზა; 2) კავკასიის ერებთან ურთიერთობის განმტკიცების გზა, ანუ გზა ინტერნაციონალური;. (ჯორჯაძე, 1990, გვ. 93)

ა. ჯორჯაძის ზუსტი დეფინიციით ეროვნება შეგნებაა იმ აზრისა, რომ მე, როგორც კერძო ადამიანს მაქვს ნივთიერი და სულიერი კავშირი ჩემ ხალხთან. მხოლოდ ის ხალხი ჩაითვლება ერად, რომელსაც აქვს ამის შეგნება, აღიქვამს თავის „ხალხოსნობას“, ერთი სიტყვით, რომელსაც აქვს თვითცნობიერება. ეროვნება სხვა არაფერია, თუ არა შეგნება კავშირის, რომელიც ინდივიდს აქვს განსაზღვრულ ადამიანთა ჯგუფთან. ეს კავშირი საუკეთესო იარაღია გარე მტრის დასამარცხებლად. (ჯორჯაძე, 1990, გვ. 315-316)

როგორც ვნახეთ, ჯორჯაძის ნააზრევის ძირითადი პრობლემა არის ერის საკითხი. მისი სიტყვებით: *„ნაციონალური პრობლემა ჩვენი ცხოვრების ცენტრალური პრობლემა გახდა“.* ამ პრობლემის ასახსნელად ავტორი იყენებს ევროპელ მოაზროვნეთა კონცეფციას. განსაკუთრებით ემყარება ლ. გუმპლოვიჩს, თუმცა იმავე დროს, ქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, აანალიზებს ქართველი ერის წარმოშობას. ა. ჯორჯაძისთვის ეროვნული პრობლემის თეორიული ასპექტი უფრო ადვილი გადასაწყვეტია, ვიდრე პრაქტიკული. სიძნელეები მატულობს, როცა მჩაგვრელ და ჩაგრულ ერთა ურთიერთობასთან გვაქვს საქმე. მისი აზრით, ამ მხრივ განსაკუთრებული ვითარებაა საქართველოში, რადგან იმიგრაციამ საქართველოს ბევრ კუთხეში ქართული ენაც კი ამოძირკვა. მას აუცილებლად მიაჩნია, რომ *„ემიგრაცია-მიგრაციის საკითხი მოწესრიგებულ იქნას სამართლიანობის და კავკასიის ყველა ერთა ინტერესების შესაბამისად“.* (ჯორჯაძე, 1990, გვ. 344)

არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობის მთავარი მოტივი იყო ფედერალიზმის იდეა. თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის შექმნა, რომელიც დაეფუძნებოდა მასში შემავალი თითოეული ერის უფლებებს და ამ უფლებების პატივისცემას. მისი ფედერალიზმი ითვალისწინებდა პირველ რიგში კავკასიის ერთა ფედერაციას, რომელიც აიგებოდა თავისუფალი შეკავშირების საფუძველზე. (ლაშაური, 1969)

შეგვიძლია ვთქვათ, რომ არჩილ ჯორჯაძე ემხრობოდა და ქადაგებდა ეროვნულ სოციალიზმს ჩასახულს, შეგუებულს და ადაპტირებულს ქართულ ეროვნულ პირობებთან. თუმცა მისი ეროვნული სოციალიზმი ნამდვილად არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი. მისი მოძღვრება, გარკვეულწილად, მეცნიერული საფუძვლის მქონეა, რომელიც ერს მიიჩნევს საზოგადოებრივ არსებად, რომლის წიაღშიც შეიძლება განხორციელდეს ყოველგვარი სოციალური ცვლილებები. ეს თეორია, რა თქმა უნდა, იყო მარქსიზმის საწინააღმდეგო, რაც განაპირობებდა გამწვავებულ პოლემიკას სოციალ-დემოკრატებთან. შეიძლება არჩილ ჯორჯაძე სოციალური და ნაციონალური ლოზუნგებით გამოდიოდა, მაგრამ მის მოძღვრებაში ნაციონალიზმის გავლენა სჭარბობდა. ა. ჯორჯაძე შეეცადა ეროვნული და სოციალური მომენტების შეთავსებას და იმის აფიშირებას, რომ უნდა მოხდეს არა ეროვნებათა შეერთების პროცესი - ასიმილაცია, არამედ ერების გამორკვევის და მათი

თვითმყოფადობის შენარჩუნების პროცესი. თუმცა საინტერესოა ის, რომ ა. ჯორჯაძის შეხედულებებიც რევოლუციის პერიოდში მნიშვნელოვნად გადაიხარა მარცხნივ, მაგრამ რევოლუციის განელების შემდეგ კვლავ ძველ მიმართულებას დაუბრუნდა. ის იბრძოდა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის. მისი აზრით, არ არსებობს თავისუფლება სოციალური ჩაგვრისგან ერის გათავისუფლების გარეშე. საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა მისი მხრიდან გაბედული ნაბიჯი იყო. (ლაშაური, 1969)

§3. მიხაკო წერეთელი ეროვნული საკითხის შესახებ

საქართველოს საზოგადოების და პოლიტიკური სფეროს უკიდურეს მემარცხენე ფრთას წარმოადგენდნენ ანარქისტები. ცალკეული ანარქისტული იდეები, როგორც სოციალისტური მოძღვრების ნაირსახეობა, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან აღწევს საქართველოში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქართველი ანარქისტის მიხაკო წერეთელის მოსაზრება ერის შესახებ.

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი ცნობილი მეცნიერი, პუბლიცისტი, ფილოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე იყო. ის თავდაპირველად ანარქისტული იდეოლოგიის მიმდევარი იყო. შემდეგ შეუერთდა სოციალ-ფედერალისტებს. ძირითადად მოღვაწეობდა საზღვარგარეთ (ერთ დროს მ. წერეთელი ეცნობოდა და იზიარებდა კ. მარქსის იდეებს, მაგრამ მარქსით გატაცება პერიოდული იყო). 1907 წელს მ. წერეთელი ჩამოდის საქართველოში და ამ დროს ის უკვე ეროვნულ პოზიციაზე დგას. რეალურად, რომ ვიმსჯელოთ მ. წერეთელს ანარქიზმი არასდროს გადაულახავს. მისი ამოცანა უბრალოდ გახდა ის, რომ ეროვნულ ნიადაგზე დაეყენებინა ეს მიმართულება, რადგან ის ყოველგვარი მოძრაობის განმსაზღვრელად თვლიდა ეროვნულ ნიადაგს. (სამსონია, 2014)

1909 წელს მ. წერეთლის სტატიათა სერია გამოვიდა სათაურით „კავკასიის ერთობა!?“, რომელშიც ის ითხოვდა საქართველოს ავტონომიას და მის შესვლას კავკასიის ფედერაციაში. მ. წერეთელი მხარს უჭერდა ერთბას კავკასიის ერებს შორის, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნდა რეალურად ამ ერთობის განხორციელება. ამ პროცესს ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. საჭირო იყო ერთობის მიღწება ეტაპობრივად. ჯერ

კავკასიის თითოეული ერი უნდა ქცეულიყო თავისუფალ საზოგადოებრივ ინდივიდად და შემდეგ უნდა მოხდეს ერთობის განმტკიცება. თუმცა ამ შემთხვევაშიც ეეჭვება მ. წერეთელს, რომ ყველა შემოუერთდეს ამ ერთობას, შესაძლებელია რამდენიმე ერი მაინც შეერთდეს ფედერაციული სოლიდარობით. ამ მოვლენამდე კი საჭიროა საერთო მოქმედება მხოლოდ საერთო წინააღმდეგობების დასაძლევად, ხოლო თვოთგამორკვევა თითოეულისათვის ინდივიდუალურად, საკუთარი ძალისხმევით. (წერეთელი, 1909)

1910 წელს კი ქვეყნდება მისი ნაშრომი „ერი და კაცობრიობა“, რომელიც პირველი სოციოლოგიური გამოკვლევაა საქართველოში. მათ შორის, ვინც დიდი გავლენა მოახდინა მ. წერეთელზე, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დე გრეფი და შტამლერი, შემდეგ კი ორგანიცისტები: ვორმსი, სპენსერი, ფულიე და სხვ. თითოეული მათგანის მნიშვნელობას მ. წერეთელი ხაზს უსვამს თავის ნაშრომში „ერი და კაცობრიობა“. (სამსონია, 2014)

XX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ერის საკითხის გაცნობიერებაში, ალბათ, ყველაზე მეტი მიხაკო წერეთელმა გაკეთა. უნდა გავითვალისწინოთ ის იდეოლოგიური ბრძოლის ფონი, რომელმაც განაპირობა მ. წერეთლის „ერისა და კაცობრიობის“ შექმნა. ავტორის პათოსი მიმართული იყო როგორც რუსი შოვინისტების, ისე (უფრო მეტად) ქართველი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომლებიც ქართველი ერისადმი ნიჰილისტურად იყვენენ განწყობილნი. მ. წერეთლისათვის ერი უპირველესი ფასეულობა იყო, თუმცა ეს არ გამორიცხავდა ინტერნაციონალიზმს. იგივე უნდა ვთქვათ, ანარქიზმის ცნობილ წარმომადგენელზე ვარლამ ჩერქეზიშვილზეც, რომლის ეროვნულმა პოზიციამ განაპირობა მ. წერეთელის რიგი შეხედულებები. სხვათა შორის, „ერი და კაცობრიობა“ სწორედ ვ. ჩერქეზიშვილს მიუძღვნა მ. წერეთელმა.

ის საუბრობს სოციალისტების უმთავრეს შეცდომაზე, რომლის ხასიათიც სოციოლოგიურია. სოციალისტებისთვის ერის განვითარება, როგორც კონკრეტული საზოგადოების ორგანული განვითარება, არ არსებობს. მათთვის არსებობს მხოლოდ განვითარება საზოგადოებისა, რომელიც კლასებისგან შედგება, განვითარება, რომლის

მამოძრავებელი ძალა კლასების ბრძოლაა; მხოლოდ ეკონომიკურ მხარეზე აქცენტის გაკეთება ერის განვითარებაზე საუბრისას ქართველი ანარქისტისათვის მიუღებელია, მაგრამ მ. წერეთელი იმასაც უსვამს ხაზს, რომ სოციალიზმი შეეხება უმთავრესად ერის ეკონომიურ წყობილებას, რომლის გარდაქმნაზე ბევრი სოციალური მოვლენების შეცვლაა დამოკიდებული, მაგრამ არა ყველასი. (წერეთელი, 1990, გვ. 127)

გატაცება ინტერნაციონალიზმით 60-იანი წლებიდან პოპულარული იყო მთელ ევროპაში, სწორად შენიშნავს მ. წერეთელი, რომ თუ დავუკვირდებით იმ დროინდელ მდგომარეობას დავინახავთ, რომ განსაკუთრებით იმ ერთა შორის იყო ღრმად ფესვგადგმული ინტერნაციონალიზმი, სადაც ეროვნული საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. ხოლო იმ ერთა შორის, რომელებიც დამონებულნი იყვნენ სხვა მოძრაობა იყო მეტად მნიშვნელოვანი - ეროვნული მოძრაობა. ფაქტია, რომ სწორედ ინტერნაციონალიზმით გატაცების დროს განთავისუფლდნენ ევროპაში დაჩაგრული ერები და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა მნიშვნელოვანი მათთვის ინტერნაციონალიზმი და სოციალიზმი. (წერეთელი, 1990, გვ. 22)

მ. წერეთლის თანახმად ერი საზოგადოებაა, მაგრამ საზოგადოება სხვადასხვა სახისაა - დაწყებული შემთხვევით თავმოყრილი ადამიანებით და დამთავრებული ერთ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხით. შეიძლება გვქონდეს სხვადასხვა სახის საზოგადოებები. ამიტომ საზოგადოება აბსტრაქტული, საზოგადო ცნებაა, ერი კი ერთი კონკრეტული მაგალითია საზოგადოების აბსტრაქტული არსებობისა, რომელიც ყველა სხვა სოციალურ ორგანიზმზე უფრო ბუნებრივი განხორციელებაა სოციალობის. ერები განსხვავდებიან სოციალური გამოვლენის ფორმების შინაარსით. თვით ფორმები ყველა ერისათვის საერთოა, მაგრამ ყოველ ერში ისინი განსაკუთრებულ ხასიათს იძენენ. მაგალითად: ერისათვის დამახასიათებელია ენა, თუმცა სხვადასხვა ერი განსხვავებულ ენაზე საუბრობს. (წერეთელი, 1990, გვ. 14-15)

შეიძლება ერი არსებობდეს სამშობლოს დაკარგვის შემდეგაც. უფრო ზუსტად, ეს იქნება ერის განადგურებისგან დარჩენილი ხალხი, რომელსაც არ აქვს ტერიტორია. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ სამშობლოს მოკლებული ერი ვერ გახდება საერთაშორისო სამართლის თვალში დამოუკიდებელი სოციალური არსის მქონე. ეს

აზრი რ. შპრინგერს ეკუთვნის, რასაც მ. წერეთელიც ეთანხმება, რადგან საერთაშორისო სამართალი, როგორც მომწესრიგებელი სახელმწიფოებს შორის განწყობილების, ეკუთვნის უკვე მოწესრიგებულ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით ევროპას და ამერიკას. დანარჩენი სახელმწიფოების მიმართ საერთაშორისო სამართალი ისე არ მოქმედებს, როგორც მაგ. ინგლისის ან გერმანიის მიმართ. ასევე, საერთაშორისო სამართალი არ არის ერებს შორის განწყობილების მომწესრიგებელი, არამედ სახელმწიფოებს შორის. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აღიარებს მხოლოდ სახელმწიფოების უფლებას და არა ერის უფლებას, რომელიც დათრგუნულია სწორედ ამ სახელმწიფოების მიერ. არ არის საერთაშორისო სამართალი, არამედ სახელმწიფოებს შორის სამართალი. არასოდეს საერთაშორისო სამართალი სწორუფლებიან წევრად არ აღიარებს ისეთ ერს, რომელიც ფაქტიურად არ არსებობს, ანუ რომელსაც არ აქვს სუვერენი სახელმწიფო. თვით ინტერნაციონალიზმი ისე აქვთ შეგნებული მოწინავე სოციალისტ-ინტერნაციონალისტებს, რომ შეუძლებელია ერის დაცვა მათი პრინციპებით. ისინი განიხილავენ ერს არა როგორც სოციალურ ორგანიზმს, არამედ მხოლოდ როგორც კლასებისგან შემდგარ საზოგადოებას და ხედავენ მეტ კავშირს სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარებს შორის, ვიდრე ერთი ერის ყველა წევრებს შორის. მ. წერეთლის მოსაზრებით, დროა საზოგადოებრივმა აზრმა პირდაპირ აღიაროს ერის უფლება მხოლოდ და მარტო მისი ინდივიდუალური არსებობის გამოც კი, როგორც აღიარებულია ადამიანის უფლება. საერთაშორისო სამართალმა თუ აღირა თეორიულად თანასწორობა სახელმწიფოების, ამის შემდეგ, საზოგადოებრივ აზრის ზეგავლენით, თეორიულად და ზნეობრივად მაინც უნდა აღიაროს ერთა თანასწორობაც. (წერეთელი, 1990, გვ. 141)

ეროვნულობის შენარჩუნების მთავარ საშუალებად მ. წერეთელი ტერიტორიის შენარჩუნებას თვლის (ისევე, როგორც ა. ჯორჯაძე). ის აღნიშნავს, რომ მიწის საკითხი მხოლოდ აგრარული საკითხი არ უნდა იყოს თითოეული ქართველისათვის, რაც, რა თქმა უნდა, სწორი შეხედულებაა. თუ ქართველი ხალხი შეინარჩუნებს ტერიტორიას ის ადვილად შეინარჩუნებს ეროვნულობასაც, ხოლო ტერიტორიის გარეშე ერი მოკვდება. ქართველებისთვის დამახასიათებელი ნიჰილიზმი ტერიტორიის საკითხთან მიმართებაშიც არსებობდა. თვით ავტონომიის საკითხსაც უინტერესოდ ეპყრობოდა

ხალხი. მ. წერეთელი გამოჰყოფს ფედერალისტების ღვაწლს, რადგან მხოლოდ მათ მიაქციეს (და სწორადაც მოიქცნენ) ამ საკითხს ყურადღება. სხვა სოციალისტები კი პირიქით, მისი მოწინააღმდეგეებიც იყვნენ. ის ადანაშაულებს სოციალ-დემოკრატებს „გარუსებაში“, თუმცა ისინი ამაყობდნენ ამ „გარუსებით“, რადგან სწორედ ეს მიაჩნდათ ინტერნაციონალიზმად. (წერეთელი, 1990, გვ. 32)

მ. წერეთელი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოღვაწეა იმ თვალსაზრისით, რომ ის გვერდს უვლის თავის იდეოლოგიას, უკანა პლანზე ანაცვლებს მას, როცა საქმე ეხება ქართველ ერს, რომელიც დასუსტებულია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის საერთოდ უარს ამბობს ანარქიზმზე, ის უბრალოდ აცხადებს, რომ შეიძლება იდეურად ანარქისტი იყოს ადამიანი, მაგრამ ამავე დროს იცავდეს ეროვნულ საზოგადოებას, რადგან ყოველი ერი კონკრეტული საზოგადოებაა, რომელმაც უნდა განახორციელოს თავისი შემოქმედებითი სოციალიზმი, თავისი არჩევანით შეუერთდეს თავისუფალ სხვა ერებს და ამით შექმნას საკაცობრიო ინტერნაციონალი. თუ თავად ერი გაქრა, გაქრება მისი შემოქმედებაც, მაშასადამე ანარქიზმი/ინტერნაციონალიზმიც ვერ განხორციელდება. ამიტომ, პირველ რიგში, თვით ერი უნდა იყოს დაცული და თუ დაცვის პროცესს ანტი-ანარქისტული თუ ანტი-ინტერნაციონალისტური ქმედება დასჭირდა ის უყოყმანოდ უნდა განხორციელდეს. ის არ ღალატობს იდეოლოგიას, არც არავის მოუწოდებს ამისაკენ, უბრალოდ არსებობს ერისათვის კრიტიკული პერიოდები, როცა ადამიანმა ეროვნულობის დასაცავდ შესაძლებელია ანტი-იდეოლოგიური ქმედებაც ჩაიდინოს. რატომ? იმიტომ, რომ ეს საფრთხე ახლოს მდგარია, ყოველდღიურია და თუ შენ იბრძვი შენი ერისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ შენ შენი იდეოლოგიისთვისაც იბრძვი, რადგან ერის გარეშე სამომავლო იდეალი ვერ განხორციელდება. თუ ერი გაქრა, ან თუ გაითქვიფა სხვა ერში, მივიღებთ ერთ ამორფულ მასას ხალხისას, რაც არც ერთი ქართველის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს.

მ. წერეთელი მსჯელობს იმაზე, რომ კაცობრიობა არ არის სოციალური ფაქტი, რომ მას სოციალური არსებობა და საერთოდ არსებობაც არ გააჩნია და რომ, სწორედ, ამის გამო არ შეიძლება იყოს იდეალი. უნდა ვიკითხოთ: რატომ არ არის, ავტორის აზრით, კაცობრიობა სოციალური ფაქტი?

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კაცობრიობა ადამიანთა ერთობლიობად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ეს კი არ ქმნის სოციალობას, ამიტომ არც სოციოლოგიის საგანია. მეორეც, სოციალური ფაქტი, ადამიანთა გარეგნულად მოწესრიგებული ცხოვრებაა, კაცობრიობას არ ახასიათებს ასეთი არსებობა, ამიტომ ის არ არის სოციალური ფაქტი. კაცობრიობა არ არის სუპერ-ორგანიზმი ერთიანი ორგანოებით და ფუნქციებით და, მაშასადამე, არც საზოგადოებაა. (წერეთელი, 1990, გვ. 17)

ყველაზე კარგად კაცობრიობის ფიქციურობა პოლიტიკური ორგანოების განხილვისას სჩანს. პოლიტიკური ორგანოები და მათი ფუნქციები, პოლიტიკური მოწესრიგების ფორმები ხომ თვალსაჩინოდ გვაჩვენებენ, რომ კაცობრიობა ამ მხრივ არარეალურია, ფიქციაა, რადგან არ არსებობს დღეს ერთი საკაცობრიო სახელმწიფო, არამედ არსებობენ სახელმწიფოები. კაცობრიობას არ აქვს საერთო ფუნქციები საერთო მიზნების მისაღწევად, რადგან ასეთი საერთო მიზანი არ არსებობს. ზოგის იდეალი სწორედ, ერთი უნივერსალური რესპუბლიკის დაარსებაა, მაგრამ არავინ იცის ამ იდეალის რეალური შინაარსი, არის კი ის ღირსი, რომ ვუწოდოთ იდეალური მოდელი? ან რას წარმოადგენს თავის თავად ეს იდეალი?

მ. წერეთელი აკრიტიკებს კოსმოპოლიტიზმის ტერმინსაც. ამტკიცებს, რომ კოსმოპოლიტიზმი ანუ მსოფლიო მოქალაქობა შეუძლებელია, რადგან კოსმოსის მოქალაქეობაზე კი არაა ლაპარაკი, არამედ დედამიწის და მას კოსმოპოლიტიზმი კი არ უნდა ეწოდოს, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, არამედ გეოპოლიტიზმი. მოქალაქეობა ნიშნავს სოციალურ კავშირს საზოგადოების წევრთა შორის. ადამიანებს დედამიწის გარდა სხვა პლანეტასთან არავითარი სოციალური კავშირი არ აქვთ. (წერეთელი, 13 02 2018, გვ. 23)

რატომ სჭირდება მ. წერეთელს კაცობრიობის უარყოფა? ეს მისთვის იყო ერთგვარი საშუალება საიმისოდ, რომ სოციალური ერთობის ისეთი ფორმა, როგორიცაა ერი, დაესახა იდეალად, ღირებულებათა ორიენტაციების ამოსავლად. ერი, როგორც რეალური სოციალური ორგანიზმი გამოირჩევა ორი ძირითადი ნიშნით: 1. ენით; 2. პოლიტიკური ორგანოებით, ე.ი. სახელმწიფოებრიობით. ამიტომ ლოგიკურია, რომ

ავტორი კაცობრიობის უარყოფის შემდეგ გადადის ერის ანალიზზე და მისი რეალობის დასაბუთებაზე.

მ. წერეთელმა კი მიუთითა სწორად ერის და კაცობრიობის განსხვავებაზე, რომ ერი ერთი მთლიანი ორგანიზმია, კაცობრიობა კი - არა, მაგრამ აქედან არასწორი დასკვნა გააკეთა, როდესაც უარყო კაცობრიობის არსებობა და სოციალური ფიქცია უწოდა მას. (ერქომაიშვილი, 2000, გვ. 35)

კაცობრიობა არსებობს, მაგრამ არა განყენებულად, ერებისაგან დამოუკიდებლად, არამედ როგორც მათი ერთობლიობა. კაცობრიობა მათი ერთიანობა კი არაა, არამედ ერების მრავალფეროვნებაა. კაცობრიობის სიმდიდრეა ერები და მათ მიერ შექმნილი კულტურები. ყოველი ერი განსაკუთრებულია და თავისი წვლილი შეაქვს საერთო-საკაცობრიო კულტურაში: ზოგს - მეტი, ზოგს - ნაკლები, მაგრამ რაც არ უნდა უმნიშვნელო წვლილი შეიტანოს ერმა საკაცობრიო კულტურაში, იგი მარტო თავისი არსებობითაც კი მისი განუყოფელი ნაწილია, რადგან ერთადერთია, უნიკალურია, ინდივიდუალურია. ერი თავისი ისტორიით იმდენად თავისებურია, რომ ის შეიძლება გარეგნულად ჰგავდეს სხვა ერს, მაგრამ მისი იგივეობრივი ვერ იქნება. მსგავსება კი შორს დგას იგივეობისაგან. (ერქომაიშვილი, 2000)

ვ. ერქომაიშვილი, როდესაც მ. წერეთელის შეხედულებას განიხილავს თავის მოსაზრებასაც გვიზიარებს და თვლის, რომ კაცობრიობის მომავალი ერთა ინტეგრაციაზე გადის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მათ შერწყმაზე. (ერქომაიშვილი, 2000, გვ. 36)

მ. წერეთელი წერილში „ერის უფლება“ წერს, რომ ერი, რა თქმა უნდა, სოციალური ინდივიდია და მაშასადამე მას უნდა ჰქონდეს ყველა უფლება და ვალდებულება, რომელიც კი მას შეეფერება უმაღლესი საერთაშორისო პრინციპის ძალით. გამოდის, რომ საქართველოსაც აქვს დამოუკიდებლად არსებობის უფლება. (ებრალიძე, 1968, გვ. 81)

ერი იქმნება იქ, სადაც პატარა ელემენტარული სოციალური ორგანიზმები ერთმანეთს ემსგავსება მიმბაძველობის გამო განსაზღვრულ სფეროებში, ამის შედეგად

ჩნდება საერთო ორგანოები და ფუნქციები, ბოლოს პოლიტიკურიც და ეს ერის წარმოშობას ნიშნავს, რომელიც სახელმწიფოს არსებობით დაგვირგვინდება. (წერეთელი, 1990, გვ. 76)

ერი - კონკრეტული საზოგადოებაა. მას აქვს სოციალური შინაარსი და მართლაც, ყველა ერს აქვს თავისი სოციალური ორგანოებიც, - ეკონომიკური, იურიდიული და სხვა დანარჩენებიც. აგრეთვე აქვთ თავიანთი ინტერნაციონალური ორგანოები ერთმანეთთან კავშირის დასამყარებლად და ეს აბსტრაქტული პრინციპი საზოგადოებრიობისა კონკრეტულად ხორციელდება თითოეულ ერში.

მ. წერეთელი ყოველთვის ცდილობს ცნებებს ზუსტი განმარტება მისცეს, რათა შემდეგ იმსჯელოს მათ შინაარსზე თუ მართებულობაზე. რასის, ერის და საზოგადოების ცნებები ერთი და იგივე არ არის. საზოგადოება აბსტრაქტული ცნებაა განსაზღვრული ბუნების მოვლენისა, ერი კი კონკრეტული მაგალითია ამ მოვლენის არსებობისა. სახელმწიფოს ცნება აგრეთვე განსხვავდება ამ ორ ზემოთ ხსენებული ცნებისაგან. სახელმწიფო თავდაპირველად უფრო ორგანიზაცია იყო ერთი ეთნიკური ჯგუფის მეორეზე ბატონობის, შემდეგ ის გახდა იმ დაწესებულებების ჯამი, რომლითაც ერი ჰქმნის ერთ განსაზღვრულ, ძალდატანებით საზოგადოებრივობას. მაგრამ შეიძლება ერს სხვა ფორმა ჰქონდეს საზოგადოებრივობისა - მაგ. თავისუფალი ფორმა, რომელიც მომავალი იდეალია ადამიანთა საზოგადოების. საზოგადოება შეიძლება სახელმწიფოს გარდა სხვა ფორმითაც არსებობდეს. სახელმწიფო ამასთანავე უფრო მექანიკური კავშირია ადამიანებს შორის, ვიდრე ერი, რომელიც ადამიანების ორგანული, ბუნებრივი კავშირია. (წერეთელი, 1990, გვ. 85-86)

სახელმწიფო დიდ როლს ასრულებს ერის შექმნაში. ორი გზით შეუძლია სახელმწიფოს ეროვნების შექმნაში მონაწილების მიღება: 1) განცალკევებული, მაგრამ ერთგვარი საზოგადოებების შეერთებით. ეს ან ნებაყოფლობით ხდება, ან ცენტრალური სახელმწიფო ძალის განვითარებით, საიდანაც ჩნდება ეროვნული სახელმწიფო. შეერთებამდე ეროვნული თვითშეგნება არ არის განვითარებული, ან სუსტადაა განვითარებული. დროთა განმავლობაში ერთი სახელმწიფოს შიგნით ერთად ცხოვრების გამო ვითარდება ერთი ეროვნების თვითშეგნება. მჭიდრო კავშირი ერის

ნაწილთა შორის მაშინ არსებობს, თუ ამ კავშირის განმამტკიცებელი ცენტრალური ძალა ცდილობს შეძლებისდაგვარად ყველა ადგილობრივი ინტერესების დაცვას და არ კლავს ადგილობრავ თავისუფლებას; 2) მეორე გზა ეროვნების წარმოქმნისა არის დიდი ერის მიერ პატარა ერების ან რასების დაპყრობა და მათი ასიმილაცია სახელმწიფოს მიერ. ასიმილაციის პროცესის დასრულების შემდეგ პატარა ერს დაკარგული აქვს ყველაფერი ეროვნული და ერწყმება დამპყრობელი ერის სოციალურ ცხოვრებას. ერთი ერი ანაცვლებს მეორე ერის ადგილს. (წერეთელი, 1990, გვ. 88)

მაგრამ საინტერესოა ის, რომ ერს აქვს იმის უნარი, რომ შეჰქმნას სახელმწიფო. ერი წარმოშობს სახელმწიფოს, რასაც არ იზიარებს ა. ჯორჯაძე. მისი აზრით, სახელმწიფო ერის შექმნის აუცილებელი ფაქტორია და არა პირიქით. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს გარეშე ერი ვერ წარმოიშობა. ხოლო მ. წერეთლის შეხედულებით, ერი არის კონკრეტული საზოგადოება, რომელსაც შეუძლია შექმნას სახელმწიფო ან თავის საკუთარი ელემენტების შემოქმედებით, ან სხვა ერების დაპყრობით. სახელმწიფო, მისი აზრით, არ არის ბუნებრივი სოციალური ორგანიზმი. ის ერის მიერ ხელოვნურად შექმნილი სოციალური ორგანიზმია. თავად ერი კი არის სოციალური მონადა, რომელსაც აქვს თავის დაცვის და შენახვის ინსტიქტი. (წერეთელი, 1990, გვ. 12)

ჩვენი აზრით, ერის მონადად დასახვა არსებითი შეცდომა არ არის. პირიქით, ეს კარგი ანალოგიაა იმის დასანახად თუ რა შინაარს დებს მ. წერეთელი ერის ცნებაში. მონადა ფილოსოფიური ტერმინია, რომელსაც იყენებენ არსებულის უმარტივესი, განუყოფელი ელემენტების აღსანიშნავად. მატერიალისტებიც იყენებდნენ ამ ტერმინს ანტიკურ ეპოქაში, შემდეგ იგი იდეალისტურ ფილოსოფიაში დამკვიდრდა ატომის საპირისპირო ელემენტარული სულიერი პრინციპის აღსანიშნავად. ალბათ, ამ ცნების გ. ლაიბნიცისეულ გაგებას ეყრდნობა მ. წერეთელი. გ. ლაიბნიცისათვის სუბსტანცია მონადაა, რომელიც ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც ერთეული, ანუ მისთვის მონადაა რეალობის საწყისი. მონადა არის მარტივი სუბსტანცია, რომელიც შედის რთულ სუბსტანციებში. მარტივი სუბსტანცია გულისხმობს იმას, რომ მას ნაწილები არ აქვს, ე. ი. მონადას ნაწილები არ აქვს, როგორც ერს, რადგან ის ერთი მთლიანობაა. თუმცა მ. წერეთელი არ გულისხმობს მოხეტიალე მონადებს, პირიქით, განსაზღვრულ ტერიტორიაზე დამკვიდრებულ მონადას გულისხობს. ის, რომ მონადა რთულ

სუბსტანციებში შედის და მის გარეშე ვერ წარმოიშობა რთული სუბსტანცია გულისხმობს იმას, რომ ერის გარეშე ვერ წარმოიშობა მასზე რთული სუბსტანციები. ერის არსებობა საჭიროა სახელმწიფოს შესაქმნელად. ესაა მ წერეთლის ლოგიკა. ჯერ იქმნება ერი და ერი ქმნის სახელმწიფოს, რომელიც განამტკიცებს და აძლიერებს ერის არსებობას. იმის დასადასტურებლად, რომ ერი მონადაა და განუყოფელია მ. წერეთელი აღნიშნავს, რომ ვერანაირი კლასთა ბრძოლა ვერ შლის ეროვნულ ერთობას, რადგან ის განუყოფელი მონადაა. ეროვნული ორგანიზმი იმდენად ძლიერია, რომ ის ხალხიც, რომელსაც ოდესმე ჰქონია ერი ცდილობს ხელახლა შექმნას ნამდვილი ერი.

მაგრამ ისტორიის მაგალითები გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ერის გადაგვარება. საინტერესო როგორ ხდება ეს პროცესი? მისი ორგანოების დაკარგვით. ვიცით, რომ ერი რამდენიმე ორგანოსგან შედგება (დე გრეფის მიხედვით შვიდისგან, თუმცა ეს რიცხვი მერყევია. სხვა სოციოლოგებთან სხვადასხვა რაოდენობა სახელდება). ეკონომიკური ორგანო ყველაზე უფრო მარტივია, მაგრამ რთული გასაქრობად, ხოლო პოლიტიკური ორგანო ყველაზე მეტად რთულია და სპეციფიკური. უმეტეს შემთხვევებში ერის გადაგვარება იწყება ამ მგრძნობიარე ორგანოს ატროფიით, რაც მთავრდება ეკონომიკური ორგანოების გაქრობით. რასაც მოჰყვება ხალხის და ტერიტორიის გაქრობა. მ. წერეთელს მოჰყავს საქართველოს მაგალითი, რომელმაც ჯერ პოლიტიკური ორგანო დაკარგა და მის თანამედროვე ეპოქაში საქართველო თანდათან მიდიოდა საკუთარი სოცილური ორგანიზმის განადგურებამდე. მაგრამ აქ ერთი მომენტი უნდა ავღნიშნოთ სახელმწიფოს გადაგვარება პოლიტიკური ორგანოების განადგურებას ნიშნავს. თუმცა ამ ეტაპის შემდეგ ერი მაინც აგრძელებს ფუნქციონირებას. ერის სრული გადაგვარება განსაზღვრული სოციალური ორგანიზმის დაშლას გულისხმობს, თუმცა ამ ორგანიზმის დაშლის შემდეგაც ხალხი, როგორც სოციალური მასალა რჩება. (წერეთელი, 1990, გვ. 101)

შევაჯამოთ ის შინაარსი, რასაც გულისხმობს მ. წერეთელი ერის ცნებაში - ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი, შემდგარი მრავალი ეთნიკური და სოციალური ჯგუფისგან, რომლებსაც შეუძლიათ დროის გასვლის შემდეგ შექმნან ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრების შემადგენელი ერთეულები, შექმნან

ერთი საზოგადოება თავისი ინდივიდუალური ორგანოებით: ენით, მეცნიერებით, ეთიკით, ხელოვნებით, სამართლით და პოლიტიკით.

ერის ცნება ასე სხვა ავტორებსაც განუსაზღვრავთ, განსაკუთრებიღ ე.წ. იტალიურ სკოლას, მაგრამ ამ დეფინიციაში, თითქოს, ყველაფერია ნათქვამი და მეტის დამატება აღარ შეგვიძლია ერზე და თან არაფერი არ არის ნათქვამი, რადგან მ. წერეთელი ხაზს არ უსვამს ამ ჩამონათვალთა შორის, რომელია მეტად და აუცილებლად დამახასიათებელი ერისათვის, ანუ მისთვის სპეციფიური. პრობლემურია ის საკითხი, რომ ესა თუ ის ორგანო ხშირად იდენტურია ორ და ორზე მეტ ერისთვის. მაგ. ენა. რა მდგომარეობა გვექნება თუ ერს არ აქვს მკაფიოდ შემუშავებული და გამოყოფილი სხვა ორგანოები გარდა ენისა, ან რომელიმე ერთი ან ორი კონკრეტული ორგანოსი. მ. წერეთელი ასეთ გამონაკლისს მხოლოდ სარწმუნოების სახით ხედავს, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ერში მსგავსი იყოს. სხვა ორგანოების მსგავსებაზე ის არ საუბრობს, მაგრამ უკეთესი იქნებოდა მ. წერეთელს თავისი შეხედულება ამ ნაწილში უფრო დაწვრილებით განეხილა.

მ. წერეთლის ამ წიგნის დადებითად შემფასებლებთა შორის იყო ა. ჯორჯაძე თავის 1910 წელს გამოცემული ვრცელი სტატიით „კარგი წიგნი“, რომელშიც იგი იძლევა „ერი და კაცობრიობის“ დახასიათებას და შეფასებას. მისი აზრით, „ერი და კაცობრიობა“ დიდ თეორიულ ნაშრომთან ერთად წარმოადგენს პრაქტიკული პოლიტიკის საფუძველს. ა. ჯორჯაძე სოლიდარობას უცხადებდა ავტორს, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც მ. წერეთელი აღნიშნავს, რომ კლასობრივი ბრძოლა ვერ ყოფს ერს და ნაწილების დაპირისპირება ვერ არღვევს ერთობას. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში ანარქისტები უკვე აღარ შედიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტების რიგებში, მაგრამ ა. ჯორჯაძე მ. წერეთლის „ერი და კაცობრიობაში“ მაინც ხედავდა საკუთარი აზრების დადასტურებას და საკუთარი პოზიციის მხარდაჭერას. (ახობაძე, 1965, გვ. 275-276)

თავი III. ერის მარქსისტული თეორია საქართველოში

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში საქართველოში ოცამდე პოლიტიკური პარტია, მიმდინარეობა თუ ჯგუფი მოქმედებდა. ყველაზე პოპულარული პარტიები სოციალ-დემოკრატები და შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტები იყვნენ. (შველიძე, 1993, გვ. 168)

ისტორიის დოქტორის ბონდო კუპატაძის თქმით: „ამ პერიოდში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური პარტია (80 %-ანი მხარდაჭერით) იყო სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრთა. ამას ადასტურებს ყველა არჩევნების (მათ შორის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს 4 არჩევნები) შედეგები. თუმცა ეროვნულ საკითხზე მათი თვალსაზრისი თუნდაც მათ მხარდამჭერებში არ იყო გადამწყვეტი თემა. ეროვნულ საკითხზე სხვა პოლიტიკოსთა შეხედულებებს მეტი გავლენა ჰქონდა საზოგადოების იმ ნაწილში, ვისაც ეს საკითხი აინტერესებდა“.

1894 წელს საფუძველი ჩაეყარა პირველ მარქსისტულ ორგანიზაციას საქართველოში - „მესამე დასს“. ასპარეზზე გამოსვლისას მესამე დასელები აცხადებდნენ, რომ ისინი არა რომელიმე წოდების, არამედ მთელი ერის ინტერესებს გამოხატავდნენ. „მესამე დასს“ დიდი წვლილი მიუძღვის მუშა ხალხის გათვითცნობიერებაში, მათ შეკავშირებაში, პოლიტიკურ სფეროში მათ გაცნობიერებაში, მაგრამ საქართველოში მარქსისტული იდეოლოგიის დამკვიდრებამ, სოციალ-დემოკრატების პრაქტიკულმა მოღვაწეობამ ეროვნული საკითხის მნიშვნელობა მეორე ხარისხოვნად აქცია. მათმა შეხედულებებმა გარკვეულწილად უკანა პლანზე გადასწია და გააჭიანურა ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

სოციალ-დემოკრატიული პარტია თავს პროლეტარიატის ხელმძღვანელად მიიჩნევდა, რომლის მეშვეობითაც იმედოვნებდა სოციალიზმის განხორციელებას. სოციალ-დემოკრატები მარქსისტული იდეოლოგიის გავლენით მთელ იმედებს სწორედ პროლეტარიატზე ამყარებდნენ. კ. მარქსი ხომ ამბობდა, რომ იმ კლასებში, რომლებიც უპირისპირდება ბურჟუაზიას, მხოლოდ პროლეტარიატი წარმოადგენს ჭეშმარიტ რევოლუციურ კლასს. (სონღულაშვილი, 2013, გვ. 134)

1900 წელს საქართველო შეხვდა ეთნიკურად, სოციალურად და ეკონომიკურად დანაწევრებული. ამ პერიოდში ქართველი ხალხისთვის სოციალიზმი განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო, რადგან ის იმედს აძლევდა მათ, რომ წერტილს დაუსვამდა კოლონიალიზმს და უცხოელი მესაკუთრეთა მხრიდან ექსპლუატაციას, სოციალურ და კუთხურ დაყოფას. სოციალიზმი მათ ჰპირდებოდა - თანასწორობას და მიწას, უსაფრთხოებას და თვითმმართველობას. (ჯონსი, 2007, გვ. 44-45)

ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთგულები იყვნენ და რუსეთში დამკვიდრებულ ორთოდოქსული მარქსიზმის იდეოლოგიასაც იზიარებდნენ. 1893-1905 წლებში გამოყენებულმა ტაქტიკამ, მიუხედავად ქართველი სოციალ-დემოკრატების რაოდენობრივი სიმცირისა, მათ პარტიას რუსეთის იმპერიის ყველაზე წარმატებული მარქსისტული ორგანიზაციის სახელი მოუპოვა. დაწყებული 1893 წლიდან, როცა იქმნება ეს სოციალისტური ორგანიზაცია, სოციალ-დემოკრატებმა საქართველოში ყველაზე ავტორიტეტული პარტია შექმნეს. თავის მხრივ, მათ პოლემიკა ჰქონდათ როგორც ადგილობრივ ეროვნულ ძალებთან, ისე 1860 წლიდან მოღვაწე ქართველ მოაზროვნეებთან. (ჯონსი, 2007, გვ. 46-47)

სოციალ-დემოკრატებს ერთნაირი შეხედულება არ ჰქონდათ ეროვნული საკითხის შესახებ. ქართველი მენშევიკები თანხმდებოდნენ სოციალური საკითხის შეხედულებებზე, მაგრამ მთავარი შიდა დაპირისპირების გამომწვევი საკითხი სწორედ ეროვნული საკითხი იყო. სოციალ-დემოკრატებს შორის ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის თვალსაზრისით შეგვიძლია ოთხი მიმართულება გამოვყოთ: 1) რადიკალურად მემარცხენე მიმართულება - ეს იყო რადიკალურად ინტერნაციონალისტური შეხედულებების მქონე მიმართულება (მაგ. ირაკლი წერეთელი). ისინი წინააღმდეგები იყვნენ სახელმწიფოს ყველანაირი დანაწილებისადმი და ავტონომიური ერთეულების შექმნისადმი; 2) ზომიერად მემარცხენე მიმართულება - ამ მიმართულების წარმომადგენლად ნოე ჟორდანია შეგვიძლია დავასახელოთ, რომლის პოზიციაც ეროვნების საკითხთან მიმართებაში იცვლებოდა დროის განმავლობაში, ან თანაუგრძნობდა ამ საკითხს, ან იხრებოდა მკვეთრად ინტერნაციონალისტური შეხედულებისაკენ; 3) ზომიერად პატრიოტული

მიმართულება - შესანიშნავი მაგალითია აკაკი ჩხენკელი, რომელსაც ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ, რაგან ის გამოირჩეოდა თანაპარტიელებთან დაპირისპირებით სწორედ ეროვნული საკითხის გამო. 4) სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ პატრიოტული მიმართულებაც ვლადიმერ დარჩიაშვილის შეხედულებების სახით. ის მხოლოდ პოლიტიკურ ავტონომიას არ ითხოვდა, არამედ გარკვეულ ეკონომიკურ ავტონომიასაც. (მაცაბერიძე, 2015, გვ. 7-8)

1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ რუსეთსა და საქართველოში განსაკუთრებით აქტუალური ხდება ეროვნული პრობლემა. თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნული პროგრამის შემუშავებას. იგივე წლებში (1905-1907 წწ) ქართველი სოციალ-დემოკრატები ძირითადად იცავდნენ რსდმპ II ყრილობაზე 1903 წელს მიღებულ ეროვნულ პროგრამას, რომელიც ვ. ლენინმა წამოაყენა და რომელიც დააფუძნა მარქსისტული ეროვნული პროგრამის თეორიულ საფუძვლებზე. თუმცა თანდათან ქართველ სოციალ-დემოკრატთა პოზიციები ეროვნული საკითხის შესახებ დაუპირისპირდა რუსი სოციალ-დემოკრატ ლიდერების პოზიციას (გერგედავა-ჭელიძე, 2000, გვ.3).

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო პროგრამის შემუშავებას, რომელშიც ეროვნული საკითხიც სათანადო ადგილს იკავებდა. პარტიის პროგრამა მინიმუმი პოლიტიკურ ამოცანად აცხადებდა თვითმპყრობელობის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, რომლის კონსტიტუცია უზრუნველყოფდა: 1) ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას, საოლქო თვითმმართველობას იმ ადგილებისთვის, რომლების განსხვავდებიან განსაკუთრებული მოსახლეობის შემადგენლობით და ცხოვრების პირობებით; 2) წოდებათა მოსპობას და ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას; 3) მოსახლეობის უფლებას განათლება მიიღოს მშობლიურ ენაზე, რაც უზრუნველყოფილი იქნება ამისთვის საჭირო სკოლების შექმნით სახელმწიფოს ხარჯზე; მშობლიური ენა შემოღებული უნდა იქნას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში სახელმწიფოებრივი ენის თანაბრად; 4) სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას. (ბენდიანიშვილი ა. , 1980, გვ. 184)

ეს ნიშნავდა იმას, რომ ყველა ერის თვითგამორკვევის უფლების აღიარების გამო სოციალ-დემოკრატები პრინციპულად ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის წინააღმდეგ ვერ გამოვიდოდნენ. ამის მიუხედავად, ისინი ამ ეროვნული პროგრამის ისეთ ინტერპრეტაციას გვთავაზობდნენ, რომ ტაქტიკური მოსაზრებით საქართველოს ავტონომიის მოთხოვნაზე უარს აცხადებდნენ. ისინი ავტონომიის მოთხოვნაზე უარის თქმას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის წარმატების, ამ კლასის მომავლის ინტერესებით ასაბუთებდნენ. პირველი რევოლუციის ხანაში მათ მიზანშეუწონლად მიაჩნდათ ავტონომიის მოთხოვნა. ავტონომიის იდეის უარყოფის შემდეგი ნაბიჯი იქნებოდა ავტონომისტური მოძრაობის მომხრეების რევოლუციის მტრებად გამოცხადებამდე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ასეც მოხდა. ქართველი სოციალ-დემოკრატები სოციალისტ-ფედერალისტებს, ეროვნულ-დემოკრატებს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს უწოდებდნენ. ეროვნული საკითხის შეუფასებლობამ და უგულვებელყოფამ ქართველი სოციალ-დემოკრატიის ნაწილი ეროვნულ ნიჰილიზმამდე მიიყვანა. სხვანაირად არც შეიძლება შევაფასოთ ფ. მახარაძის ეს აზრი: *„ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხებ ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“.* (მახარაძე, 1924, გვ. 18)

მარქსიზმის ისტორიის მკვლევარი, ფილოსოფიის ასოცირებული პროფესორი ლუკა ნახუცრიშვილი კი ამბობს (ჩვენთან ინტერვიუში), რომ ნიჰილიზმის ცნებაზე მეტად მართებულია გამოვიყენოთ ტერმინი - პრაგმატიზმი, როცა სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ ეროვნული საკითხისადმი, რადგან, მისი მოსაზრებით, ილია ჭავჭავაძის მსგავსი ნაციონალისტებისთვისაც კი არარეალისტური უნდა ყოფილიყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნა. დიდი იმპერიულ-გეოპოლიტიკურ და ეკონომიკური მოთამაშეების ურთიერთდაპირისპირების ეპოქაში რთული იქნებოდა რეალური და ქმედითი ყოფილიყო სახელმწიფო დამოუკიდებლობა, მისი მოპოვების შემთხვევაშიც კი.

პირველი რევოლუციის წლებში ქართველი სოციალ-დემოკრატიის მხოლოდ ერთმა მცირე ნაწილმა აღიარა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის საჭიროება (მათ შორის იყვნენ ვ. დარჩიაშვილი, პ. საყვარელიძე, ნ. ეგვიტიშვილი).

ეროვნული საკითხი დიდი დავის საგნად იქცა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა 1906 წლის სექტემბერში. ბოლშევიკები ცენტრალიზმის პოზიციაზე დარჩნენ, მენშევიკებმა ნ. ჟორდანიას მეთაურობით მხარი დაუჭირეს კავკასიის საოლქო თვითმმართველობას. ა. ჯორჯაძე მიესალმა მენშევიკების ბოლშევიკებისგან გამიჯვნას და ამის მიზეზად ეროვნული პროგრამა, ავტონომიის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა მიიჩნია. (ბენდიანიშვილი ა. , 1980, გვ. 192-193)

უნდა შევაჯამოთ და ვთქვათ, რომ სოციალისტური აზროვნება 60-იან წლებში შემოვიდა ქართულ სივრცეში, მაგრამ ის ვერ გადაიქცე პოლიტიკური რეალობის უდიდეს ფაქტორად მანამდე, სანამ სოციალიზმი მჭიდროდ არ დაუკავშირდა მუშათა კლასს. ეს პროცესი კი განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის დასაწყისში. სწორედ ამ პერიოდიდან მარქსიზმი გაბატონებულ იდეოლოგიად გადაიქცა საქართველოში. ქართული სოციალისტური აზროვნება უმთავრესად გულისხმობდა მარქსიზმს. ამ იდეოლოგიის მთავარი გამტარებლები კი საქართველოში „მესამე დასი“ იყო.

სოციალ-დემოკრატების პოზიციები ეროვნულ საკითხზე იცვლებოდა 1900-1917 წლების სხვადასხვა პერიოდში, თუმცა ის, რომ ისინი მუდმივად პრესის მეშვეობით დისკუსიაში ერთვებოდნენ სოციალისტ-ფედერალისტებთან ამ თემის განხილვისას მთლიანად ამ პერიოდის დამახასიათებელი იყო. გვინდა ავღნიშნოთ ისიც, რომ იმპერიალისტური ომის დაწყებისას სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები კიდევ ერთი პრაქტიკული მაგალითით დარწმუნდნენ საკუთარი პოზიციების სისწორეში, როცა ომი „ეროვნული დროშის“ გამოყენებით წარმოებდა. გაზეთი „მეგობარი“ ამის შესახებ წერდა: „*დღეს თითქმის ყველა ქვეყნის სოციალისტები ერთმანეთს ებრძვიან თავის სამშობლოს დასაცავად და ეს გარემოება ჩვენ გვახარებს, რადგან ეს ბრწყინვალედ ადასტურებს ჩვენი ეროვნული დროშის სიმართლეს“.* (ახობაძე, 1965, გვ. 338)

ისტორიის დოქტორი ბონდო კუპატაძე იზიარებს ამ უკანასკნელ შეხედულებას და ამბობს: „ეროვნული ნიჰილიზმი პოლიტიკური ცხოვრების თანამდევია ყველგან და ყველა ეპოქაში. 1900-1917 წწ-ში ქართული პოლიტიკური ჯგუფების ნაწილს

(ბოლშევიკები, მემარცხენე სოციალ-დემოკრატი-მენშევიკები, ესერები, ანარქო-სინდიკალისტები...) ეს ახასიათებდა. ამის მთავარი მიზეზი იყო ამ პარტიათა პოლიტიკურ პროგრამაში სოციალური თემატიკის პრიორიტეტულობა. მათ მიაჩნდათ, რომ ეროვნული საკითხის წამოწევის შემთხვევაში დაკარგავდნენ ერთობას, სოლიდარობას და მხარდაჭერას სარუსეთო მასშტაბის სხვა პოლიტიკურ ძალებთან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი სოციალისტების ნაწილმა ეს ნიჰილიზმი დაძლია პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და კულტურულ ავტონომიაზეც დაიწყო საუბარი. მათ საპირისპიროდ ბუნებრივია არსებობდა ნაციონალისტური პარტიები (ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები...), რომლებიც საკმაოდ რადიკალურად იყვნენ განწყობილნი ეროვნულ საკითხში. ჩემი კონცეფციაა (რაც 2001 წელს დაცულ დისერტაციაში ჩამოვაყალიბე), რომ 1912-1917 წწ-ში, მანამდე ძლიერ კონფრონტაციული ქართული პოლიტიკური სპექტრი ცდილობს ურთიერთდაახლოებას. „მემარჯვენათა-გამემარცხენება და მემარცხენეთა-გამემარჯვენება“ ვუწოდე ამ პროცესს“.

§1. ნოე ჟორდანიას შეხედულება ერის ცნების შესახებ

ნოე ჟორდანიას ადრეულ სტატიებში იგრძნობა პოლონელი და უკრაინელი სოციალისტების, მაგალითად, ბოლესლავ ლიმანოვსკისა და ივან ფრანკოს გავლენა. ისინი ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის ტაქტიკას უწევდნენ პოპულარიზაციას, რომლის დასაყრდენი იყო პროლეტარიატი, ამ სიტყვის ფართო გაგებით - ხელოსნების და გლეხების ჩათვლით. ეს, ალბათ, ნ. ჟორდანიას ვარშავაში მოღვაწეობის პერიოდში იყო, როცა ის ეროვნულ საკითხზე აკეთებდა აქცენტს. ეს მის პროგრამაშიც აისახა, რომელიც სოციალ-დემოკრატებისათვის დაწერა და რომელიც პირველ შეხვედრაზე განიხილეს და გააკრიტიკეს ახალგაზრდა ქართველმა მარქსისტებმა, რადგან მის პროგრამაში ისიც იყო ნახსენები, რომ პარტიას ეროვნულ-დემოკრატიული ერქვა, რაც მათთვის ყოვლად მიუღებელი იყო, რადგან ისინი მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსებას აპირებდნენ (ისეთის, როგორიც გერმანელების სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო). (ჯონსი, 2007, გვ. 78-80)

ამ პროგრამაზე ის აღნიშვავდა: *„ვიტყვი მხოლოდ, რომ საკითხისადმი მიდგომა იყო ორი მხრით - ნაციონალურისა და ტაქტიკურის. უნდა მომენახა ისეთი ღერძი,*

რომლითაც შეიძლებოდა ძველი საზოგადოების გადატრიალება. ასეთ პიონერათ მიმაჩნდა მუშები და ეს ელემენტები უნდა მომენახა ჩვენს ცხოვრებაში. ახლა მე არ შემიძლია ახსნა მეორე დებულების - ერის თავისუფლების აუცილებლობის. არ ვიცი საიდან ამოვიღე ეს, არც ერთ ნაწერში, რომელიც კი წამიკითხავს იმ დროს, ასეთი აზრი არ იყო გატარებულ, არც ერთი ქვეყნის სოციალისტები ამ დებულებას არ აყენებდნენ". (ჟორდანია, 1990, გვ. 23)

ნოე ჟორდანია დარდობდა საქართველოს ბედზე. აინტერესებდა ოდესმე თუ მოახერხებდა საქართველო თავისი გათიშულობის და დანაწევრებულობის დაძლევას და შექმნეს ერთიანი ეროვნული ცნობიერების. გამოსავალს ჟორდანია კაპიტალიზმის განვითარებაში ხედავდა, კაპიტალიზმი იყო ის ძალა, რომელიც ახალ თანამედროვე ქართველ ერს შექმნიდა. მხოლოდ ეკონომიკური ძლიერებით შეძლებდა საქართველო იმპერიული ჩაგვრისგან თავის დახსნას. ერი, რომელიც მატერიალურად არის გაერთიანებული იდეოლოგიურადაც ერთიანდება შემდეგ.

1895 წელს კ. კაუცკი ერთ-ერთ გამოქვეყნებულ წერილში მხარს უჭერდა პოლონეთის დამოუკიდებლობის იდეას, წინააღმდეგ ავტონომიისა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნ. ჟორდანიაზე. კ. კაუცკის მოსაზრების გაცნობით მან გაიაზრა, რომ მარქსიზმი სრულიად არ უარყოფდა ნაციონალურ საკითხს და ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლას. (ნიქაბაძე, 2010)

ნ. ჟორდანიას წერილებში 90-იან წლებში ვხედავთ, რომ ის იზიარებდა მარქსის მოძღვრების ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ და პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლებს, მაგრამ მისთვის მარქსიზმის რევოლუციონერული მხარე მიუღებელი იყო. ამ პერიოდში მასზე დიდ გავლენას ახდენდა ნაციონალური ინტელიგენცია და მისი პუბლიკაციის მთავარი მოტივიც ერის საკითხის ირგვლივ ტრიალებს. ის უარყოფს კონსერვატიულ („ივერიის") მიმართულებას ეროვნულ საკითხში, მაგრამ მისი მიდგომა საკითხისადმი არ არის პროლეტარული იდეოლოგიის საფუძვლებზე აგებული და ამით ის შორდება მარქსიზმს. ნ. ჟორდანიას დასაყრდენი ძალა პროლეტარიატის ნაცვლად დემოკრატიაა და მისი სოციალ-პოლიტიკური მიდგომაც დემოკრატიული პრინციპებიდან გამოდის. (ხუნდაძე, 1927, გვ. 279)

ნ. ჟორდანია თავის პლატფორმაში პრიორიტეტულად დემოკრატიული წყობილების იდეას აყენებდა, პოლიტიკური თავისუფლების პროექტს იცავდა. მისთვის იდეალი იყო პოლიტიკური თავისუფლება და კონსტიტუციონალური წყობილების დამყარება. ვხედავთ, რომ ის 90-იან წლებში პირველ რიგში აყენებდა პოლიტიკურ მომენტს და არა ეკონომიურს. ამ მოთხოვნების წამოყენებისას კი პროლეტარიატის ინტერესების დაცვა არსად ჩანს. მან კლასებს შორის ბრძოლა არ დააკავშირა პოლიტიკური ბრძოლის შინაარსათან. მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად მას ჰქონდა შეგნებული კაპიტალისტური წყობილების მნიშვნელობა. იგი მარქსის პოლიტიკური ეკონომიის ნიადაგზე დადგა და ამ საზომით აშუქებდა საქართველოს თანამედროვე ეკონომიურ სინამდვილეს. (ხუნდაძე, 1927, გვ. 288)

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში ნ. ჟორდანია ნათლად ხედავს კლასების არსებობას მის თანამედროვე საზოგადოებაში და იმ მწვავე ბრძოლას, რომელიც არსებობს ამ კლასებს შორის ეკონომიურ საფუძველზე. თუმცა ის კლასთა ბრძოლის საზომით არ ხედავს და ხსნის ყველა მოვლენას.

ამრიგად, 1903 წლამდე ნ. ჟორდანია აღიარებდა ეროვნული საკითხის მნიშვნელობას და ეროვნული თვითმართველობის სათანადო ფორმასაც. ეს მდგომარეობა 1903 წელს შეიცვალა, როცა ზაფხულში რსდმპ II ყრილობაზე მიიღეს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. ნ. ჟორდანიას მოსაზრებით, ერთა თვითგამორკვევის პრინციპი გადმოიღეს პირველი ინტერნაციონალის რეზოლუციებიდან და არავინ იცოდა ზუსტად რას ნიშნავდა იგი. (ნიქაბაძე, 2010)

1905-1914 წლებში ნოე ჟორდანია მენშევიზმის პოზიციაზე იდგა და უფრო ღრმავდებოდა მისი ნიჰილიზმი ეროვნული საკითხისადმი და ის უფრო მწვავედ უპირისპირდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რისი დამადასტურებელი ფაქტიც თუნდაც 1908 წელს გამოქვეყნებული და ჩვენს მიერ ქვემოთ განხილული სტატიაა - „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“.

1906 წელს ნ. ჟორდანია გადაჭრით უარყოფდა ფედერალიზმის პრინციპს და გამოდიოდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის წინააღმდეგაც. მაგრამ რეაქციის

პერიოდში ის კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიის მოთხოვნას იზიარებდა. (ახობაძე, 1965, გვ. 297)

1908 წელს გამოქვეყნებულ ნ. ჟორდანიას სტატიაში „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, ის მოითხოვს ქართველი ხალხისათვის კულტურილ-ნაციონალურ ავტონომიას, რომელიც ჯერ კიდევ 1906 წელს იქნა უარყოფილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კონფერენციაზე. ის თხოულობდა თავისი ერისათვის კულტურულ, და არა პოლიტიკურ, ავტონომიას. ნოე ჟორდანია სტატიაში „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ ასაბუთებს, რომ ქართველი ხალხისათვის ნაციონალიზმი უცხოა. ამ სტატიაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგადად სოციალ-დემოკრატების თვალსაზრისია წარმოდგენილი ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით. ნ. ჟორდანია ილაშქრებს ყოველგვარი ნაციონალიზმის წინააღმდეგ და მიაჩნია, რომ არ არის საჭირო პოლიტიკური ავტონომია საქართველოსთვის. ჩვენთვის საკმარისია ქართულ ენაზე კულტურის შექმნა, ამიტომ გვჭირდება მხოლოდ კულტურული ავტონომია. რა თქმა უნდა, მოგვიანებით სოციალ-დემოკრატების დიდმა ნაწილმა შეიცვალა პოზიცია და საჭიროდ მიიჩნიეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა. (ჟორდანია, 2015)

როცა დაბალი კულტურის მატარებელი ხალხი იპყრობს მაღალი კულტურის მქონე ხალხს ეს ამ უკანასკნელისათვის სატკივარი ხდება. აქ ნაციონალური დროშის ქვეშ მთელი ერი ერთიანდება და გაბატონებულ ერს ებრძოლება. საქართველოს შემთხვევაში - რუსები უფრო მაღალი კულტურის ხალხი იყო, ვიდრე ქართველები, რადგან ქართველები ფეოდალიზმის ხანაში ცხოვრობდნენ ისევ, რუსეთი კი ბიუროკრატიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. (ჟორდანია, 2015, გვ. 31-32)

ამის მიუხედავად სოციალ-დემოკრატებიც აღიარებენ, რომ იშვიათად ვხვდებით ერს სადაც ნაციონალურ მიმდინარეობას დიდი გავლენა არ ჰქონდეს-განსაკუთრებით დამორჩილებულ ერებში, თუმცა არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური საკითხი, როგორც ქართველებს. ხალხი ნაციონალიზმს დღესაც ისევე უარყოფს, როგორც წინათ, რა სახითაც არ უნდა მიართვა მას ის, ამიტომ კულტურული ავტონომიის მოთხოვნა ხალხის გულისნადების გამჟღავნებაა. გამოდის, რომ სოციალ-

დემოკრატებს აქვთ პრეტენზია, რომ ისინი სწორედ ხალხის გულისნადების განმცხადებელნი არიან. ნაციონალიზმის უარყოფის მიზეზად კი ნ. ჟორდანია ასახელებს იმას, რომ საქართველო დაყოფილი იყო სამეფოებად და თითოეული სამეფო იბრძოდა თავისი ინტერესებისათვის. საქართველოს პატრონი გამოდის, რომ უნდა ყოფილიყო გარეშე ძალა. ნაციონალიზმის დამსახურებად მიიჩნევს მისი ტრაგიზმის საფუძვლად დადებას ჩვენი პოეზიისა და ლიტერატურულ აღორძინებისათვის 60-იანი წლებიდან. (ჟორდანია, 2015, გვ. 37)

ნ. ჟორდანიას თეორიის საკმაოდ დიდ ხარვეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ რუსეთმა ქართველებთან ერთად სხვა „ჩამორჩენილი“ ხალხიც დაიპრო. ნ. ჟორდანიას კონცეფციის თანახმად ამ ხალხსაც უარი უნდა ეთქვა წესით ნაციონალიზმზე, თუმცა მათში ნაციონალიზმი პირიქით, ძლიერდებოდა. ის თავადვე აღნიშნავს, რომ კავკასიის სხვა ერებში ნაციონალიზმი განძლიერებული იყო (თუმცა ამ ფაქტს არ/ვერ ხსნის). (ჟორდანია, 2015, გვ. 46)

კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის იდეის ფუძემდებლებად კი ავსტრიელი სოციალ-დემოკრატები ო. ბაუერი და რ. შპრინგერი ითვლებიან. მათ თეორია ვ. ი. ლენინი მოგონილს უწოდებდა. ასეთი ავტონომიის ამოსავალ წერტილს ერის ცნება წარმოადგენს, როგორც ადამიანთა ისეთი კავშირისა, რომელიც არსებობს განსაზღვრული ტერიტორიისაგან დამოუკიდებლად. რ. შპრინგერის აზრით, ერი ექსტერიტორიული ადამიანთა კავშირია, ადამიანების, რომლებიც ერთნაირად აზროვნებენ. ეს არის პერსონალური კავშირი. კულტურულ-ნაციონალური ავტონომია კი დამოკიდებულია თითოეული პიროვნების თვითშეგნებაზე. ვინც თავს ამა თუ იმ ერის წარმომადგენლად თვლის წევრია ერთი ეროვნული კავშირისა. ასეთი კავშირით შედის ერის სახელმწიფოს შემადგენლობაში და ის განაგებს მხოლოდ კულტურულ საქმეებს. პოლიტიკურ საკითხებს კი სახელმწიფო პარლამენტი წყვეტს. (ებრალიძე, 1968, გვ. 110-111)

ა. ჯორჯაძე აკრიტიკებს ნოე ჟორდანიას გაზეთ „ცისკარსა“ და „აზრში“ გამოქვეყნებულ სტატიას „ქათველი ხალხი და ნაციონალიზმი“. ნ. ჟორდანიას აზრით, ისტორიულმა საქართველომ ეროვნული შემეცნება ვერ განახორციელა. მან ვერ

განავითარა, საკუთარი დამოუკიდებლობის დროს, სამოქალაქო ცხოვრება, ვერ შექმნა მრეწველობა და აღებ-მიცემობაო. ა. ჯორჯაძე, ნ. ჟორდანიას საპირისპიროდ, თვლის, რომ ძველი ისტორია საქართველოსი განუწყვეტელი მცდელობაა ეროვნების შემუშავებისა. ამ პროცესს ბევრი ფაქტორი აბრკოლებდა. ფეოდალთა ბრძოლა მეფეებთან ეროვნების შესუსტებას იწვევდა. თუმცა მეფეების ძლიერების ხანაც ხომ ვიცით ჩვენს ისტორიაში?! ამ დროს ეყრება საფუძველი ქართულ ეროვნულ შემეცნებას. ნ. ჟორდანიას კი მხედველობაში აქვს XVIII საუკუნის საქართველოს ისტორია, როდესაც ფეოდალებმა გარეშე მტრების დახმარებით დაამხეს საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება. ა. ჯორჯაძე არ ეთანხმება ნ. ჟორდანიას მტკიცებას, თითქოს საქართველოში რუსეთის დამკვიდრებას გამოეწვიოს ქართული კულტურის აყვავება. ქართული კულტურა თუ წინსვლის გზაზეა, ამის ახსნა რუსეთის შემოსვლით, ფაქტიურის გარდა, ლოგიკური შეცდომაცაა. (ჯორჯაძე, 1990, გვ. 75)

1913 წელს ქვეყნდება ნ. ჟორდანიას სტატიების სერია „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ („ნარიძეს“ ფსევდონიმით), რომელშიც ავტორი ასაბუთებდა კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას და აკრიტიკებდა ლენინურ ეროვნულ პროგრამას. ის პირდაპირაც აღნიშნავდა, რომ მისი თვალსაზრისი ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკების თვალსაზრისს. ის უარყოფდა იმ მოსაზრებას, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა მჭიდროდაა დაკავშირებული საერთო დემოკრატიულ მოძრაობასთან, რომ ეროვნულ-ნაციონალური საკითხი ამ მოძრაობის ეროვნული რგოლია. ამ თვალსაზრისს ის *„ძველ ბოლშევიკურ აზროვნებას“* უწოდებს. (ნარიძე, 1913, გვ. 10)

მისი მოღვაწეობის ამ ეტაპზე ნ. ჟორდანია ეროვნულ საკითხს განიხილავდა, როგორც მხოლოდ კულტურულ კითხვას. მისთვის გადამწყვეტი იყო ერის ავტონომია კულტურულ საქმეებში. მან ერი კულტურულ ერთეულად წარმოგვიდგინა და დაასკვნა, რომ ეროვნული საკითხი მოიცავს საკითხს კულტურული განვითარების შესახებ. ნ. ჟორდანიას ტერიტორია და ეკონომიური ცხოვრება არ მიაჩნდა ერის დამახასიათებელ ნიშნებად. თანამედროვე ერის შემაერთებელი ძალა, მისი აზრით, სულიერი კულტურა იყო. ტერიტორია ერთობის კი არა, არამედ ბატონობის და დევნის საშუალებაა. ხოლო ეკონომიური კავშირი, როგორც ერის ერთ-ერთი ნიშანი, სრულ ფიქციად მიიჩნია მრავალეროვან სახელმწიფოში. ნ.ჟორდანია აღნიშნავდა: *„... ნაციის საერთო ინტერესი*

ნიშნავს ისეთ ინტერესს, რომელიც აერთებს ნაციის ყველა ნაწილებს და მათგან ქმნის ერთ ნაციონალურ მთელს. მოაკელით ერს ეს კავშირი და ის დაიშლება. და აი, ასეთი კავშირია ნაციის ენა, მწერლობა, ხელოვნება, სწავლა-განათლება, მეცნიერება, ე. ი. მთელი სულიერი კულტურა. ამაში დაინტერესებულია ყველა კლასი და ჯგუფი. ნაციონალური კულტურა ეხება ნაციის ყველა კლასს.“ (ნარიძე, 1913, გვ. 24-25)

ქართველი მარქსიზმის მომხრეთა უმრავლესობა არ დაეთანხმება ავსტრომარქსიზმს, რადგან, მათი მოსაზრებით, კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ეწინააღმდეგება ერების ობიექტურ განვითარებას. ნაციონალური ავტონომია ხელს უწყობს ეროვნული საზღვრების გამაგრებას, რაც თავის მხრივ ერთა ურთიერთდაპირისპირების ხელშემწყობია. განსაკუთრებით ავსტრომარქსისტების კრიტიკით გამოირჩეოდა ფ. მახარაძე. (ახობაძე, 1965, გვ. 328)

1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინა პერიოდში სოციალ-დემოკრატებმა ყურადღება ეროვნულ საკითხს მიაქციეს. ამ წლის დასაწყისში მათ ერთ-ერთ კონფერენციაზე (სოფ.ჯუნჯუათში) დაადგინეს, რომ უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში. ნ. ჟორდანიას აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მომხდარიყო არა მარტო ქვეყნის ეროვნული ძალების კონსოლიდაციაზე დაყრდნობით, არამედ ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით. (ნიქაბაძე, 2010)

§2. აკაკი ჩხენკელი ერის ცნების შესახებ

აკაკი ჩხენკელი იყო ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, პუბლიცისტი, მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი საქართველოში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკაკი ჩხენკელის წერილები ეროვნულ საკითხზე, რომლის შეხედულებებიც ამ თემაზე განსხვავდებოდა სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატების შეხედულებებისაგან. (გერგედავა-ჭელიძე, 2000, გვ.5)

სოციალ-დემოკრატების პოზიცია ერის საკითხზე მათ დეკლარაციაში ზოგადად, ერთი ფრაზით გამოიხატა: *„შექმნა საჭირო დაწესებულებათა თვითეულ ერის თავისუფლად განვითარებისათვის“*. (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 13)

ეს ფრაზა ზოგადია, რადგან გაურკვეველი რჩება ამ დაწესებულებათა ტიპი. ვიცით მხოლოდ ის, რომ ისინი უნდა ემსახურებოდნენ ერის თავისუფლად განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ მათ წამოაყენეს ეს ზოგადი მოთხოვნა გამომდინარე თვით პროგრამიდან, ამ ფრაზამაც კი დიდი გამოხმაურება გამოიწვია თავად სოციალ-დემოკრატების თანამოაზრეთა ნაწილში. ერთი ნაწილი მათ ამტყუნებდა პროგრამული საზღვრების დარღვევაში, გადაცდენაში, მეორე ნაწილი მათ ნაციონალურ რევიზიონისტობას სწამებდა. თუმცა, სოციალ-დემოკრატების ეს ფრაზა არ გულისხმობდა, რა თქმა უნდა, მათი მხრიდან თვითმართველობის მოთხოვნას, არამედ უფრო ზოგად რამეს - კულტურულ-ეროვნულ დამოუკიდებლობას.

ა. ჩხენკელი არ ეთანხმება ასეთ ზოგად დამოკიდებულებას ეროვნული საკითხისადმი და უპირისპირდება მის თანაპარტიელებს, რომლებსაც, მისი თქმით, თავი ვერ დაუღწევიათ პირველყოფილი კოსმოპოლიტიზმისათვის, რომლისთვისაც არ არსებობდა ერის ცნება. თანამედროვე ინტერნაციონალიზმი კი ბევრად მეტს შეიცავს ვიდრე კოსმოპოლიტიზმი. უკანასკნელს საქმე მხოლოდ ადამიანთან და კაცობრიობასთან ჰქონდა, ერის ცნება შეუმჩნევლი რჩებოდა. ერი და ეროვნების ცნება კი შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს და ამიტომაც იყენებდა ა. ჩხენკელი ტერმინს ინტერნაციონალიზმს. ინტერნაციონალიზმის პრინციპები კი სოციალ-დემოკრატიას ავალებდა ეროვნული პოლიტიკის წარმოებას. (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 17)

დაპყრობილი და დამორჩილებული ერი განსაკუთრებით იბრძვის საკუთარი დამოუკიდებლობისათვის და ინარჩუნებს ეროვნულ სიმტკიცეს. საინტერესოა, რომ საქართველოში რუსეთის მიერ მისი დაპყრობის შემდეგ ეროვნული პრობლემის საკითხი საერთოდ არ არსებობდა თერგდალეულებამდე, როგორც პოლიტიკური საკითხი და შემდეგ, როცა ყოველდღიურობამ, ცხოვრების დინებამ ეს მოითხოვა, ქართველებმა წამოაყენეს ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობის მოთხოვნა და მას უწოდეს ეროვნული პროგრამა, თუმცა, ჩვენი აზრით, ამის მოთხოვნას პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა ქართველების ეროვნული პრობლემის გადაჭრასთან.

ა. ჩხენკელი ერის თვითშეგნების, თვითცნობიერების საკითხის უკეთ ასახსნელად იყენებს ფრანგი ფილოსოფოსის რენე დეკარტის ცნობილ ფრაზას: „Cogito,

ergo sum”, რაც ქართულად ნიშნავს: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“. ამ მტკიცებას ა. ჩხენკელი უსადაგებს ერსაც. როცა ერის შემადგენელი ადამიანები გრძნობენ თავის ერთობას და ეს გრძნობა გადააქვთ აზროვნებაშიც, მაშინ მას შუძლია თქვას, რომ ის არის ერი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 20)

ა. ჩხენკელი სწორად აღნიშნავს, რომ საერთო ისტორიის განცდით იქმნება დროთა განმავლობაში ერი, მაგრამ საჭიროა ერისთვის კიდევ დამატებითი ნიადაგის მომზადება, რაც იყო მაგ. ახალი სოციალ-ეკონომიკური ვითარება, ანუ ბურჟუაზიული წეს-წყობილება. ერი გაერთიანდა სოციალ-ეკონომიკურად, ამას თან სდევს იდეოლოგიური გაერთიანებაც. ამ მოსაზრებით ის გამოხატავს სოციალ-დემოკრატების უმეტესი ნაწილის აზრსაც.

ერის გასააზრებლად საჭიროა მისი ურთიერთმიმართების დადგენა სახელმწიფოსთან, რასაც ა. ჩხენკელიც აკეთებს და თავის ნაშრომში „ერი და ჩვენ“ ამ საკითხს დიდ ნაწილს უთმობს. ის აღნიშნავდა, სახელმწიფოს და ერს შორის კავშირთან ერთად დიდია მათ შორის წინააღმდეგობაც. ერთი ადამანთა თავისუფალი კავშირია, მეორე კი ადამიანთა ძალდატანებითი კავშირი. ერი და სახელმწიფოც საზოგადოების ისტორიულ მსვლელობაში წარმოიშვა, მაგრამ სახელმწიფო, რა თქმა უნდა, უფრო დიდი ხნისაა, ვიდრე ერი. (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 25)

ერის და სახელმწიფოს ურთიერთობის გააზრებისას იკვეთება სოციალ-დემოკრატების და სოციალისტ-ფედერალისტების მთავარი განსხვავებაც: სოციალ-დემოკრატები ამოდიან მთელიდან, ფედერალისტები კი ნაწილიდან; ამა თუ იმ კუთხეში პირველები ხედავენ სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს, მაშინ როდესაც, ფედერალისტების წარმოდგენით, თვით სახელმწიფო რამდენიმე ერთი მეორისგან სუსტად შეკავშირებული ნაწილებისაგან შესდგება. სოციალ-დემოკრატები აღიარებენ ცენტრალიზაციას, ფედერალისტები კი დეცენტრალიზაციას.

ა. ჩხენკელი იხსენებს ტერმინს ნაციონალური სახელმწიფო. რას ნიშნავს ეს ტერმინი? იმას რომ, ერი (ნაცია) უნდა გახდეს სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუძე. სახელმწიფო ხომ შეიცავს სამ აუცილებელ ელემენტს: ტერიტორიას, ხალხს, ძალაუფლებას. ახლა ამ სამ ელემენტში ხალხის ადგილი უნდა დაიჭიროს ერმა. ამის

გამო სახელმწიფო ადამიანთა ხელოვნური კრებულიდან ადამიანთა ბუნებრივ კრებულად იქცევა. ა. ჩხენკელის აზრით, წინათ ხალხი არსებობდა სახელმწიფოსათვის, დღეს კი უკვე დროა სახელმწიფო არსებობდეს ერისათვის, შინაარსმა უნდა სძლიოს ფორმას. (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 27)

ა. ჩხენკელი საუბრობს მრავალეროვანი სახელმწიფოს შემთხვევებზეც: *„ისეთი სახელმწიფო, სადაც რამოდენიმე ერი ბინადრობს უნდა დაირღვეს და მის მაგიერ თითოეულმა ერმა უნდა დაარსოს დამოუკიდებელი სახელმწიფო. მაგრამ პრაქტიკაში სახელმწიფოსა და ერის ინტერესები მკაცრად არ ეჯახება ერთმანეთს. დამოკიდებულ ერს ხშირად სარგებელიც აქვს სახელმწიფოში ყოფნით. ამიტომ შეიძლება მან თავისი ინდივიდუალობა სახელმწიფოს შიგნით დაიცვას და დამოუკიდებლობისთვის აღარ იბრძოლოს. თუმცა ეს რთული იქნება. დამოკიდებულ ერს დიდი ძალისხმევა სჭირდება ყოველი ნაბიჯის გადადგმისას, რომ არ ასცდეს თავის ნიადაგს. რადგან ის თავისი ინდივიდუალობის დაცვაზე ბევრს ფიქრობს, ამიტომ სოციალ-ეკონომიკურად ის თავისუფალ ერზე ნელა ვითარდება“*. (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 30)

სოციალ-დემოკრატების მოსაზრებით, რაც ალბათ, გასაგებიცაა და გამომდინარეობს მათი იდეოლოგიიდან, ტერიტორიას არ აქვს მნიშვნელობა, ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ეროვნული ტერიტორია არ არსებობს. მათი არგუმენტი მარტივია: ტერიტორიული ერთობის საფუძველი სასოფლო მეურნეობაა. ამიტომ იყო ფეოდალიზმის ხანაში მიჯაჭვული ადამიანი მიწას. ახლა ეს უმნიშვნელო რამაა. მრავალი ერი, ერთი მიწა - აი მათი ლოზუნგი. (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 20)

სოციალ-დემოკრატების ამ აზრს არ ეთანხმება ა. ჩხენკელი. ის აღიარებს, რომ მის თანამედროვე ერში სიმძიმის ცენტრი გადმოდის სოფლიდან ქალაქში, მაგრამ ეს პროცესი ხომ მაინც ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ხდება. ერის ერთად ბინადრობა ამით არ იშლება. მრეწველობა და აღებ-მიცემობა მამოძრავებელ ძალად იქცა ცხოვრებაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს ერების ერთმანეთში არევას. (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 34)

ტერიტორიულობის უარყოფის საკითხი არ შეიძლება ასე მარტივად გადაწყდეს. რეალობაში ეს არის არა პრინციპის საკითხი, არამედ ფაქტის საკითხი. ა. ჩხენკელის

გადაწყვეტა ტერიტორიული საკითხის დაახლოებით ამ შინაარსის მატარებელია: *„თუ ერს აქვს საკუთარი ტერიტორია, მაშინ არქიმარქსისტიც კი იმას იტყვის, რომ ასეთ ერს უნდა მიეცეს ტერიტორიალური თვითმმართველობა (მაგ. პოლონეთი); თუ ერს არ აქვს საკუთარი ტერიტორია, მაშინ არა თუ მარქსისტი, უკიდურესი ნაციონალისტიც ვერ მოითხოვს იმაზე მეტს, რასაც კულტურულ-ეროვნული თვითმმართველობა იძლევა (მაგ. ებრაელები)“.* (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 52)

ამ ვერსიით გამოდის, რომ საქართველო კულტურულ-ეროვნულ თვითმმართველობაზე მეტს იმსახურებს, მაგრამ სოციალ-დემოკრატები მხოლოდ ამგვარი თვითმმართველობის მოთხოვნით კმაყოფილდებიან. ტერიტორია არსებობდა მაშინ, როცა ერი არ არსებობდა. მათ შორის არ არის მიზეზობრივი კავშირი. ერი სოციოლოგიური ცნებაა და მისი დასაბამიც საზოგადოებრივ ცხოვრებაშია და არა ფიზიკურში.

ჩვენი აზრით, ა. ჩხენკელი არ კარგავს ობიექტურობას და აღნიშნავს ფაქტს, რომ მართალია ერი სოციოლოგიური ცნებაა, მაგრამ ერის წარმოშობისათვის საჭიროა ჯერ მისმა წევრებმა ერთად იცხოვრონ. ერთად ცხოვრება ერთა წარმოშობის მიზეზი კი არა პირობაა. ერთად ბინადრობა შეიძლება განსაზღვრულ ტერიტორიაზე. განსაზღვრული ტერიტორია არის ბაზა ეროვნული ცხოვრებისა, მსჯელობის ეს ჯაჭვი, რომ გავაგრძელოთ განსაზღვრული ტერიტორია აუცილებელი პირობა გამოდის ერის წარმოქმნისა და ეროვნული ცხოვრებისა. (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 54)

ქართველ ერს რადგან უჭირავს ერთი მთლიანი ტერიტორია, ამიტომ თვითმმართველობაც ტერიტორიული უნდა მიენიჭოს მას.

მისი აზრი, რომ უფრო გასაგები გავხადოთ განვმეორდეთ და ვთქვათ, რომ მისი, შეხედულებით ერი კულტურული კავშირია, მაგრამ ის უნდა ბინადრობდეს ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, რადგან არ შეიძლება ერის ნივთიერი და სულიერი კულტურის ერთმანეთისგან ხელოვნურად გახლეჩვა.

ძირითადი განსხვავება სოციალ-დემოკრატების და ფედერალისტების ეროვნული პოზიციისა პრინციპების სფეროა და არა უბრალოდ ფაქტის აღიარება.

ფედერალისტები საქართველოს ცალკე გამოყოფას მოითხოვენ და რას გულისხმობენ ისინი ამაში? სახელმწიფოს. საქართველო მათი წარმოდგენით ერთ-ერთ მოკავშირე სახელმწიფოდ უნდა გადაიქცეს ამიერკავკასიაში, ანუ შიდა პროცესების მოსაგვარებლად სახელმწიფო აღჭურვილი უნდა იყოს სუვერენული ძალაუფლებით. ისინი კარგად ხედავენ იმას, რაც განასხვავებს და განაცალკევებს საქართველოს რუსეთისაგან, კერძოდ ამიერკავკასიისაგან. სოციალ-დემოკრატები კი პირიქით, ამჩნევენ იმას, რაც აერთიანებს საქართველოს ამიერკავკასიასთან. ამიტომ ეს უკანასკნელნი მოწინააღმდეგეების პოზიციას ვიწრო ჰორიზონტის მქონედ ახასიათებენ, რომელიც ვერ მიდის სამომავლო საკაცობრიო მიზნისაკენ. (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 64)

ა. ჩხენკელს არასწორად მიაჩნია მისი თანაპარტიელების ის აზრი, რომ ფედერალისტების მოთხოვნა - საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთეულად გადაქცევის - ეწინააღმდეგება მათ, სოციალ-დემოკრატების, ეროვნულ პროგრამას. მისი თქმით, საქართველოს თვითმართველობა არ ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატების ზოგად ეროვნულ პროგრამას. საჭიროა სოციალიზმის შეფარდება ეროვნულობასთან.

რას მოითხოვს ა. ჩხენკელი ეროვნული პროგრამისაგან? იმას, რომ მან გაბატონებულ კლასებს მოუსპოს უფლებრივი საშუალება რომელიმე ერის დაჩაგვრის. მისთვის მნიშვნელოვანია არა ამიერკავკასიის თუ საქართველოს ავტონომიურობა, არამედ კომპეტენცია. მისი აზრით, თუ ფედერალისტების პროგრამით გათვალისწინებულ უფლებას მივანიჭებთ ქართველ წარმომადგენლობას, მაშინ ქართველ ბურჟუაზიას მივცემთ ლეგალურ უფლებას დაჩაგროს მაგ. სომეხი ერი. (ჩხენკელი, 2000, (ა), გვ. 73)

სწორედ ამ მიზეზით, უარყოფს ა. ჩხენკელი სოციალისტ-ფედერალისტების ეროვნულ პროგრამას. მისი აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრივობა, მასზე სამოქალაქო და სოციალური კანონდების დაკისრება შეეწინააღმდეგება ერის ეკონომიურ განვითარებას; საქართველოს ეკონომიურ განვითარება მჭიდრდ არის დაკავშირებული ამიერკავკასიის და რუსეთის ეკონომიურ განვითარებასთან.

ერთის მხრივ, ა. ჩხენკელი ეთანხმება სოციალისტ-ფედერალისტების მხრიდან სახელმწიფოებრიობის და თვითმართველობის მოთხოვნას საქართველოსათვის, რადგან ჩვენს ქვეყანას აქვს საკუთარი ტერიტორია. მეორეს მხრივ, ის იზიარებს სოციალ-დემოკრატების აზრს კულტურულ-ეროვნული თვითმართველობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. თუ ერს არ აქვს ერთი მთლიანი ტერიტორია უთუოდ საჭიროებს ეროვნულ-კულტურულ თვითმართველობას.

უნდა ავღნიშნოთ, რომ მ. წერეთლის „ერი და კაცობრიობა“ არგუმენტირებულად გააკრიტიკა აკაკი ჩხენკელმა და 1912 წელს გამოაქვეყნა „ერი და კაცობრიობის“ საპასუხო ნაშრომი - „ერი თუ კაცობრიობა“.

ა. ჩხენკელმა სათაური - „ერი და კაცობრიობა“ შეცვალა სათაურით - „ერი თუ კაცობრიობა“, რადგან მ. წერეთლის მსჯელობაში პირდაპი არჩევანის მოთხოვნა ჭარბობს. ან მომავალში ვირჩევთ კაცობრიობას, რომელიც სოციალური ფიქციაა, ან ვაკეთებთ სწორ არჩევანს და ვირჩევთ ერს, რომელიც სოციალური მონადაა, სუბსტანციაა. მ. წერეთლისათვის დამახასიათებელია აბსოლუტური მსჯელობა და არა რელატივური აზროვნება. ა. ჩხენკელი მიიჩნევს, რომ ერის და კაცობრიობის არსებობა ერთდროულად შესაძლებელია და ისინი არ არიან ანტიპოდები, რადგან ერები ვერ ძლებენ უერთმანეთოდ, ამით ისინი, თითქოს, ერთ საკაცობრიო ორგანიზმში შედიან, მაგრამ ამავე დროს თითოეული ერი ცალკე ინდივიდუალობას წარმოადგენს.

ა. ჩხენკელი მ. წერეთლის ერის განმარტებას არასრულად მიიჩნევს და გვთავაზობს თავის დეფინიციას: *„ერში ფსიხოლოგიური მომენტია. ერი არის ისეთი სოციალური ორგანიზმი,რომლის ხორცშესხმულ არსებობას, როგორც ხელუხლებელ და განყოფილ ინდივიდუალობისას, ინსტიქტურათ გრძნობენ და ინტელექტუალურათ სჭვრეტენ თვით მისი შემადგენელნი წევრნი“.* (ჩხენკელი, 2000, (ბ), გვ. 26)

როგორც ვხედავთ ა. ჩხენკელი ერის დახასიათებაში მისი წევრების სულიერ, უფრო ზუსტად ფსიქოლოგიურ, კავშირს გამოყოფს ერთმანეთთან. ის არ ცდილობს, მ. წერეთლის მსგავსად, სხვადასხვა „ორგანოების“ შემუშავების უნარით დაახასიათოს ერი. სწორედ იმას საყვედურობს სოციალ-დემოკრატი ანარქისტს, რომ ერის ცნების

შემუშავებისას ერთ მთავარ მახასიათებელს ვერ გამოყოფს იგი, გარდა იმისა, რომ ერი სოციალური ორგანიზმია, რაც ისედაც ცხადია.

ერთადერთი თეზისი, რაშიც ეთანხმება სოციალ-დემოკრატი მ. წერეთელს დაახლოებით ასე უნდა გადმოვცეთ: საერთაშორისო სამართალი არ არის ისეთი მტკიცე და ღია, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართალი. თუმცა საყოველთაო მომწესრიგებელი ორგანოს აუცილებლობა ა. ჩხენკელისთვის ნათელია. (ჩხენკელი, 2000, (ბ), გვ. 53)

კაცობრიობის სოციალური ფიქციობის აზრს, გააკრიტიკებს ა. ჩხენკელი, რადგან მას აქვს კონკრეტული მაგალითი ევროპისა, რომლის თანამედროვე ცხოვრების სტილი ადამიანების, კლასების იმ სოციალურ დამოკიდებულებას მოიცავს, რომელიც სცდება ევროპის შიგნით არსებული ერების საზღვრებს, ეს სოლიდარობა ევროპის ერებს აქვთ სწორედ ერთმანეთის მიმართ. ეს არ არის დასრულებული კაცობრიობის მოდელი, რა თქმა უნდა, ესაა ტენდეცია/მიდრეკილება ამ ერთიანობისაკენ. ა. ჩხენკელის ვარაუდით, კაპიტალისტურ ხანაში მოხდება კაცობრიობის, თუნდაც ევროპის ერთ სოციალურ ორგანიზმად ჩამოყალიბება. (ჩხენკელი, 2000, (ბ), გვ. 58)

ინტერნაციონალიზმი მას არ მიაჩნია კოსმოპოლიტიზმის უარყოფად, არამედ მის განვითარებად, რომელიც გულისხმობს სამივე ცნებას თავის თავში: ადამიანს, ერს და კაცობრიობასაც. კოსმოპოლიტიზმი კი დასაწყისში უყურადღებოდ სტოვებდა ერს მხოლოდ ადამიანის და კაცობრიობისადმი ყურადღების მიქცევის გამო, მაგრამ ასეთმა მდგომარეობამ დიდ ხანს არ გასტანა და იმავე საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, რომელმაც საზოგადოებრივ მიმდინარეობად წარმოშვა კოსმოპოლიტიზმი, წამოაყენა ერი, როგორც ხელუხლებელი პრინციპი. სწორედ ამიტომაც არ სთვლის ა. ჩხენკელი, რომ კაცობრიობის არსებობა შეიწირავს ერებს, ან კოსმოპოლიტიზმის გავრცელება შეამცირებს ნაციონალიზმის გავლენებს. (ჩხენკელი, 2000, (ბ), გვ. 60-61)

ა. ჩხენკელის „ერი თუ კაცობრიობა“ დაუმთავრებელია, რადგან მხოლოდ პირველი ნახევარი გამოიცა. მ. წერეთლის კრიტიკის, მეორე ნახევარმა კი სტამბამდე ვერ მიაღწია.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ა. ჩხენკელის შეხედულებით ქართველი ერის წინაშე მდგარ პრობლემებს ვერ გადაწყვიტავდა ვერც ამიერკავკასიის ავტონომიის მოთხოვნა და ვერც კულტურულ-ნაციონალური ავტონომია. აუცილებელი იყო ბრძოლა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისათის.

დასკვნის სახით ავღნიშნოთ, რომ ნ. ჟორდანიას და მის თანამოაზრეებს, ეროვნული საკითხის გაგების თვალსაზრისით, ჩამოშორდა მენშევიკთა ერთი ჯგუფი, რომელსაც სწორედ ა. ჩხენკელი მეთაურობდა. მისი აზრიც ეროვნულ საკითხებზე განიცდიდა ევოლუციას. მას შესაძლებლად მიაჩნდა ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობის დაარსება და საქართველოს კულტურული ავტონომიის შექმნა, უფრო გვიან კი იგი ტერიტორიული ავტონომიის მომხრეც გახდა. (ახობაძე, 1965, გვ. 257)

§3. ერის ცნების განმსაზღვრელი მთავარი მარკერები (ი. სტალინის მიხედვით)

ი. სტალინის ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ დაწერილია 1912 წლის დამლევსა და 1913 წლის დასაწყისში. ეს სტატია საქართველოში დიდად პოპულარული იყო. ჩვენს ქვეყანაში სტატიის გამოსვლის შემდეგ მომდევნო ათეული წლების მანძილზე მიაჩნდათ, რომ ი. სტალინის ნაშრომში - „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ - განხილული პრობლემა ამომწურავად იყო გააზრებული და ამის შემდეგ ადამიანს მხოლოდ ი. სტალინისეული აზრების კომენტირებაღა დარჩენოდა. (ყორანაშვილი, 1997, გვ. 7)

ი. სტალინი აღნიშნავდა, რომ დაჩაგრული ერებისათვის საარჩევნო ხმის უფლების წართმევა, ენის შევიწროვება და სხვ. მუშათა კლასსაც აღაშფოთებს. რაც მთავარია ნაციონალისტური რეპრესიების პოლიტიკა, მისი აზრით, ფართო ფენების ყურადღებას გადაიტანს სოციალური საკითხებიდან, კლასობრივი ბრძოლის საკითხიდან ნაციონალური საკითხებისაკენ. ეს კი ხელსაყრელ გარემოს ჰქმნის პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების დავიწყებისთვის. (სტალინი, 1947, გვ. 326)

გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ქვეყანაშიც 1913 წლიდან ერის ცნების განმსაზღვრელ მარკერებად ი. ბ. სტალინის მიერ შემოთავაზებული ვერსია

დომინირებდა. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ეროვნული ერთობა არაა რასობრივი და მოყვანილი აქვს იტალიელი ერის მაგალითი, რომელიც სხვადასხვა რასების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა. თუმცა, იგივე იტალიელები რასობრივი აზრით მთლიანად ამორფულნი არ არიან და შესაბამის კლასიფიკაციაში მათ გარკვეული ადგილი უკავიათ. რასა ერის ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა, რომლის დადგენასაც არავითარი სპეციალური ხასიათის თეორიული კვლევა-ძიება არ სჭირდება. ამ მომენტს გარკვევით უთითებდა მიხაკო წერეთელი 1910 წელს გამოცემულ წიგნში „ერი და კაცობრიობა“. (ყორანაშვილი, 1997, გვ. 9)

ი. სტალინი აღნიშნავს, რომ ერი ადამიანთა ერთობაა, რომელიც არც რასობრივია და არც ტომობრივი. გასაგებიცაა, რატომ უსვამს ის ხაზს ეროვნული მიკუთვნებულობის განსზღვრისას რასობრივი კუთვნილების უმნიშვნელობას. მისი დეფინიციით, ერი ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობაა, რომელიც არ არის შემთხვევით შეკავშირებული კონგლომერატი, არამედ ერი ადამიანთა მყარი ერთობაა, მაგრამ ის ასევე ხაზს უსვამს, რომ ადამიანთა ყოველი მყარი ერთობა არ ქმნის ერს. საჭიროა ოთხი ნიშან-თვისების ერთობლიობა, რათა ჩამოყალიბდეს ერი. (სტალინი, 1947, გვ. 315)

ი. სტალინისეულ ნაშრომში ეკონომიკური ცხოვრების ერთობა წარმოდგენილია, როგორც ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება. ასე რომ, უამპირობოდ ერის არსებობა თითქოს წარმოუდგენელია. მისი აზრით, წინაკაპიტალისტურ ეპოქებში ადგილი ჰქონდა სხვა ეთნიკური ფორმების არსებობას, კაპიტალიზმის წარმოშობის ხანაში კი გაჩნდა ერი, როგორც უმაღლესი ეთნიკური ფორმა. ეთნიკური ევოლუციის საფუძველი გამოდის კაპიტალისტური ეკონომიკა. (სტალინი, 1947, გვ. 325-326)

ი. სტალინი ერის განმსაზღვრელ ოთხ მარკერზე საუბრობს და იქიდან ერთ-ერთია, და არა ერთადერთი, შინაგანი ეკონომიური კავშირი. მისი აზრით, ერი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა, რომელსაც საერთო აქვს ენა, ტერიტორია, ეკონომიური ცხოვრება და კულტურა (ფსიქიკური წყობა). ნაციონალური ერთობა წარმოუდგენელია საერთო ენის გარეშე, სწორედ ამით განსხვავდება ნაციონალური ერთობა სახელმწიფოებრივი ერთობისაგან. სახელმწიფოსთვის საერთო ენა

სავალდებულო არაა. ერი, ცხადია, ენობრივი ერთობაა, მაგრამ გვაქვს უამრავი შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ხალხში ერთიანი ენა კაპიტალიზმის წარმოშობამდე ბევრად უფრო ადრე გაჩნდა. მაშინ როგორ გავიაზროთ ერის წარმოშობა - მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმის შედეგად?! ამაზე ი. სტალინი არ საუბრობს. (სტალინი, 1947, გვ. 315-316)

ის ენის ერთობაში გულისხმობს იმას, რომ საერთო ენა სავალდებულოა თითოეული ერისათვის, მაგრამ არაა აუცილებელი სხვადასხვა ენა სხვადასხვა ერისათვის. არ შეიძლება ისეთი ერის არსებობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ შეიძლება არსებობდეს ერთ ენაზე მოლაპარაკე ორი ერი. ი. სტალინი მაგალითებით ამყარებს თავის მოსაზრებას: ინგლისელები და ჩრდილოეთ ამერიკელები მიუხედავად საერთო ენისა ერთ ერს არ შეადგენენ. იგივე უნდა ითქვას ინგლისელებზე და ირლანდიელებზე. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი ერთ ტერიტორიაზე არ ცხოვრობენ. (სტალინი, 1947, გვ. 316)

გ. ყორანაშვილი გონივრულად საუბრობს კიდევ ერთ შენიშვნაზე, რაც შეიძლება ი. სტალინის აღნიშნული სტატიის ხარვეზად მივიჩნიოთ. გ. ყორანაშვილი აღნიშნავს: *„ტერიტორიის ერთიანობაც არ შექმნილა მხოლოდ ეთნოსის უშუალო განფენით: აქაც დიდ როლს თამაშობდა სახელმწიფო. ბევრ შეთხვევაში განსხვავებულ უნდა იქნეს ეთნიკური და პოლიტიკური ტერიტორია. თუ პირველ შემთხვევაში ეთნოსი განფენილია საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთაც, მეორე შემთხვევაში მას საკუთარი სახელმწიფო შემოფარგლავს“.* (ყორანაშვილი, 1997, გვ. 9-10)

გამოდის, რომ ი. სტალინმა უნდა დააზუსტოს, თუ რას ნიშნავს ტერიტორიული ერთიანობა და რას გულისხმობს ის ამ ცნებაში. ის მხოლოდ საუბრობს იმაზე, რომ ერის მეორე მახასიათებელია- ტერიტორიის ერთობა. ერი ხანგრძლივი და რეგულარული ურთიერთობის შედეგად ყალიბდება, ამისთვის კი საერთო ტერიტორია საჭირო. (სტალინი, 1947, გვ. 316)

მეოთხე ნიშნად ერის ცნებისა ი. სტალინი განიხილავს არა ფიზიკურს, არამედ სულიერ თავისებურებას, კავშირს. მისი აზრით, ერები ერთმანეთისაგან ცხოვრების პირობების გარდა განსხვავდებიან სულიერი სახითაც, რაც ნაციონალური კულტურის

თავისებურებებით გამოიხატება. შეგვიძლია ამ მახასიათებელს ფსიქიკური წყობაც ვუწოდოთ, რომლებიც ერებში თაობიდან თაობამდე მუშავდება და იქმნება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნაციონალური ხასიათი დამკვირვებლისათვის მიუწვდომელი სჩანს, მაგრამ რამდენადაც ის ერისათვის საერთო კულტურის თავისებურებებით გამოიხატება - იმდენად ის მისაწვდომია. ნაციონალური ხასიათი ცვალებადია ცხოვრების პირობების შესაბამისად, მაგრამ ის ყოველ განსაზღვრულ მომენტში არსებობს. ფსიქიკური წყობის ერთობა, რომლის გამოხატულებაც კულტურის ერთობაა არის, ი. სტალინის მიხედვით, ერის ბოლო განმსაზღვრელი მარკერი. (სტალინი, 1947, გვ. 317)

აქედან გამომდინარე, ი. სტალინის მიხედვით „ფსიქიკური წყობა“ ეროვნული ხასიათის იდენტურია. ალბათ, „ფსიქიკური წყობა“ მასთან ვიწროდაა განხილული, რადგან ეს ცნება თავად უფრო ფართო შინაარსისაა და ეროვნული ხასიათის გარდა ერის განწყობასა და განწყობილებებსაც მოიცავს, რომლებიც უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ეროვნული ხასიათი. „ფსიქიკური წყობა“, ცხადია, ეროვნული ხასიათის ჩათვლით, საკმაოდ ცხადი სინამდვილეა და სავსებით რაციონალურად გააზრებადი. ფსიქიკური წყობის გაცნობიერება შეუძლებელია ეროვნული თვითშეგნების გარეშე, ეს მომენტიკი ი. სტალინის ნაშრომში იგნორირებულია. რა არის ეროვნული თვითშეგნება? ეს ხდება, როცა ეთნოსი შეიმეცნებს, შეიგნებს საერთო ინტერესებს, დაისახავს საერთო იდეალებს, გაიცნობიერებს თავის ადგილს სხვა ხალხებთან ურთიერთობაში, განავითარებს საკმაოდ მაღალ კულტურას და ა.შ., რა თქმა უნდა, ასეთი ცნობიერება შესაბამის ეკონომიკურ და სოციალურ საფუძველსაც ეფუძნება; რაც უფრო მეტად არის განვითარებული ეს უკანასკნელი მომენტები, მით უფრო მეტად ვითარდება პირველი. მაგრამ შეცდომაა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ კაპიტალიზმის მნიშვნელოვანმა განვითარებამ (ეროვნული ბაზრის წარმოქმნამ, ბურჟუაზიის გაჩენამ) განაპირობა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება-ჩამოყალიბება. უკვე ფეოდალიზმის მეორე ფაზაზე გაჩნდა რიგი ფაქტორები, მათ შორის ეკონომიკური და სოციალური, რომელთაც ხელი შეუწყვეს ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას. ასე იყო დასავლური ევროპის ისტორიაში, ასევე იყო საქართველოს ისტორიაშიც. შეგვიძლია ეს ცნება, ეროვნული თვითშეგნება, უფრო ფართოდაც განვიხილოთ: ეროვნულ თვითშეგნებაში მეტი შინაარსი იგულისხმება. მასში მოიაზრება ინდივიდის და,

საერთოდ, ერის შემადგენელ წევრთა დამოკიდებულება თავისი ეროვნული ფასეულობებისადმი - ენის, საკუთარი ისტორიის, კულტურის, ეროვნული ხასიათის, ტრადიციებისადმი და ა.შ. როგორ განიცდის იგი ამ ფასეულობებს - ეამაყება თუ ინდიფერენტულია მათ მიმართ, როგორია მისი დამოკიდებულება სხვა ერების ფასეულობათა მიმართ. ყოველივე აქედან ვიგებთ, თუ როგორია ერის შემადგენელ ინდივიდთა მოვალეობის გრძნობა საკუთარი ერის წინაშე. სწორედ ამიტომ, გ. ყორანაშვილის აზრით, ი. სტალინთან ერის ეს მეოთხე ნიშან-თვისება - „ფსიქიკური წყობა“ გაურკვეველი და ბუნდოვანია. (ყორანაშვილი, 1997, გვ. 11-12)

ამასთანავე, ი. სტალინი აკრიტიკებს ოტო ბაუერისეულ ერის დეფინიციას. ო. ბაუერის მოსაზრებით ერი ხასიათის შედარებითი ერთობაა, ანუ იმ ნიშანთა ჯამი, რომელიც ერთი ეროვნების ადამიანებს განასხვავებს მეორე ეროვნების ადამიანთაგან. ესაა ფიზიკური და სულიერი თვისებათა კომპლექსი. ო. ბაუერს ზღვარი აქვს გავლებული ერის განმასხვავებელ ნიშანს, ანუ ნაციონალურ ხასიათს და ერის ცხოვრების პირობებს შორის, რაშიც სტალინის მიერ დასახელებული ერის სხვა ნიშნები იგულისხმება. ი. სტალინის მიხედვით, ო. ბაუერისეული განსაზღვრა „სპირიტუალისტური და მისტიკურია“, ვინაიდან „ეროვნული ხასიათის ერთობა ბედის ერთობის ნიადაგზე“ ტერიტორიის, ენისა და ეკონომიკური ცხოვრების ერთობის გარეშეა წარმოდგენილი. ო. ბაუერი ამ ფაქტორებზე გარკვევით ლაპარაკობდა, ოღონდ დეფინიციაში მათთვის ადგილს არ სტოვებდა. ამასთანავე, ტერიტორია და ეკონომიკური ცხოვრება ამ უკანასკნელისათვის ერის არსებობისათვის აუცილებელი პირობები (და არა ნიშან-თვისებები) იყო. (სტალინი, 1947, გვ. 320)

ი. სტალინის აზრით, ერი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა, რომელსაც საერთო აქვს ენა, ტერიტორია, ეკონომიური ცხოვრება და კულტურა. მისი აზრით, საკმარისია არ იყოს თუნდაც ერთი ნიშანი და ერი ერად ვეღარ დარჩება. (ყორანაშვილი, 1997, გვ. 13-14)

აღნიშნულ ნაშრომში ვკითხულობთ: *„ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ამავე დროს ადამიანების ერებად ჩამოყალიბების პროცესია. ასე ხდება, მაგალითად, დასავლეთ ევროპაში, ინგლისელები,*

ფრანგები, გერმანელები იტალიელები და სხვა ერებად ჩამოყალიბდნენ მაშინ, როდესაც კაპიტალიზმი ფეოდალურ დაქუცმაცებაზე იმარჯვებდა და ძლევამოსილად მიიწევდა წინ“. (სტალინი, 1947, გვ. 326)

ამ ნაწილში ისტორიკოს გ. ყორღანაშვილის თანახმად ი. ბ. სტალინს შეცდომა აქვს დაშვებული. თითქოს ეს ხდებოდა კაპიტალიზმის ბოლო, მესამე ფაზაზე. გ.ყორღანაშვილი კი აღნიშნავს: *„მაგრამ აქ უზარმაზარ ისტორიული ლაფსუსია დაშვებული; ცენტრალიზებული, ეროვნული სახელმწიფოები ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში წარმოიშვა არა ფეოდალიზმის მესამე ფაზაზე, როცა კაპიტალიზმი ეკონომიკური წყობის სახით უკვე არსებობდა, არამედ მეორე ფაზაზე- XV საუკუნეში. აღნიშნული გარემოება შუა საუკუნეების ისტორიის ელემენტარული ფაქტია“.* (ყორანაშვილი, 1997, გვ. 14-15)

ი. სტალინის ცნობიერებაში ერი არსებობს მოკლე პერიოდის მანძილზე, რადგან ის საზოგადოების ევოლუციის გვიანდელ საფეხურზე, კაპიტალიზმის ფაზაში, წარმოიქმნა და გაქრება მომავალში. სტალინი ხაზს უსვამს, რომ ერი, როგორც ისტორიული მოვლენა ცვალებადობის კანონს ემორჩილება, მას თავისი ისტორია და დასაწყისი აქვს, რაც გულისხმობს იმას, რომ მას თავისი დასასრულიც ექნება. რაც მთავარია, მისთვის ერების არსებობა ისტორიისათვის თითქოს ზედმეტიც კია, რადგანაც სოციალისტური იდეალის აღსრულება ერების გარეშე თითქოს უფრო ადვილად გახდება შესაძლებელი. (ყორანაშვილი, 1997, გვ. 16-17)

მისი აზრით, ეროვნული საკითხის საბოლოო გადაჭრა და ეროვნული ბრძოლის შეწყვეტა მხოლოდ სოციალიზმის დამყარების შემდეგ მოხდება, მაგრამ კაპიტალიზმის ჩარჩოებშიც შეიძლება ეროვნული წინააღმდეგობების მინიმუმამდე დაყვანა. (ბენდიანიშვილი ა. , 1980, გვ. 194)

საინტერესოა, რომ ბოლშევიკებმა ეროვნულ საკითხს და ეროვნული პროგრამის დამუშავებას განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქციეს ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში. ამ დროს დაწერა სტალინმა ცნობილი ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“. ავტორი აღნიშნავდა, რომ დაჩაგრული ერებისათვის საარჩევნო ხმის უფლების წართმევა, ენის შევიწროვება, სკოლების შემცირება და სხვ.

მუშათა კლასს ბურჟუაზიაზე ნაკლებ როდის ადარდებდა. ამასთან ერთად, ნაციონალისტური რეპრესიების პოლიტიკა ფართო ფენების ყურადღებას აშორებს სოციალურ საკითხებს, კლასობრივი ბრძოლის საკითხებს და მიმართავს მას ნაციონალური საკითხებისაკენ. (ბენდიანიშვილი ა. , 1980, გვ. 194)

ი. სტალინი წერდა: *„ერს უფლება აქვს მოეწყოს ავტონომიურად. მას გამოყოფის უფლებაც აქვს. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იგი ასე უნდა მოიქცეს ყოველგვარ პირობებში, რომ ავტონომია, სეპარაცია ყველგან და ყოველთვის სასარგებლო იქნება ერისათვის, მისი უმრავლესობისათვის“.* (სტალინი, 1947, გვ. 332)

ერების წარმოშობასთან დაკავშირებით ი. სტალინი სრულად იზიარებდა კ. მარქსის აზრს და თვლიდა, რომ ერების წარმოშობა კაპიტალიზმის ეპოქაში მოხდა. ერების ბედი კაპიტალიზმის ბედთან აქვს მას დაკავშირებული. წინაკაპიტალისტურ პერიოდში ვერ მოხდებოდა სამეურნეო დაყოფის გადალახვა და ერთ მთელად გაერთიანება, რადგან ამ დროს არ არსებობდა ნაციონალური ბაზრები და ეკონომიური, კულტურული ცენტრები. (სურგულაძე, 1970, (ა), გვ. 36)

ი. სტალინის აზრმა ერის შესახებ დიდი გავლენა იქონია ქართველ მოაზროვნეებზე, ქართულ რეალობაზე. ალბათ, ჩვენს ქვეყანაში მისი გავლენა ყველაზე დიდი იყო სხვა უცხოელთა შეხედულებებთან შედარებით 1913-1917 წლებში (და შემდეგაც). სწორედ ამიტომ, მივიჩნიეთ საჭიროთ მისი ნაშრომის განხილვა, რათა უკეთ ვაჩვენოთ თუ ქართველი მოაზროვნეების რომელი ნაწილი დაეთანხმა ან პირიქით, არ დაეთანხმა მას.

დასკვნა

ჩატარებული კომპლექსური ანალიზის საფუძველზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ 1900-1917 წლების პოლიტიკური წრის იდეოლოგიური ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს XIX საუკუნის სამოციანელთა მსოფლმხედველობა წარმოადგენდა. რისი დადასტურებაც იმ მარტივი მაგალითითაც შეგვიძლია, რომ 1900-1917 წლებში ვხვდებით ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ეროვნული პროგრამის განახლებული სახით განხორციელების მცდელობას.

1900-1917 წლებში გაგრძელდა წინა საუკუნის 60-იანი წლებში დაწყებული პოლემიკა ეროვნულ საკითხზე და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პერიოდში მან უფრო მწვავე და პოლიტიკური ხასიათი მიიღო. დისკუსიის მთავარ მონაწილეებად უკვე პოლიტიკური პარტიის წევრები და ლიდერები გამოდიოდნენ. ეს პოლემიკა მალევე გადაიზარდა ამ პარტიებს შორის იდეოლოგიური დაპირისპირების და ბრძოლის ველად.

პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირების მთავარი მიზეზი სწორედ ეროვნული საკითხი იყო. უნდა ყოფილიყო თუ არა ეროვნული პრობლემის გადაწყვეტა ყველაზე პრიორიტეტული საკითხი? - ეს კითხვა მთელი 1900-1917 წლების განმავლობაში აქტუალური იყო.

შესაბამისად ამ კითხვაზე პასუხიც ორი სახის იყო. მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის დასაწყისში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემა იდგა, ქართველი პოლიტიკოსების მემარცხენე ნაწილი მაინც სოციალიზმისაკენ სწრაფვის და მისი დამყარების იმედის გამო ეროვნულ საკითხს მეორე ხაროსხოვნად თვლიდნენ. შედეგად საქართველოს ეროვნული მისწრაფებები გვერდზე გადაიდო უკეთესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების მოლოდინში. ობიექტურად, რომ ვიმსჯელოთ 1900-1917 წლებში ეროვნული ცნობიერების დავიწყების გამო შეუძლებელი უნდა ყოფილიყო წესით ამ საკითხის იგნორირება და მხოლოდ ეკონომიკურ სფეროში არსებულ პრობლემებზე მობილიზება, რომელიც იმ პერიოდის ყველა არსებული საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. ქართველებს კი ამ პრობლემასთან ერთად ერის გაქრობის საფრთხეც ემუქრებოდათ, ამიტომ საჭირო

ხდებოდა ერის ვინაობის დაცვა. იმისთვის, რომ ამ საკითხისადმი ნიჰილისტური განწყობა ჩამოყალიბებულიყო დიდი უნდა ყოფილიყო პოლიტიკურ პარტიაზე იდეოლოგიური გავლენა და ძლიერი უნდა ყოფილიყო მისი რწმენა იდეალებისადმი. სოციალ-დემოკრატებზე იმდენად დიდი იყო მარქსიზმის გავლენა, რომ ისინი მხოლოდ კულტურული ავტონომიის მოთხოვნით შემოიფარგლებოდნენ (და ეს მოთხოვნაც 1908 წლიდან წამოაყენეს მხოლოდ).

დღევანდელი გადმოსახედიდან, როცა 1900-1917 წლების ეპოქა უკვე დიდი ხნის ჩავლილია და ხვადასხვა პოლიტიკური არჩევანი უკვე გაკეთებულია, მარტივია ჩვენი მხრიდან შედეგების შეფასება და პოლიტიკოსების კრიტიკაც. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემო ფაქტორები, პირობები რომელთა ფონზეც უხდებოდათ სოციალ-დემოკრატებს გადაწყვეტილებების მიღება. სოციალ-პოლიტიკური პროცესები რუსეთში მიმდინარე პროცესების ზეგავლენით ვითარდებოდა. სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენელთათვის კი რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა უსაფრთხოების ერთგვარი გარანტი იყო და ამიტომ ისინი მხარს არც უჭერდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. რაოდენობრივად კი მათი რიცხვი შთამბეჭდავად დიდი იყო (87% გლეხობას ეკავა) და სწორედ ამ ადამიანთა უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვეს სოციალ-დემოკრატებმა და ეროვნული პოზიციის დამცველთა პოლიტიკური ძალების აქტიური მოღვაწეობის მიუხედავად სოციალ-დემოკრატიული პარტია ყველაზე პოპულარული იყო საზოგადოებაში.

1900 წელს საქართველო შეხვდა ეთნიკურად, სოციალურად და ეკონომიკურად დანაწევრებული. სოციალ-დემოკრატები კი პროგრამაში აქცენტს სოციალური უთანასწორობის მოსპობაზე აკეთებდნენ, რაც, რა თქმა უნდა, ხალხისთვის მნიშვნელოვანი საკითხი იყო. ამის პარარელურად სოციალ-დემოკრატები ეროვნულ საკითხს, თავისი მოღვაწეობის დასაწყისი პერიოდისგან განსხვავებით, ნიჰილისტურად მიუდგნენ, რაც მათ უნებურად იქცა ეროვნული საკითხის აქტუალური განხილვის ერთ-ერთი მიზეზი. ეროვნული პოზიციის დამცველები მყარი არგუმენტების საფუძველზე ითხოვდნენ პირველ რიგში ეროვნული პროგრამის გადაჭრას და ამის საფუძველზე გაერთიანებასაც კი სთავაზობდნენ სოციალ-დემოკრატებს. პოლიტიკოსების ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ფრთა ცდილობდა ხალხისათვის

აეხსნა, რომ ეროვნული შემეცნების ძლიერება ნიშნავს თავად სახელმწიფოს ძლიერებას, რადგან დასუსტებულ სახელმწიფოში ეროვნული შემეცნების პრობლემა დგება.

ქართველი მარქსისტები კი მიიჩნევდნენ, რომ პროლეტარული რევოლუციის განხორციელების შემდეგ ეროვნული საკითხი საბოლოოდ გადაიჭრებოდა. ისინი იზიარებდნენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, თუმცა მის ისეთ ინტერპრეტაციას ახდენდნენ, რომ ტაქტიკური თვალსაზრისით უარს აცხადებდნენ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნაზე, რადგან ეს მოთხოვნა პირველი რევოლუციის პერიოდში მიზანშეუწონლად მიაჩნდათ. ეროვნული საკითხის მნიშვნელობის შეუფასებლობამ სოციალ-დემოკრატები ეროვნულ ნიჰილიზმამდე მიიყვანა.

კველევის პროცესში დადასტურდა საკვლევი ჰიპოთეზები. დავადგინეთ, რომ საქართველოში ერის ცნების განსაზღვრაზე გადამწყვეტი გავლენას ახდენდა ძირითადი პოლიტიკური ძალების იდეოლოგიური პოზიციები 1900-1917 წლებში.

სწორედ მარქსისტული იდეოლოგიური გავლენის გამო სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულება ეროვნულ საკითხისადმი ნიჰილისტური იყო. ერის თვითგამორკვევის უფლება, როგორც პრინციპი სოციალ-დემოკრატების დეკლარაციაში აისახა ზოგადი დებულებით, რომ საჭირო იყო იმ დაწესებულებების შექმნა, რომლებიც თითოეულ ერს თავისუფლად განვითარების საშუალებას მისცემს. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი.

დადასტურდა ის ჰიპოთეზაც, რომ ქართველი მარქსისტების მიერ ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურმა მიდგომამ განაპირობა მათი მძაფრი დაპირისპირება ეროვნული მიმართულების ძალებთან. მთლიანად ამ პროცესმა კი თავად ერის ცნების განსაზღვრა და ეროვნული საკითხის აქტუალური განხილვა გამოიწვია 1900-1917 წლებში.

ბ. ანდერსონის თეორიაში აღნიშნულია, რომ ნაციონალიზმი მარქსისტული თეორიების ანომალიად იქცა. დაპირისპირების ნაცვლად მარქსიზმში ნაციონალიზმის საკითხი იგნორირებულია. ქართველმა მარქსისტებმა ვერ მოახერხეს ამ საკითხის იგნორირება ეროვნული პოზიციის დამცველების აქტიურობის გამო, მაგრამ ის

მიიჩნიეს არაპრიორიტეტულად, რომელიც მოგვარდებოდა პროლეტარული რევოლუციის განხორციელების შემდეგ.

სოციალ-დემოკრატების ეროვნული საკითხისადმი ამ მიდგომას ექსპერტ ინტერვიუების დროს მათთვის დამახასიათებელი პრაგმატიზმიც ეწოდა, ანუ თვალის გასწორება რეალურად არსებული პოლიტიკური შესაძლებლობებისათვის და არა იმ მოთხოვნების წამოყენება, რომლის დაკმაყოფილებაც შეუძლებელი იქნებოდა 1900-1917 წლების რეალობაში.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1900-1917 წლებში დაპირისპირებული პოზიციების შეფასება ცალმხრივად ჩვენი მხრიდან არ არის მართებული, უნდა ვიმსჯელოთ კომპლექსურად. ეს იყო სრულიად განსხვავებული იდეოლოგიების: ეროვნული მიმართულების ძალების და სოციალიზმის მომხრეების შეხედულებების პროპაგანდის პერიოდი. სოციალისტების მიზანი საერთო „მშრომელთა“ სახელმწიფოს შექმნა იყო, ეროვნული მიმართულების ძალები ეროვნული შეგნების გაღვიძებას ცდილობდნენ და აქტიურად მოუწოდებდნენ ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ, რითაც დამოუკიდებლობის აღდგენამდე მისვლას გეგმავდნენ. თითოეული მათგანის არგუმენტები გარკვეულწილად მიზანშეწონილი იყო. ეკონომიკურ სფეროში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვანი იყო თავად ქართველი საზოგადოებისათვის, ამიტომ ინტერნაციონალური მსოფლმხედველობა მათთვის საინტერესო აღმოჩნდა, რომელიც ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნიეს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. ინტერნაციონალისტური იდეების განხორციელებას მათთვის ეკონომიკური სტაბილურობა უნდა მოეტანა.

ეკონომიკური პრობლემის გარდა რეალური პრობლემა იყო ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვა. რასაც გვიდასტურებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიული კულტუროლოგიის სპეციალისტი ივანე წერეთელიც. ის ამბობს, რომ 1900-1917 წლებში ეროვნული იდენტობის შენარჩუნების პრობლემა ნათლად იდგა. მეტიც, რომ არა ილია ჭავჭავაძის და მისი თანამოაზრეების გამოჩენა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სივრცეში დღესაც შეიძლება არ გვქონოდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეროვნული იდენტობა.

ეროვნული პოზიციის დამცველთა ერთ-ერთი გზა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისას ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება იყო. ამით ავხსნით იმ ფაქტს, რომ ეროვნული მიმართულების ძალების წარმომადგენლები უმეტესად თეორიულ და იდეურ დასაყრდენს ევროპელი მოაზროვნეების შეხედულებებში პოულობდნენ.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1900-1917 წლებში ფეოდალური პარტიკულარიზმი შეიცვალა პარტიული პარტიკულარიზმით და მიუხედავა იმისა, რომ ეროვნული მიმართულების დამცველები არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ თეორიული მსჯელობით და ისინი „რეალური პოლიტიკის“ მომხრეები იყვნენ და ცდილობდნენ ეროვნული ინტერესების დასაცავად შექმნილი პროგრამები (მაგ. „საერთო მოქმედების ნიადაგი“) გაეტარებინათ ცხოვრებაშიც, შედეგს მაინც ვერ აღწევდნენ, რადგან მათ საზოგადოების მხარდაჭერა ნაკლებად ჰქონდათ. ალბათ, ამიტომ აცხადებდნენ სოციალ-დემოკრატები თავს მთელი ერის ინტერესების, არა რომელიმე კონკრეტული კლასის, გამომხატველად.

შევადარეთ ერთმანეთს ის მოსაზრებებიც, რომლითაც ხდებოდა ერის ცნების განსაზღვრა ეროვნული მიმართულების წარმომადგენლების მიერ. ვნახეთ, რომ ერის ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეული ე. რენანის მარკერი გაიზიარე ი. ჭავჭავაძემაც, მაგრამ ამ ნიშან-თვისების გარდა მისთვის ერის სხვა მარკერებიც მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით ენა).

ა. ჯორჯაძის და მ. წერეთლისათვის ტერიტორია, ენა და სახელმწიფო არიან ერის დამახასიათებელი ყველაზე მთავარი ნიშნები. უბრალოდ ა. ჯორჯაძე სახელმწიფოს თვლის ერის წარმოშობის ერთ-ერთ საფუძვლად, ხოლო მ. წერეთელი ერის დამახასიათებელ უნარად მიიჩნევს სახელმწიფოს წარმოქმნის შესაძლებლობას.

დავასკვენით, რომ ერის ცნების განსაზღვრებამ გარკვეული ევოლუცია განიცადა საქართველოში 1900-1917 წლებში მარქსიზმის იდეოლოგიის გავრცელების და დამკვიდრების ფონზე. ამიტომ ხშირად ერის დეფინიციისას მატერიალური მახასიათებლებით მისი აღწერა ჭარბობდა სულიერად და „ფსიქიკურ“ განუყოფელ ერთობად მის დახასიათებას. ჩვენი კვლევის თეორიის მიხედვით კი, ბ. ანდერსონი ერს

მიიჩნევს წარმოსახვით საზოგადოებად, რადგან სულ მცირე ერის შემთხვევაშიც შეუძლებელია ადამიანი იცნობდეს თავისი ერის წარმომადგენელთა მნიშვნელოვან რიცხვს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი იყო, რომ ერის განსაზღვრისას მეტად მოეხდინათ აქცენტირება ერზე, როგორც სულიერ ერთობაზე, კავშირზე, რომლის წევრებსაც გაცნობიერებული აქვთ ამ ერისადმი მიკუთვნებულობა და თავს მის ნაწილად თვლიან.

ლიტერატურის მიმოხილვა

- ანდერსონი, ბ. (2003). *წარმოსახვითი საზოგადოებანი.* თბილისი: "ენა და კულტურა".
- ახობაძე, ე. (1965). *ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900-1917 წწ).* თბილისი: "მეცნიერება".
- ბაუერი, ო. (1909). *ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია.* თბილისი: "სერპი".
- ბენდიანიშვილი, ა. (1980). *ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921.* თბილისი: "მეცნიერება".
- ბერიშვილი, ტ. (2017). *ქართული სოციალ-დემოკრატია 1880-1953.* თბილისი: "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა".
- გაჩეჩილაძე, რ. (2013). *საქართველო მსოფლიო კონტექსტში: XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები.* თბილისი: "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა".
- გერგედავა-ჭელიძე, ზ. (2002). *აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური მსოფლმხედვეობის ევოლუცია (1898-1917).* თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“
- გოგიაშვილი, ო. (2013). *ილია ჭავჭავაძე- ქართველი ერის ეროვნული იდეოლოგია.* თბილისი: "საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა".
- გურული, ვ. (2003). *საქართველოს XX საუკუნის ისტორია.* თბილისი: არტანუჯი.
- გურული, ვ., & ვაჩნაძე, მ. (1998). *ნაციონალ-სოციალიზმი საქართველოში.* თბილისი: "ინტელექტი".
- ებრალიძე, ა. (1968). *საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ (1903-1917 წწ).* თბილისი: "საბჭოთა საქართველო".
- ერქომაიშვილი, ვ. (2000). *ერი და იდეოლოგია.* თბილისი: "თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა".
- კაუცკი, კ. (1920). *სოციალისზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში.* თბილისი: გამოცემა "ცენტრაურ კომიტეტისა".
- კოდუა, ე. (2004). *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი.* თბილისი: "ლოგოს პრესი".
- ლაშაური, მ. (1969). არჩილ ჯორჯაძე. *"ქართული აზრი"*, 2-3.
- მალაზონია, დ. (2001). *ქართული ისტორიოგრაფიული აზროვნება XIX საუკუნის მეორე ნახევარში.* თბილისი: "ქრონოგრაფი".

- მარქსი, კ. & ენგელსი, ფ. (1954). *კომუნისტური პარტიის მანიფესტი.* თბილისი: „სახელმწიფო გამომცემლობა“.
- მარქსი, კ. (1953). *პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის.* თბილისი. „სხელგამი“.
- მარქსი, კ. (1954). *კაპიტალი* (ტ. I). თბილისი: "საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა".
- მაცაბერიძე, მ. (2015). *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია* (ტ. I). თბილისი: "თბილისის ფაბიანური საზოგადოება".
- მახარაძე, ფ. (1924). *თხზულებათა კრებული* (ტ. IV). ტფილისი: "სახელგამი".
- მეტრეველი, ვ. & დავითაშვილი, გ.. (1999). *პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია.* თბილისი.
- ნადარეიშვილი, ლ. (2003). *სამშობლო და მამულიშვილობა ძველი ორიენტირების ახალი შინაარსი.* თბილისი: "ლეგა".
- ნარიძე. (1913). *ნაციონალური კითხვა ჩვენში.* ქუთაისი: გამოცემა "ცერცვაძისა".
- ნიქაბაძე, ნ. (2010). ნოე ჟორდანია და ეროვნული საკითხი. *"ქართველური მემკვიდრეობა", XIV*.
- ნოზაძე, ვ. (2013). *დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო - საქართველო.* (მ. მაცაბერიძე, რედ.) თბილისი: "პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტი".
- ჟორდანია, ნ. (1990). *ჩემი წარსული.* თბილისი: რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა "სარანგი".
- ჟორდანია, ნ. (2015). *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია.* თბილისი: "თბილისის ფაბიანური საზოგადოება".
- რატიანი, პ. (1976). *ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე* (ტ. I). თბილისი: "მეცნიერება".
- სონღულაშვილი, ნ. (2011). *ქართული სოციალური გარემო 1900-1921 წლებში.* თბილისი: "თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა".
- სონღულაშვილი, ნ. (2013). *ეპოქის გამოწვევა და ქართული ეროვნული იდენტობა 1900-1921.* თბილისი: "უნივერსალი".
- სტალინი, ი. (1947). *თხზულებანი* (ტ. 2). თბილისი.
- სურგულაძე, ა. (1970, (ა)). *ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

- სურგულაძე, ა. (1986, (ბ)). *ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში.* თბილისი: "საბჭოთა საქართველო".
- ყორანაშვილი, გ. (1976). *მარქსი და ენგელსი კაპიტალიზმამდელი ფორმაციების შესახებ.* თბილისი: "განათლება".
- ყორანაშვილი, გ. (1997). *ეროვნული საკითხი.* თბილისი: "ნიკე".
- შველიძე, დ. (1993). *პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში: ფედერალისტები.* თბილისი: "არსი".
- ჩხენკელი, ა. (2000, (ა)). *ერი და ჩვენ.* თბილისი: "მერიდიანი".
- ჩხენკელი, ა. (2000, (ბ)). *ერი თუ კაცობრიობა* . თბილისი: მერიდიანი.
- ციცქიშვილი, ს. (1965). *კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ეროვნების საკითხის შესახებ.* თბილისი: "საბჭოთა საქართველო".
- წერეთელი, მ. (1990). *ერი და კაცობრიობა.* თბილისი: "თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა".
- წოწელია, ვ. (1992). *არჩილ ჯორჯაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა).* თბილისი: "მეცნიერება".
- ჭავჭავაძე, ი. (1985). *რჩეული ნაწარმოებები: 5 ტომად.* თბილისი: "საბჭოთა საქართველო".
- ჭავჭავაძე, ი. (1987, (ა)). *რჩეული ნაწარმოებები: 5 ტომად* (ტ. IV). თბილისი: "საბჭოთა საქართველო".
- ჭავჭავაძე, ი. (1987,(ბ)). *რჩეული ნაწარმოებები: 5 ტომად* (ტ. III). თბილისი: "საბჭოთა საქართველო".
- ხუნდაძე, ს. (1927). *სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში* (ტ. II). ტფილისი: "სახელმწიფო გამომცემლობა".
- ჯონსი, ს. ფ. (2007). *სოციალიზმი ქართულ ფერებში.* თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯორჯაძე, ა. (1990). *სამშობლო და მამულიშვილობა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯორჯაძე, ა. (2010). *ქართული მწერლობა* (ტ. 34). თბილისი: "ნაკადული".
- ჰეივუდი, ე. (2004). *პოლიტიკური იდეოლოგიები.* თბილისი: "ლოგოს პრესი".
- Springer, R. (1902). *Der Kampf Der Osterreichischen Nationen Um Den Staat.* (T. 1). Wien: "Deuticke".
- Ренан, Э. (1902). *Ренан Э. Собрание сочинений в 12-ти томах* (Т. 6). Киев: редакциеа В.Н. Михайловского.

საგაზეთო სტატიები:

- ჯორჯაძე, ა. (21 03 1901 წ.). საერთო მოქმედების ნიადაგი. *"ცნობის ფურცელი"*.
- ჯორჯაძე, ა. (1907). ადათი და კანონი, საკუთრება და სახელმწიფო. *"ისარი"*.
- ჯორჯაძე, ა. (1 მაისი 1908 წ.). სამშობლო და მამულიშვილობა. *"ამირანი", № 48*.
- ჯორჯაძე, ა. (14 ივლისი 1909 წ.). შეთანხმების იმედი. *"დროება", № 154*.
- წერეთელი, მ. (11 ნოემბერი 1909 წ.). კავკასიის ერთობა!? *"დროება"*(№251).
- ქიქოძე, გ. (6 აგვისტო 1909 წ.). ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა. *"დროება", № 173, № 174, № 175*.
- მახარაძე, ფ. (1895). "გაკვრით პასუხი". *"კვალი", № 22*, 12.
- ლასხიშვილი, გ. (1895). უახლესი საფეხური და ინტელიგენციის მოვალეობა. *"ივერია", № 65*.

სამეცნიერო ჟურნალებიდან სტატიები:

- სამსონია, ნ. (2014). მიხაკო წერეთელი. *ჩემი სამყარო*, 58-67.
- ნოზაძე, ვ. (1934). სოციალ-ფედერალისტები. *"ორნატი"*, 10-11.

ინტერნეტ რესურსები:

- (20 06 2012) *„ნატურალიზმი XIX საუკუნის და XX-ის დასაწყისის სოციოლოგიაში“.* მოპოვებულია 20 02 2018 წ., http://socium.ge/downloads/protosocteoria/naturalizmi-sociologiashi.pdf- დან.
- (24 09 2013 წ.). *"ჟოზეფ ერნესტ რენანის განმარტება - რა არის ერი?".* მოპოვებულია 15 02 2018 წ., http://genia.ge/?p=7227 - დან.
- ღაღანიძე, მ. (01 06 2013წ). *ილია ჭავჭავაძის - „ოსმალოს საქართველო“: ეროვნული ერთიანობის კონცეფცია.* მოპოვებულია 13 05 2018 წ., https://burusi.wordpress.com/2013/06/01/ghaghanidze-2/- დან.
- წერეთელი, მ. *ოთხი ცნება.* მოპოვებულია 13 02 2018., http://politscience.info/- დან.

ინტერვიუები:

- ექსპერტული ინტერვიუ: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორთან დიმიტრი შველიძესთან;
- ინტერვიუ: ისტორიის დოქტორთან ბონდო კუპატაძესთან;
- ინტერვიუ: ფილოსოფიის ასოცირებულ პროფესორთან ლუკა ნახუცრიშვილთან;
- ინტერვიუ: ისტორიის დოქტორთან მალხაზ თორიასთან;
- ინტერვიუ: ისტორიულ კულტუროლოგთან ივანე წერეთელთან;
- ინტერვიუ: კულტუროლოგთან ირაკლი ჩხაიძესთან.

დანართი #1

ინტერვიუს გზამკვლევი

1. როგორ დაახასიათებდით პირადად თქვენ ერის ცნებას?
   თქვენი აზრით, რომელი მარკერების ირგვლივ ყალიბდება ერი?
2. იყო თუ არა 1900-1917 წლების საქართველოში ეროვნული საკითხი აქტუალური? და თუ იყო თქვენი აზრით რამ განაპირობა ეს?
3. 1900-1917 წლებში საქართველოში ერის ცნების გააზრებისას, რომელი იდეოლოგიური მიდგომები იყო პოპულარული ქართულ პოლიტიკურ წრეებში?
4. რა კავშირი არსებობს სახელმწიფოსა და ერს შორის?
5. იზიარებთ თუ არა ნაციონალიზმის მოდერნისტულ თეორიას, ანუ მოსაზრებას, რომ ერი ისტორიის ახალი ფენომენია, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში ჩაისახა და მისი წარმოშობა მნიშვნელოვნად დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარებასთან?
6. რა განსაზღვრავდა ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ეროვნული საკითხისადმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან პირიქით, რა განაპირობებდა მათ აქტიურ ეროვნულ პოზიციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?
7. თქვენი აზრით, ეროვნული საკითხისადმი იმ პერიოდში ქართველი პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების მიდგომას განსაზღვრავდა თუ არა მათი იდეოლოგიური შეხედულებები?
8. საქართველოში 1900-1917 წლებში აქტუალური იყო პრესის მეშვეობით გამართული პოლემიკა სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხზე პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს შორის. იმართებოდა თუ არა დისკუსიები ერის ცნების შესახებ, ან ეროვნული პრობლემის ირგვლივ?
9. ამ პერიოდში ერის საკითხის შესახებ გამართულ დისკუსიაში რომელი პოლიტიკური პარტიები ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას?
10. რომელი პოლიტიკური პარტიის გავლენა იყო მაღალი ქართველ ამომრჩეველზე დროის ამ ქრონოლოგიაში?
    -აყალიბებდა თუ არა ეს პარტია ქართველი საზოგადოების შეხედულებას ერის საკითხზე ამ წლებში?
11. თქვენი აზრით, რომელი მსოფლმხედველობის გავლენა გახდა გადამწყვეტი ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში - კოსმოპოლიტიზმის, ინტერნაციონალიზმის თუ ნაციონალიზმის? და რატომ?
12. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება მოხდეს საზოგადოების მიერ ეროვნული თვითცნობიერების დავიწყება ან დაკარგვა? რა შეიძლება იყოს ამის გამომწვევი მიზეზი, ან მიზეზები?

13. იდგა თუ არა საქართველო 1900-1917 წლებში ეროვნული თვითცნობიერების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე?
14. რამეს ხომ არ დაამატებით?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nino Maisuradze

Understanding of Conception of Nation in Georgia in 1900-1917 years

Master's Program in Policy Science

The Master's Thesis done to obtain Master's Academic Degree in Political Sciences

Supervisor: Political Sciences

Doctor Malkhaz Matsaberidze

Tbilisi 2018